**პრეზიდენტი**

# „პირველი რიგის ამოცანად მცირე ბიზნესის განვითარებასა და კორუფციასთან ბრძოლას მივიჩნევ“

– განაცხადა 14 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ღია საზოგადოების ინსტიტუტის პრეზიდენტთან ჯორჯ სოროსთან შეხვედრისას. დახურულ კარს მიღმა გამართული საუბრის შემდეგ მხარეებმა მოწვეულ სტუმართა გაფართოებულ შემადგენლობას გააცნეს განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილება.

ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ საუბრის ძირითადი თემა ის ანტიკორუფციული დოკუმენტი იყო, რომელზეც მუშაობა პრაქტიკულად დასრულდა. პრეზიდენტმა ბრძანებულებას „ზოგიერთი პირველი რიგის ანტიკორუფციული ღონისძიებების შესახებ“ უკვე მოაწერა ხელი და იგი მალე გამოქვეყნდება პრესაში.

დასახულ ღონისძიებათა ასამოქმედებლად მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკოორდინაციო საბჭოს შექმნა.

ჯორჯ სოროსის განცხადებით, მისი ფონდი მზადაა დააფინანსოს ანტიკორუფციული პროგრამის საწყისი ეტაპი.

საქართველოს პრეზიდენტმა გამოთქვა რწმენა, რომ მომავალში ანტიკორუფციულ პროგრამას სოროსის ფონდთან ერთად სხვა დონორი ორგანიზაციებიც დააფინანსებენ.

საქინფორმი.



**აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი**

## საქართველოს დელეგაცია იალტაში გაემგზავრა

გუშინ საქართველოს სამთავრობო დელეგაცია სახელმწიფო მინისტრის გიორგი არსენიშვილის ხელმძღვანელობით იალტაში გაემგზავრა, სადაც 15-16 მარტს გაიმართება შეხვედრა, რომელიც ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ნდობის ფაქტორის ამაღლების საკითხებს მიეძღვნება.

შეხვედრაზე ხელმოსაწერად მზადდება 2 დოკუმენტი – საომარი მოქმედებების განუახლებლობასა და მშვიდობის შენარჩუნებაზე, გალის რაიონში დევნილთა დაბრუნების შესახებ.

საქართველოში გაეროს მისიის ხელმძღვანელის დიტერ ბოლდენის განცხადებით, შეხვედრაზე მხარეები არ განიხილავენ აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხს, რაც დღის წესრიგში მხოლოდ აპრილის შეხვედრაზე დადგება.

სოხუმის ხელისუფლების ვიცე-პრემიერი ვიაჩესლავ ცუგბა იმედოვნებს, რომ იალტის შეხვედრა მშვიდობის დამყარების საქმეში წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ და აფხაზურ მხარეთა პოზიცია დიამეტრალურად საპირისპიროა.

მოლაპარაკებაზე ვლადისლავ არძინბას პირადი წარმომადგენლის ანრი ჯერგენიას განცხადებით, იალტაში პრინციპული მნიშვნელობის საკითხები განიხილება.

იფრინდა.

**ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:**
http://www.opentext.ge/sakartvelos-respublika

**ორ დღეში ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 3945 მკითხველი. მათ შორის, 63% აშშ-დან, 22% – საქართველოდან.**


# საქართველოს რესპუბლიკა

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1919 წელს, აღდგენილია 1990 წელს. №61 (3802) ხუთშაბათი, 15 მარტი, 2001 წელი. ფასი 50 თეთრი.


**პარლამენტის თავმჯდომარე**

## ზურაბ ჟვანია სომხეთში მიიწვიეს



14 მარტს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო სომხეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში გიორგი ხოსროევი. სომხეთის ელჩმა ზურაბ ჟვანიას ამ შეხვედრაზე სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების თავმჯდომარის არმენ ხაჩატრიანის ოფიციალური მიწვევა გადასცა.

როგორც ელჩმა აღნიშნა, 2001 წელს მთელი სომეხი ხალხი საზეიმოდ აღნიშნავს ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავს.

„დარწმუნებული ვარ, თქვენი მომავალი ვიზიტი ხელს შეუწყობს საქართველოსა და სომხეთის პარლამენტებს შორის თანამიმდევრული და მრავალმხრივი თანამშრომლობის ღრმავებას, გააქტიურებს ჩვენი ქვეყნების ტრადიციულ მეგობრულ ურთიერთობას ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ“. – აღნიშნულია არმენ ხაჩატრიანის წერილში.

საქინფორმი.

**აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს**

## საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით

**14 მარტს გაიმართა მთავრობის მორიგი სხდომა, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე უძღვებოდა. სხდომის მუშაობის რეჟიმი საკმაოდ დაძაბული აღმოჩნდა, რადგან დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების აქტუალურობამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია.**

სხდომის დასაწყისში საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გააკეთა განცხადება ანკარაში შეთანხმების ხელმოწერასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება შაჰ-დენიზის გაზის საბადოს ექსპლუატაციას. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ ამ მოლაპარაკებაში თავიდანვე მონაწილეობდნენ თურქეთი, აზერბაიჯანი და საქართველო. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, იგი მეთვალყურის როლს ასრულებდა. მრავალი საკითხი და პრობლემა იყო დასაზუსტებელი, დიდი სამუშაოები შესრულდა. და აი ხელი მოაწერეს შეთანხმებას. მომავალში მოლაპარაკება გაიმართება საქართველოსთან, რომელიც იმ ტერიტორიის მფლობელი სახელმწიფოა, სადაც გაზსადენი გაივლის. ჩვენი პოზიცია ამ საკითხში გარკვეულია. სხვათა შორის, გაზსადენის მშენებლობა თითქმის იდენტურია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა. საქართველო აგრეთვე გააგრძელებს მოლაპარაკებას რუსეთთან, რადგან შაჰ-დენიზის გაზი საქართველოში მოგვიანებით მოხვდება. ლაპარაკია მთელი საქართველოს გაზიფიკაციაზე. ამიტომ, მომავალ კვირაში შევიკრიბებით სამინისტროებისა და უწყებების, სამხარეო ადმინისტრაციათა ხელმძღვანელებთან ერთად და განვსაზღვრავთ რა უნდა გავაკეთოთ ამ ორსამ წელიწადში. ედუარდ შევარდნაძემ კმაყოფილება გამოთქვა ამ ფაქტთან დაკავშირებით და ერთხელ კიდევ მიულოცა მხარეებს შეთანხმების გაფორმება.



იხ. მე-2 გვ.

**დაჯილდოება**

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 12 მარტი ქ. თბილისი

**მარტვილის გიორგი ჭყონდიდელის სახელობის №1 საშუალო სკოლის პედაგოგთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ**

მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი წვლილისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მარტვილის გიორგი ჭყონდიდელის სახელობის №1 საშუალო სკოლის პედაგოგები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით:

**ღირსების ორდენით:**

**გურამ გალდავა** – დირექტორი, სკოლის დირექტორთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

**ღირსების მედლით:**

**ანზორ კვესელავა** – მათემატიკის მასწავლებელი; **მიმოზა კუპრავა** – დაწყებითი კლასების მასწავლებელი; **ლეილა ჯიქია** – ისტორიის მასწავლებელი.

ე. შევარდნაძე.

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 12 მარტი ქ. თბილისი

**ა. გველესიანის, ბ. ლობჟანიძისა და ო. ჩინჩალაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოში გაზის მეურნეობის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებაში, მოსახლეობის გაზით მომარაგებასა და ახალგაზრდა კადრების მომზადებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ:

**ავთანდილ გველესიანი** – სააქციო საზოგადოება „საქთხევადგაზის“ ჭიათურის ფილიალის დირექტორი; **ბახვა ლობჟანიძე** – სააქციო საზოგადოება „საქთხევადგაზის“ ტექნიკური დირექტორი; **ოთარ ჩინჩალაძე** – საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ჯგუფის უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ე. შევარდნაძე.

**კანონმდებლები**

## გუშინ პარლამენტში



ერთხელ მიტაცებული მიწის ლირებულების დაფარვის ვადად პარლამენტმა ორი წელიწადი განსაზღვრა. ამ საკითხთან დაკავშირებით 14 მარტს პარლამენტმა გამარტივებული წესით – ერთი მოსმენით მიიღო კანონპროექტი „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე“.

* * *

უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ საბოლოო – მესამე მოსმენით მიიღო კანონპროექტი „საპარლამენტო მდივნის შესახებ“. აღნიშნული კანონპროექტის მიზანია ხელი შეუწყოს კანონშემოქმედებითი სფეროში საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა ურთიერთშეთანხმებულ საქმიანობას, საქართველოს პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივის, როგორც კონსტიტუციური უფლებამოსილების შეუფერხებელ განხორციელებას.

* * *

გუშინვე პარლამენტმა იმსჯელა, აგრეთვე, საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესატან ცვლილებებსა და დამატებებზე.

საქინფორმი.

**კონსული**

## თურქეთში მცხოვრებ აფხაზებს აფხაზეთში მოხვედრა საქართველო-თურქეთის სასაზღვრო გზით ურჩევნიათ

**1998 წლის 26 მაისს სტამბოლში საქართველოს გენერალური საკონსულო გაიხსნა. განვლილ სამ წელიწადში საკონსულოს მოღვაწეობაზე, თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეების საქმიანობასა და სხვა საინტერესო საკითხებზე საქინფორმის კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს პირველ და მოქმედ გენერალურ კონსულს სტამბოლში თემურ მარაშვილს.**

– საკონსულოს საქმიანობის უმთავრესი ამოცანაა თავისი ქვეყნის მოქალაქეების საყოფაცხოვრებო და შრომითი პირობებისათვის ზრუნვა, მათი უფლებების დაცვა. გარდა ამისა, ჩვენი მიზანია თურქეთთან ეკონომიკური, კულტურული თანამშრომლობის გაღრმავება, სავიზო რეჟიმის საკითხების გადაწყვეტა და ურთიერთობა სამართალდამცავ ორგანოებთან.

იხ. მე-2 გვ.

**ინფორმაცია**

**30 ტონა თევზი – აფხაზეთიდან ლტოლვილებს**

უკრაინის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, ამ ქვეყნის თევზსაჭერი გემების მიერ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს აკვატორიაში დაჭერილი 30 ტონა ქაფშია აფხაზეთიდან ლტოლვილებს უსასყიდლოდ გადასცეს. ამ დღეებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობა იმერეთის რეგიონში დაიწყებს თევზის განაწილებას ამ მხარეში მცხოვრებ ლტოლვილებს შორის.

**ყიდიან ამერიკულ მარცვლეულს**

თბილისის მარცვლეულისა და ნავთობპროდუქტების საერთაშორისო ბირჟაზე გაიმართა მორიგი საჯარო ვაჭრობა. გასაყიდად გამოიტანეს ამერიკული ხორბალი – ტონა 390 ლარად. უკვე გაყიდულია ათასი ტონა პროდუქტი.

**„კავკასიონი“ კვლავ დაზიანდა**

საქართველო-რუსეთის ენერგოსისტემების დამაკავშირებელ 500-კილოვოლტიან გადამცემ ხაზზე „კავკასიონი“ კვლავ მოხდა ავარია, რომლის მიზეზები ჯერჯერობით დაუდგენელია. ადგილზე გაემგზავრა „საქრუსენერგოს“ წარმომადგენელთა ბრიგადა, რომელიც მიზეზებს გაარკვევს. დაზიანება, სავარაუდოდ, საკენისა და ომარიშარას 10 კმ-იან ზონაში მოხდა.

**ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილების მოსაძიებლად**

ქართული ექსპედიცია, რომელიც მარტის დასაწყისში ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილების მოსაძიებლად ინდოეთში გაემგზავრა, განაგრძობს მუშაობას გოას პროვინციაში. გათხრების პარალელურად სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს არქივებთანაც, ხდება ახალი წყაროების მოძიება, სადაც ქეთევან წამებულის სამარხია მითითებული.

**უფასოდ ისწავლიან**

აპრილიდან რუსთავის საშუალო სკოლების მეათე და მეთერთმეტე კლასების მოსწავლეები სასკოლო გადასახადებისგან განთავისუფლდებიან, იუწყება „იფრინდა“. აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილება რუსთავის საკრებულომ მიიღო.

**ახალი გზამკვლევი**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიულმა მუზეუმმა პროფესორ ვალერი სილოგავას ავტორობით სამ ენაზე გამოსცა კატალოგი-გზამკვლევი „სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის ქართული ეპიგრაფიული ძეგლები“, რომელიც მკითხველმა საზოგადოებამ ინტერესით მიიღო.

**ფასები 1.3 პროცენტით გაიზარდა**

საქართველოში სამომხმარებლო ფასების ინდექსი თებერვალში იანვართან შედარებით 0,6 პროცენტით გაიზარდა და მთლიანად წლის დამდეგიდან 1,3 პროცენტი შეადგინა. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, თებერვალში, ისევე როგორც იანვარში, ფასების მეტი ზრდა მოდიოდა კვების პროდუქტებზე, მათ შორის სასმელებსა და თამბაქოზე, რომლებიც 0,7 პროცენტით გაძვირდა. ამასთან, სხვებზე მეტად მოემატა ფასი ბოსტნეულსა და ხილს – 2,3 პროცენტით, აგრეთვე ხორცს, ფრინველს, თევზს – 1,2 პროცენტით.

**უკმარდაფინანსება დაფინანსებაში**

შარშან დეკემბერში და წლეულს იანვარ-თებერვალში ძალზე მწირი იყო სპეციალური სასოფლო-სამეურნეო პროგრამების დაფინანსება. მაგალითად, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტმა ვერ შეძლო დაახლოებით 600 ათასი ლარის სამუშაოთა შესრულება, ვეტერინარიის დეპარტამენტმა კი – 700 ათასი ლარის ვაქცინების შესყიდვა. გასათვალისწინებელია, რომ ეს პრეპარატები საჭიროა ადამიანის ჯანმრთელობისათვის იმ საშიში დაავადებების (თურქული, ციმბირის წყლული, ცოფი) წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც მას პირუტყვისგან გადაედება.



**წუხელ ევროპის სტადიონზე**

გაიმართა ფეხბურთელთა ჩემპიონთა ლიგის II ჯგუფური ეტაპის დასკვნითი ტურის მატჩები. გაუწყებთ მათ შედეგებს:

„ბ“ ჯგუფი. „სპარტაკი“ – „ლიონი“ 1:1, „ბაიერნი“ – „არსენალი“ 1:0.

„დ“ ჯგუფი. „ლიდსი“ – „ლაციო“ 3:3, „ანდერლეხტი“ – „რეალი“ 2:0.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა, პრაიმ-ნიუსმა და იფრინდამ.**

**გიხაროდენ!**

### ტყუპები აფხაზეთში დაბრუნდებიან



ნანა ტყებუჩავა და გიგო ნაჭყეპია აფხაზეთიდან, მშობლიური კერიდან დევნილები, დროებით დედაქალაქში ცხოვრობენ. ნანამ და გიგომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი ახლახან დაამთავრეს. მათ აქ ეწვიათ სიყვარული და იქორწინეს კიდეც.

XXI საუკუნის პირველ გაზაფხულზე, სწორედ ამ დღეებში ახალგაზრდა ოჯახს ქალ-ვაჟი შეეძინა. ტყუპებს მშობლებმა მარიამი და გიორგი დაარქვეს. მათ შეძენას ოჯახში დიდი სიხარული მოჰყვა. ტყუპები და ბედნიერი დედა თავს კარგად გრძნობენ.

ვულოცავთ ნანასა და გიგოს ქალ-ვაჟის შეძენას, უხვეჟილიანობა არ მოშლოდეთ აფხაზეთიდან დევნილ ოჯახებს!

კესო კირთაძე.

**ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-34.**

**გვწერენ**

## „თეთრი ღამეები“ თბილისში

„საქართველოს რესპუბლიკის“ შარშანდელი 17 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა თბილისში, მოსაშვილის ქ. № 26-ის მობინადრეთა ერთობლივი განცხადება და სარედაქციო კომენტარი, რომელშიც აღწერილი იყო ჩვენი თეთრად გათენებული ღამეები.

სიტუაცია, სამწუხაროდ, არ შეცვლილა. ამის მიზეზია კლუბ „ტროპიკანას“ „საქმიანობა“, რომელიც სინამდვილეში ღამის დისკოთეკაა და, როგორც უკვე იციან თქვენმა მკითხველებმა, მოთავსებულია მჭიდროდ დასახლებულ საცხოვრებელ უბანში.

პუბლიკაციის შემდეგ გავიდა თითქმის სამი თვე, „ტროპიკანა“ კი კვლავ ქუხს და გუგუნებს. მთელი ღამეების განმავლობაში ისმის შეზარხოშებული კლიენტების შეძახილები, ლანძღვა-გინება და ა. შ.

იხ. მე-2 გვ.

**მადლობა**

## ყურადღებამ ბიბლიოთეკა გადაარჩინა

სახელმწიფო ტექნიკური ბიბლიოთეკა საქართველოში ერთადერთია, რომელიც 1965 წელს დაარსდა. მის უნიკალურ ფონდებში დღეისათვის 21 მილიონი ერთეული ინახება.

მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის შესაბამის კომიტეტებს ცდა არ დაუკლიათ, 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტიდან ბიბლიოთეკა მოულოდნელად დაუფინანსებელი, ღვთის ანაბარად მიტოვებული აღმოჩნდა. ასეთ რთულ ვითარებაში, ბიბლიოთეკის გადარჩენა ითავა სახელმწიფო კანცელარიის კულტურის, მეცნიერების, განათლების და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა კობა იმედაშვილმა.

იხ. მე-2 გვ.

**უკანასკნელ საათს**



გუშინ ირლანდიის რესპუბლიკურმა არმიამ გაზაცხადა განიარაღების თაობაზე საერთაშორისო კომისიასთან განახლებული მოლაპარაკებების შესახებ.

გასამხედროებული ფორმირებების განიარაღების საბოლოო ვადა 3 თვეში იწურება.



ავღანეთში თალიბანის ხელისუფლებამ ბი-ბი-სის კორესპონდენტს კეიტ კლარკს ქვეყნის 24 საათის განმავლობაში დატოვება ურჩია. კლარკი იყო ერთადერთი უცხოელი კორესპონდენტი, რომელიც ქაბულიდან გადასცემდა ინფორმაციებს.

**ამინდი დღეს**

| | |
|---|---|
| დასავლეთ საქართველოში | მთაში: ღამით -2+3; |
| დაბლობში: ღამით +4+9; | დღისით +3+8. |
| დღისით +13+18; | თბილისში |
| მთაში: ღამით +1+6; | ცვალებადი მოღრუბლულობა, მცირე წვიმა, სუსტი ქარი. |
| დღისით +9+14. | ღამით +3+5; |
| აღმოსავლეთ საქართველოში | დღისით +13+15. |
| ბარში: ღამით +1+6; | |
| დღისით +10+15. | |

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

**ლარის კურსი**

*15 მარტიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:*

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.0129 | ლარი |
| გერმანული მარკა | 1 | 0.9722 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.0800 | ლარი |
| ევრო | 1 | 1.9015 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0725 | ლარი. |

**გვირეკავენ, გვეკითხებიან**

**– ვცხოვრობ ფეხსაცმელების ფაბრიკა „ისანის“ საერთო საცხოვრებელში, სადაც ჩაწერილი ვარ 1983 წლიდან. გთხოვთ, მიპასუხოთ, შემიძლია თუ არა აღნიშნული ბინის პრივატიზება?**

**ჯულიეტა გოგშელიძე, თბილისი.**

– საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 11 აგვისტოს №825 დადგენილების თანახმად, პრივატიზაციას არ ექვემდებარება სამსახურებრივი დანიშნულების ბინები და საერთო საცხოვრებლები.

**ტრისტან ჟორჟოლიანი,**
**№90 საბინაო კომუნალური მომსახურების ცენტრის დირექტორი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.**

**ინტერპანორამა**



გუშინ, თემთა პალატაში გამოსვლისას, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა კმაყოფილება გამოთქვა ორი ჩეჩენი მოთარეშის რუსლან ახმადოვისა და ბადრუდი მურთაზაევის დაპატიმრების გამო.

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აზრით, სწორედ ისინი იყვნენ 1998 წელს სამი ბრიტანელისა და ერთი ახალზელანდიელის მოტაცებისა და მკვლელობის მონაწილეები.



გართულება ეთნიკურ ალბანელებსა და მაკედონიის არმიას შორის კონფლიქტი. შეიარაღებული შეტაკებები გავრცელდა მაკედონიის დასავლეთ ნაწილშიც, სადაც მრავალი ალბანელი ცხოვრობს.



გრძელდება სისხლისმღვრელი შეტაკებები მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე. პალესტინის ოფიციალური პირების განცხადებით, ისრაელის არმიის ბლოკ-პოსტზე მოკლეს 19 წლის პალესტინელი.

**„საქართველოს რესპუბლიკა“ — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების“ თვითმფრინავებში.**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 61. ხუთშაბათი, 15 მარტი, 2001 წელი.

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

# საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნათა გათვალისწინებით

(პირველი გვერდიდან)



## მეწარმე რომ თავისუფალი იყოს

არა მგონია ვინმე შეეჭვდეს იმაში, რომ მეწარმეობასთან დაკავშირებული პრობლემა ჩვენთან ახლა განსაკუთრებული სიმწვავით ხასიათდება. თუ რატომ, ეს ნათლად ჩანს იუსტიციის მინისტრის მიხეილ სააკაშვილის განცხადებიდან, რომელმაც მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარმოადგინა კანონპროექტი „სამეწარმეო საქმიანობის თავისუფლების შესახებ". მან აღნიშნა, რომ მაკონტროლებელ უწყებათა ურთიერთობა მეწარმეებთან, ფაქტობრივად, უკონტროლო ხასიათს ატარებს და ოფიციალურ რეკეტად იქცნენ, რაც მარტო კორუფციის წყარო როდია. განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ ყოველივე ეს ქართული სახელმწიფო ინსტიტუტებისაგან მეწარმეების გაუცხოებას იწვევს. ქრონიკული საბიუჯეტო კრიზისის მიზეზებიც ფისკალურ ადმინისტრირებაზე მეტად მისი გაუცხოებაა.

საზოგადოების თითოეული წევრი და უწინარესად გადასახადის გადამხდელი დარწმუნებული უნდა იყოს და პრაქტიკული მაგალითით უნდა ხედავდეს, რომ სახელმწიფო მოხელე პირადი გამორჩენის მიზნით კი არ მოქმედებს, არამედ მოქალაქეებისა და გადასახადის გადამხდელთა ინტერესების დამცველია. დღეს კი საპირისპირო სურათი გვაქვს, თანამედროვე ქართული სახელმწიფო და მისი უწყებები წვრილი და საშუალო ბიზნესის დამთრგუნველ და მსხვილი ოლიგარქიული ჯგუფების მფარველ მექრთამე ჩინოვნიკობასთან ასოცირდება.

გაუთავებელი შემოწმებებია საწარმოს საქმიანობის პარალიზების მიზეზი. ადამიანები კარგავენ სამუშაოს, ზარალდება არა მხოლოდ კონკრეტული საწარმო, არამედ მთლიანად სახელმწიფო და საზოგადოება.

ამ საკითხის განსაკუთრებულ აქტუალობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მისი განხილვა ორი საათი გრძელდებოდა. აღინიშნა, რომ კანონპროექტი ერთ-ერთი სერიოზული ნაბიჯია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამიტომ, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ იგი არ ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციას, მოქმედ კანონმდებლობას. მომავალში იგი აუცილებლად დაიხვეწება. ამავე დროს, აღნიშნა სხდომაზე ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, კანონპროექტი, რა თქმა უნდა, არ იძლევა იმის გარანტიას, რომ კორუფციას საბოლოოდ მოვერევით. მან საშუალება უნდა მოგვცეს წინ წავიწიოთ ამ რთულ საქმეში. ჩვენ გულწრფელად ვისწრაფვით, რომ მაქსიმალურად შევზღუდოთ ეს ტოტალური გამომძალველობა. ამავე დროს, ყველა მეწარმეც, ვერ იტყვი ანგელოზიაო. კანონპროექტი ასეთების წინააღმდეგაც არის მიმართული. ედუარდ შევარდნაძის აზრით, როცა ლაპარაკია შემოწმებებზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბანკებისადმი დამოკიდებულებას. ყველა ბანკის კარი დახშული უნდა იყოს და იქ შესამოწმებლად შესვლა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაშია დასაშვები, სხვანაირად საბანკო სისტემას დავანგრევთ, განაცხადა მან.

## „ჭიათურმანგანუმს" ისევ გაუჭირდა

ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრმა ვანო ჩხარტიშვილმა სხდომის მონაწილეებს გააცნო ინფორმაცია სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმსა" და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. როგორც მან თქვა, ბოლო წლებში ჭიათურის მაღაროები და გამამდიდრებელი ფაბრიკები საპროექტო სიმძლავრის მხოლოდ 3-5 პროცენტს იყენებდნენ. წარმოების მკვეთრმა დაქვეითებამ წარმოშვა ურთულესი პრობლემები, რომლებმაც „ჭიათურმანგანუმის" ყველა სფერო მოიცვა. სამთო საწარმოებისათვის მიუღებელი ხანგრძლივი გაჩერების გამო მწყობრიდან გამოვიდა წარმოების საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილი, ეკოლოგიური და ინფრასტრუქტურის ობიექტები. კრედიტორულმა დავალიანებამ 2001 წლის მარტისათვის 31,7 მილიონ ლარს გადააჭარბა, მძიმეა რეგიონის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა.

როგორც ცნობილია, თავის დროზე გამოცხადებულ კომერციულ კონკურსში გაიმარჯვა ჩეხურმა კომპანია „საგა პრინტმა". ამ კომპანიას „ჭიათურმანგანუმის" აღდგენისა და განვითარებისათვის უნდა გამოეყო ინვესტიციები 16,5 მილიონი დოლარის ოდენობით, აქედან პირდაპირი ინვესტიციების სახით 6,4 მილიონი დოლარი განკუთვნილი იყო საწარმოს ტექნიკური და ტექნოლოგიური განახლებისა და ფინანსური სტაბილიზაციისათვის.

სამწუხაროდ, თავისი მოღვაწეობის მანძილზე „საგა პრინტმა" ვერ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებანი და ვერც საინვესტიციო პროგრამა. მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა მხარემ რამდენჯერმე მისცა ამის საშუალება. საქმისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ კიდევ უფრო დაამძიმა ვითარება „ჭიათურმანგანუმში", რომლის კრედიტორული დავალიანება თითქმის 13 მილიონი ლარით გაიზარდა. ასე რომ, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო იძულებული გახდა მიმდინარე წლის 5 მარტს შეეწყვიტა ხელშეკრულების მოქმედება და ჩამოერთმია ამ კომპანიისათვის აქციებზე საკუთრების უფლება.

დღეისათვის „ჭიათურმანგანუმს" მძიმე ტვირთად აწევს 31,7 მილიონი კრედიტორული დავალიანება. რის გამოც სათუო ხდება რომელიმე ინვესტორის დაინტერესება ამ საწარმოთი.

კრიზისს ამწვავებს ისიც, რომ ელექტროენერგიის დეფიციტის გამო სრულად ვერ მუშაობს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რის გამოც საგრძნობლად შემცირდა მოთხოვნილება ჭიათურის მანგანუმზე. სხვათა შორის ელექტროენერგიის დეფიციტის გამო ქარხანა წელიწადში სულ 5-6 თვე მუშაობს. წლევანდელი წლის იანვარში და თებერვალშიც, ფაქტობრივად, არ უმუშავია.

სხდომაზე წარმოადგინეს ღონისძიებათა კომპლექსი, რომლის განხორციელებამაც ხელი უნდა შეუწყოს ორივე საწარმოს კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანას. კერძოდ, ითქვა, რომ 15 წლით გადავადდეს სახელმწიფო ვალები. მიღწეულ იქნას საწარმოს შეუფერხებელი უზრუნველყოფა ელექტროენერგიით და სხვა.

მთავრობამ მოიწონა წარმოდგენილი პროგრამა. შესაბამის უწყებებს დაევალათ შეუფერხებლად უზრუნველყონ მისი შესრულება.

ვანო ჩხარტიშვილმა წარმოადგინა, აგრეთვე, ინფორმაცია საქართველოს საბაჟო-სატარიფო პოლიტიკის შესახებ. როგორც მან აღნიშნა, საბაჟო-სატარიფო პოლიტიკის განხორციელებისას სახელმწიფო მიზნად ისახავს ღრმა ინტეგრაციას საერთაშორისო ეკონომიკურ თანამეგობრობაში ქართული სპეციფიკის გათვალისწინებით. ინტეგრაციის მიზანია შრომის დანაწილებისა და ეროვნული სპეციალიზაციისაგან ეკონომიკური სარგებლობის მიღება. ამასთან გასათვალისწინებელია ეროვნული მეურნეობის იმ დარგებისათვის ხელშეწყობა, რომლებშიც ქვეყანას შეფარდებითი უპირატესობა აქვს.

* * *

**მოისმინეს და მოიწონეს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თამარ ბერუჩაშვილის ინფორმაცია „მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში" საქართველოს გაწევრიანების შედეგების და ამ ორგანიზაციის წევრობის უპირატესობათა გამოყენებისათვის გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ".**

**მოიწონეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ წარმოდგენილი საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი „ადამიანის ორგანოთა ექსპორტ-იმპორტის წესის დამტკიცების შესახებ".**

**თენგიზ გრიგალაშვილი,**
**საქინფორმის კორ.**

დაჯილდოება

# საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2001 წლის 12 მარტი ქ. თბილისი

**საქართველოს კულტურის სფეროს მუშაკთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ**

ქართული კულტურის განვითარებაში, მის პოპულარიზაციასა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი შემოქმედებითი, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს კულტურის სფეროს მუშაკები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით:

**ღირსების ორდენით:**

**ნელი ბოკერია** – ლაგოდეხის ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე; **ალექსანდრე დარახველიძე** – ქორეოგრაფი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი; **ნანა დევნოზაშვილი** – ბოლნისის რაიონის კულტურის განყოფილების გამგე; **იზა ვეფხვაძე** – ხარაგაულის რაიონის ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო ქსელის დირექტორი; **ლაურა იაშვილი** – თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მე-2 სამუსიკო ხელოვნების სკოლის დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი; **ვაჟა კოკაური** – გორის რაიონის სოფელ ვარიანის იაკობ გოგებაშვილის რესპუბლიკური სახლ-მუზეუმის დირექტორი; **ქეთევან ქადაგიძე** – საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელოვნების კოლეჯის დაწყებითი კლასების პედაგოგი; **მედეა ქართველიშვილი** – თბილისის №10 სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო განყოფილების გამგე.

**ღირსების მედლით:**

**ნათელა აგულაშვილი** – გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის სამუსიკო სკოლის დირექტორი; **გულნარა ბეგიაშვილი** – გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთის სამუსიკო სკოლის დირექტორი; **ვასილ ბლიაძე** – ხარაგაულის რაიონის სოფელ ვერტყვიჭალის სასოფლო კლუბის გამგე; **ლეილა კოტრიკაძე** – ჩოხატაურის რაიონის სოფელ ერკეთის სასოფლო ბიბლიოთეკის გამგე.

**ე. შევარდნაძე.**

## პატიმართა კვება გაუმჯობესდება

**იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროებმა მიაღწიეს შეთანხმებას, პატიმართათვის კვების პროდუქტების შესაძენად თანხების გადარიცხვის თაობაზე.**

**იუსტიციის სამინისტროს ანგარიშზე ფინანსთა სამინისტრომ ხუთშაბათს უნდა გადარიცხოს 235 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა მოხმარდება საკვები პროდუქტების შეძენას, აგრეთვე, პურზე ძველი დავალიანების გადახდას, რამაც უკვე 40 ათას ლარს გადააჭარბა.**

## ემოციებს არ აჰყვეთ

**დსთ განვითარების პერსპექტივებს თბილისში თანამეგობრობის სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციიდან ეკონომიკურში თანდათანობრივ ტრანსფორმაციას უკავშირებენ. ამის შესახებ მოსკოვში 16 მარტს დაგეგმილი დსთ ეკონომიკური საბჭოს მორიგი სხდომის წინ განაცხადა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის თანამეგობრობის ქვეყნებთან კავშირების ბიუროს ხელმძღვანელმა თემურ მოსიაშვილმა.**

**როგორც მან აღნიშნა, საქართველოს პარლამენტში ოპოზიციონერ დეპუტატთა ინიციატივით წამოწეული საკითხი დსთ შემადგენლობიდან ქვეყნის გამოსვლის შესახებ, უფრო ემოციებითა და ამბიციებითაა ნაკარნახევი, ვიდრე საღი გონებით.**

**მისი განცხადებით, სწორედ დსთ ფარგლებში მიიღეს ყველაზე რადიკალური გადაწყვეტილებები აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით. სხვა საქმეა, რომ ისინი ყოველთვის როდი სრულდება.**

## სტადიონი მზად არის

**თბილისის მერიამ ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქციისთვის თავისი ბიუჯეტიდან 500 ათასი ლარი გადარიცხა და 28 მარტისთვის გათვალისწინებული საპასუხისმგებლო მატჩის ჩასატარებლად სტადიონი უკვე მზად არის.**

## თბილისის გერბსა და დროშას დაამტკიცებენ

**თბილისის საკრებულო უახლოეს მომავალში დედაქალაქის გერბსა და დროშას დაამტკიცებს, რომელთა ავტორია ემირ ბურჯანაძე.**

**როგორც პრაიმ-ნიუსს საკრებულოს თავმჯდომარემ ლადო კახაძემ განუცხადა, გერბსა და დროშას საკრებულოში განსახილველად დედაქალაქის პრემიერთან არსებული მრჩეველთა საბჭო წარადგენს.**

**თბილისის ჰიმნი „თბილისო", რომლის ავტორია კომპოზიტორი რევაზ ლაღიძე, საკრებულომ უკვე დაამტკიცა.**

## შიდსის ცენტრის ახალი პაციენტები

**ოცზე მეტი ახალი პაციენტი გაატარეს მიმდინარე წლის დასაწყისიდან რეგისტრაციაში შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ეროვნულ ცენტრში, როგორც იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფიცირებულნი.**

**ქვეყნის მასშტაბით, 14 მარტისათვის არსებული მონაცემებით, რეგისტრირებულია შიდსით დაავადებული 207 ადამიანი, მათ შორის 177 მამაკაცი და 30 ქალი. პაციენტების ასაკი 18-დან 40 წლამდეა. 29 ავადმყოფი უკვე გარდაიცვალა. ინფიცირებულთა ყველაზე დიდი რაოდენობა თბილისშია - 82 ადამიანი, აჭარაში - 36, სამეგრელოში - 28, იმერეთში - 15. დანარჩენ რაიონებში ერთეული შემთხვევებია აღნიშნული.**

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.**

მადლობა

# ყურადღებამ ბიბლიოთეკა გადაარჩინა

(პირველი გვერდიდან)

მთავრობის სხდომაზე სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ თედო ისაკაძემ, რომელმაც წარმოადგინა საქართველოს ბიბლიოთეკების მუშაობის გეგმები, დასვა ტექნიკური ბიბლიოთეკის საკითხიც. ბიბლიოთეკის ბედზე გავლენი იქონია სახელმწიფო მინისტრის ბატონი გიორგი არსენიშვილის ჩარევამ.

საბოლოოდ ტექნიკურ ბიბლიოთეკას მხსნელად ქალაქის მერი ვანო ზოდელავა მოევლინა.

დღეს ჩვენი ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა იგრძნეს ამ ყურადღების შედეგი. მერიამ გაგვახსენა ისეთი ცნებები, რომლებიც თითქმის დაგვავიწყდა: კუთვნილი ხელფასი, ელექტროენერგია და სხვა. მადლობა გვინდა მოვახსენოთ მერიის კულტურის საქალაქო სამსახურს, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, რომლებიც ჩვენი ბიბლიოთეკისთვის გაჭირვებულ საბიუჯეტო წლებში, სრულიად უანგაროდ გვაწვდიდნენ ახალ ჟურნალ-გაზეთებს. ეს რედაქციებია: „საქართველოს რესპუბლიკა", „დილის გაზეთი", „სარბიელი", „სარკე".

ტექნიკური ბიბლიოთეკა კვლავაც იქნება საქართველოს სამეცნიერო და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების ცოდნის გაღრმავებისა და დასვენების ადგილი.

**ნუგზარ გოგსაძე,**
**სახელმწიფო ტექნიკური ბიბლიოთეკის დირექტორი.**

გვწერენ

# „თეთრი ღამეები" თბილისში

(პირველი გვერდიდან)

ერთი სიტყვით, რაზეც გწერდით, ყველაფერი ძველებურად დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ თქვენი გაზეთი კონკრეტული მისამართით მიმართავდა მათ, ვინც ვალდებულია დაიცვას მოქალაქეთა ინტერესები, – თბილისის მერიას და საკრებულოს.

როგორც ჩანს, ჩვენი და თქვენი მიმართვები დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". ქალაქის ხელმძღვანელობას მივმართეთ როგორც უშუალოდ, ასევე მასმედიის საშუალებით – საქართველოს პირველი რადიოთი (ბატონი ილია კევლიშვილი), ტელევიზიის პირველი არხით (ქალბატონი ჯულიეტა ვაშაყმაძე), ტელეარხით „კავკასია" (ზურაბ მურვანიძე). ჩვენი პრობლემის კურსში არიან: ქ. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველო, შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკოლოგიური პოლიციის მთავარი სამმართველო, ვაკის რაიონის პროკურატურა, რომელიც იძიებს „ტროპიკანაში" მომხდარ ორი ახალგაზრდის მკვლელობის საქმეს.

მოგმართავთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას", როგორც ქვეყნის ერთ-ერთ ავტორიტეტულ ბეჭდვით ორგანოს, კიდევ ერთხელ მიაწვდინოთ ჩვენი გულისტკივილი დედაქალაქის ხელმძღვანელობას, შეახსენოთ მათ, რომ ადამიანის უფლებათა ვრცელ ნუსხაში, რომელიც კაცობრიობამ შეიმუშავა, უფლებები ცხოვრების ნორმალური პირობების და ჯანმრთელობის დაცვის აუცილებლობის შესახებ ერთ-ერთი უპირველესია, და მათი დარღვევა უთანაბრდება დანაშაულს. ეს არის საყოველთაოდ მიღებული აქსიომა. თბილისი ვითომ გამონაკლისია?!

**ღრმა პატივისცემით,**

**მოსაშვილის ქუჩის № 26 სახლის მობინადრეები:**

**წილოსანი, არდიშვილი, ცუცქირიძე, კაპანაძე, ბახტაძე, ლომაძე, კანდელაკი, ძიძიგური, მებუკე და სხვები.**

# რედაქციისგან:

**ამ ფაქტში აისახა ლოგიკისა და სამართლის თვალსაზრისით აუხსნელი სიტუაცია: – გვეუბნებიან – არა გვაქვს კანონი, რომლის მეშვეობით შეიძლება გადაიჭრას ეს პრობლემაო. როდესაც არ არის კანონი და არის პრობლემა (რბილად რომ ვთქვათ) ვინ, თუ არა ქალაქის მმართველმა ორგანოებმა უნდა გამოსცენ ის წესი, გადაწყვეტილება, განკარგულება, ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც დაიცავს მოქალაქეებს მათი უფლებების შელახვისაგან?**

**თბილისში ყველას (და, ალბათ, მთელს საქართველოში) ვისაც სურს, რაც სურს და სადაც სურს, მოსახლეობის ინტერესების შელახვით და მოქალაქეთა (ანუ საზოგადოების) უკითხავად, შეუძლია გახსნას ნებისმიერი სახის ობიექტი – რესტორანი, დისკოთეკა, ბარი საცხოვრებელ სახლში; სათამაშო ავტომატების დარბაზი ან კაზინო სკოლის გვერდით; ავტომემკეთებელი ან ხის დამმუშავებელი სახელოსნო საერთო სარგებლობის ეზოში; ლითონის ნაკეთობათა სააქრო ან სახინკლე საავადმყოფოს ტერიტორიაზე.**

**შეიძლება ეს სამწუხარო გამონაკლისებია, მაგრამ ისე თვალშისაცემი, რომ მათ გამოსასწორებლად ოპერატიულად უნდა გადაიდგას ნაბიჯები.**

**ჩვენთან კი რა ხდება?**

**ყურის წამღებად ისმის დღე და ღამე ქალაქის ცენტრში თუ პერიფერიაზე უამრავი კაფე-რესტორნიდან და კლუბ-ბარიდან ბაიათები და მძიმე როკი, დოლ-გარმონი... ვისაც საზღვარგარეთ უმოგზაურია, აბა, თუ გაიხსენებს ანალოგიურს, რომელიმე ევროპულ ქვეყანაში? თბილისში კი „ტროპიკანას" შესასვლელ კარებზე სიამაყით გამოაკრეს წარწერა „ენერგია – 100 კილოვატი" და ამ დაპირებას მისი მეპატრონეები „მუსიკის" სიმძლავრის დონის თვალსაზრისით ყოველ ღამეს პირნათლად ასრულებენ, რასაც მოსაშვილის ქუჩა და მისი აწიოკებული მოსახლეობა 100 პროცენტით ადასტურებს, იმიტომ, რომ მხოლოდ თბილისში (კატეგორიულად ვაცხადებთ: სხვაგან არსად) შეიძლება გახსნან მჭიდროდ დასახლებულ უბანში ღამის დისკოთეკა, თანაც სათანადო ხმაურსაწინააღმდეგო იზოლაციის გარეშე.**

**მხოლოდ თბილისში არ არის დადგენილი წესი, რომელიც ფარგლავს ე. წ. „გასართობი" და „საზკვების" ობიექტების მუშაობის გრაფიკს. პარიზის კაბარე „მულენ-რუჟი" ბოლო სპექტაკლს ამთავრებს ღამის 1 საათზე. წარმოდგენის მსვლელობის დროს კი შენობიდან არავითარი ხმა არ ისმის.**

**მხოლოდ თბილისში შეიძლება შეაწუხოს შუაღამისას კათალიკოს-პატრიარქი მისი რეზიდენციის, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე განთავსებული „მცურავი" რესტორნიდან გამოსული „პარი-პარალეს" პანგებმა. ეს ამბავი თბილისის საკრებულოში მოჰყავთ იმის დასტურად, რომ თურმე სათანადო კანონი არა აქვთ ამგვარი ფაქტების აღსაკვეთად.**

**შექმენით, ბატონებო, ასეთი კანონი.**

კონსული

(პირველი გვერდიდან)

**– ყოფილა თუ არა შემთხვევები, როდესაც თურქეთში საქართველოს მოქალაქეთა უფლებები დარღვეულა და ჰქონიათ თუ არა მათ შეხება თურქეთის სამართალდამცავ ორგანოებთან? საერთოდ, რამდენად არის დაცული მათი უფლებები თურქეთში?**

– როგორც მოგეხსენებათ, თურქეთი ევროსაბჭოს ნამდვილი წევრი და ევროკავშირის წევრობის კანდიდატია, ხოლო ევროპის ამ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ორგანიზაციების პრიორიტეტია ადამიანის უფლებათა დაცვა. თურქეთი შეუერთდა ყველა საერთაშორისო კონვენციას, რომელთა უმთავრესი ამოცანაა ადამიანის უფლებათა დაცვა და იგი განუხრელად ასრულებს ამ პრინციპს.

უწინარესად, როდესაც ვლაპარაკობთ ჩვენი მოქალაქეების უფლებების დაცვაზე, ადამიანის უფლებათა საერთო პრინციპების გარდა, არსებობს თურქეთის სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული და სხვა კანონმდებლობა, რომელთა დაცვა და თურქეთში მოქმედი წესებით ცხოვრება აქ ჩამოსულ ყველა ქვეყნის მოქალაქეს, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეთაც ევალებათ.

ჩვენი ერთ-ერთი მიზანი სწორედ ის არის, რომ საქართველოს მოქალაქეებს თურქეთის კანონმდებლობასთან ადაპტირებაში შევუწყოთ ხელი, რათა მათ თურქეთში არსებული კანონების შესაბამისად წარმართონ საქმიანობა და ყოფა-ცხოვრება.

ჩვენ საქართველოს მოქალაქეებს ვთხოვთ თურქეთის კანონმდებლობის პატივისცემას, ხოლო შემდგომ უკვე თურქეთის ხელისუფლებას ვთხოვთ საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპების ფარგლებში ჩვენს მოქალაქეებთან ურთიერთობას. აი, ეს ორი თეზისი განსაზღვრავს ჩვენს ძირითად ფუნქციას, რათა სინქრონულად შევასრულოთ როგორც ერთი, ისე მეორე ფუნქცია, განვახორციელოთ ერთმანეთთან შერწყმა.

საერთოდ, როდესაც თურქეთში ჩამოსულ ქართველებზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ, უწინარესად, ქართულ კოლონიას, იმ ადამიანებს, რომლებიც თურქეთში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოვიდნენ და ასევე დიდ ქართულ ეთნიკურ ჯგუფს, ჩვენ ქართულ დიასპორას რომ ვუწოდებთ. ისინი საუკუნეების მანძილზე ცხოვრობენ თურქეთში და მათ შემოინახეს ქართული ენა, ბევრი ეროვნული ტრადიცია და ადათ-წესი.

უკვე გამოიკვეთა ის ძირითადი კონტინგენტი, რომელიც თავისი საქმიანობის გამო სისტემატურად მიდი-მოდის საქართველოსა და თურქეთის შორის. მათი საქმიანობა მოიცავს სავაჭრო, სამრეწველო, კომერციულ სფეროებს და სხვა. ნიშანდობლივია, რომ საფუძველი ჩაეყარა და ვითარდება პარტნიორობა არა მარტო საქართველოსა და თურქეთის ხელისუფლებათა, არამედ ორი ქვეყნის მოსახლეობას შორის. შეიქმნა ერთობლივი საწარმოები, ყალიბდება ერთობლივი სახელმწიფოებრივი ინტერესები ისეთ სფეროებში, როგორიცაა ენერგომატარებლების ტრანსპორტირება, რეგიონული ტურიზმი, კერძო ბიზნესი, ასევე საბანკო, სამშენებლო, მანქანათმშენებლობის დარგები.

# თურქეთში მცხოვრებ აფხაზებს აფხაზეთში მოხვედრა საქართველო-თურქეთის სასაზღვრო გზით ურჩევნიათ

სწორედ ამით დასტურდება, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის პარტნიორული ურთიერთობა დაიწყო. საქართველოში გაჩნდა კაპიტალი, რაც ხელს უწყობს ამ ურთიერთობის განვითარებას.

**– რა რაოდენობის ტვირთბრუნვა ხორციელდება საქართველოსა და თურქეთს შორის და ძირითადი დატვირთვა რომელ სფეროებზე მოდის?**

– მაგალითისათვის: გასულ წელს საქართველოსა და თურქეთს შორის ტვირთბრუნვამ 210 მილიონი დოლარი შეადგინა. თურქეთში საქართველოდან ძირითადად შემოდის ხეტყე, ჯართი. თურქეთიდან კი გადის საკვები პროდუქტები, ტანსაცმელი. ამას ემატება ეგრეთ წოდებული „საჩემოდნო" ვაჭრობაც.

**– საქართველოს რამდენი მოქალაქე ცხოვრობს და საქმიანობს თურქეთში? რა არის მათი საქმიანობის ძირითადი სფერო?**

– საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთში საქართველოდან ჩამოვიდა, ცხოვრობს და მუშაობს დაახლოებით 40-45 ათასი საქართველოს მოქალაქე.

თურქეთის კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში გარკვეულ როლს ქართული დიასპორის წარმომადგენლები ასრულებენ. აღსანიშნავია, რომ იგი ერთ-ერთი გავლენიანი და მნიშვნელოვანი დიასპორაა თურქეთში. საერთოდ, დღეს თურქეთში ეთნიკური უმცირესობისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. მაშინ, როდესაც 5-6 წლის წინათ აკრძალული თემა იყო ის, თუ თურქეთში არათურქი ვინმე ცხოვრობდა, დღეს უკვე თურქეთის უშიშროების საბჭო იხილავს ქურთებისათვის საკუთარი ტელევიზიის, ქურთული სკოლების გახსნის, კულტურული ავტონომიის შექმნის საკითხებს, ანუ ის დემოკრატიული პროცესები, რომელთაც თურქეთი ეფუძნება, ასახვას პოულობს რეალობაში. აქედან გამომდინარე ქართულ დიასპორასაც აქვს დიდი შესაძლებლობა, რომ საკუთარი განათლებისა და კულტურის ცენტრები ჰქონდეს.

სხვათა შორის, თურქეთის თითქმის ყველა დიდ ქალაქში ქართული კულტურისა და განათლების ფონდები არსებობს. სტამბოლში ცოტა ხნის წინათ შეიქმნა ქართულ-თურქული კულტურისა და განათლების განვითარების ფონდი, რომელსაც საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი ბიზნესმენები, საქმიანი წრეების წარმომადგენლები ჩაუდგნენ სათავეში. მათი მიზანია სტამბოლში როგორც ქართული კულტურული ცენტრის, ასევე ქართულ-თურქული ბიზნესცენტრის შექმნა.

გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ თურქეთში გამოდის ქართულ-თურქული ჟურნალი „ჩვენებური", რომელსაც წელს უკვე 24 წელი შეუსრულდება. რამდენიმე წლის წინათ თურქეთის ცენტრალური რადიოს პირველ არხზე ნახევარი საათი დაეთმო ქართულენოვან გადაცემას და დღესაც ნახევარი საათი თურქული რადიო ქართულად მეტყველებს. ძალზე მნიშვნელოვანი იქნება, თუ ქართული საკორესპონდენტო პუნქტი შეიქმნება თურქეთში, რომელიც საქართველოს პირდაპირ და უტყუარ ინფორმაციას მიაწვდის იმის შესახებ, თუ რა პროცესები მიმდინარეობს აქ.

რამდენიმე ხნის წინათ გამოიცა ქართულიდან ნათარგმნი „დედა ენა", რომელიც ქართული ენის შესწავლის შესაძლებლობას აძლევს თურქეთში მცხოვრებ როგორც ქართველებს, ისე სხვა ეროვნების წარმომადგენლებსაც.

ასე რომ, თურქეთში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების პარალელურად გაფართოვდა ქართული დიასპორის მოღვაწეობა. ვფიქრობ, რომ იგი სწორ გზას ადგას და სწორი გზით მიდის.

**– რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თურქეთში საკმაოდ დიდი რაოდენობის აფხაზი ეროვნების კაცი ცხოვრობს და ისინი საკმაო აქტიურობითაც გამოირჩევიან ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რა ურთიერთობა გაქვთ მათთან და თავად ისინი თუ ურთიერთობენ თქვენთან?**



– სადღეისოდ, 400-450 ათასი თურქეთის მოქალაქე აფხაზი ეროვნებისაა. მათ შეუერთდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შემდეგ თურქეთში საცხოვრებლად ჩასული 10 ათასამდე აფხაზი.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ აფხაზური დიასპორა საკმაოდ კარგად ორგანიზებული, მე ვიტყოდი, პოლიტიკურ საკითხებში კარგად ჩახედული, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს აქტიურობით განსაკუთრებულად გამორჩეული დიასპორა გახლავთ. შემთხვევითი არ იყო, საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ანკარაში ბოლო ვიზიტის დროს თურქეთში მცხოვრებ აფხაზთა სათვისტომოსთან შეხვედრა. მაშინ საინტერესო საუბარი გაიმართა ქართველთა და აფხაზთა ერთიან სატკივარზე, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების თაობაზე.

საქართველოს საკონსულოს, თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა აქვს აფხაზურ დიასპორასთან. თურქეთი განუხრელად იცავს საქართველოს სუვერენიტეტის პრინციპებს. ამის გათვალისწინებით, თურქეთის ხელისუფლება აფხაზეთიდან ჩამოსულ ან აფხაზი ეროვნების თურქეთის მოქალაქეებს ურჩევს, რომ მათ საკონსულო დახმარებისათვის, საკონსულოდან რაიმე დოკუმენტის მისაღებად მიმართონ საქართველოს საკონსულოს ან საელჩოს. ამდენად, ყოველივე ამის მიზანია გადაიდგას ურთიერთშემხვედრი ნაბიჯები ჩვენი ერთობლივი სატკივარის აღმოსაფხვრელად და პრობლემების გადასაწყვეტად.

უნდა გითხრათ, რომ თურქეთის აფხაზური დიასპორა არცთუ ისე პატარა გავლენით სარგებლობს დღეს აფხაზეთის მმართველ წრეებში. ამიტომ, ეს კონტაქტები და კავშირურთიერთობა ბევრს ნიშნავს არა მარტო საკონსულოს საქმიანობისათვის, არამედ იმ საჭირბოროტო საკითხების მოგვარებისათვის, რომელიც 1993 წლის შემდეგ წარმოიშვა.

**– რა გზით ხვდებიან თურქეთის აფხაზთა სათვისტომოს წარმომადგენლები აფხაზეთში?**

– სხვათა შორის, თურქეთში მცხოვრებმა აფხაზებმა საქართველოს პრეზიდენტს ანალოგიური შეკითხვა დაუსვეს – როგორ შეეძლებთ აფხაზეთში მოხვედრას?! ერთმნიშვნელოვნად ითქვა, რომ ქართული ვიზების მეშვეობით ისინი შეძლებენ საქართველოში ჩამოსვლას და ამ გზით აფხაზეთში მოხვედრას. არავითარი წინააღმდეგობა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მათ არ ექნებათ და უზრუნველყოფილი იქნება მათი ჩასვლა აფხაზეთში. აფხაზური დიასპორის თითოეული წარმომადგენელი, რომელიც ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრაში მონაწილეობდა, თავად პრეზიდენტმა პირადად სტუმრად მიიპატიჟა.

**– მათი მხრიდან როგორი რეაქცია მოჰყვა საქართველოს პრეზიდენტის მოპატიჟებას და, საერთოდ, არიან თუ არა ისინი მზად ამისათვის და აქვთ თუ არა სურვილი, რომ აფხაზეთში საქართველოს სხვა რეგიონების გავლით მოხვდნენ?**

– აღნიშნულ წინადადებას მათი მხრიდან ძალზე დადებითი რეაქცია მოჰყვა. ნიშანდობლივი მომენტია, რომ მათ არ სურთ აფხაზეთში სხვა ქვეყნიდან მოხვედრა. მათ სწორედ საქართველო-თურქეთის სასაზღვრო გზით სურთ აფხაზეთში შესვლა.

**– და ამ შემთხვევაში მათ ვიზისათვის თქვენ უნდა მოგმართონ?...**

– რასაკვირველია. მათ უნდა მიმართონ ჩვენს საკონსულოს, ან საზღვრებზე ჩვენს სამსახურებს, რომლებიც ხანმოკლე ვიზებს გასცემენ.

**– წარმატებას გისურვებთ თქვენს საქმიანობაში.**

ესაუბრა
**ირმა გეგეჭკორი,**
**საქინფორმის კორ.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

## დიდი აბრეშუმის გზა

# პრეზიდენტის აშენებულს მხოლოდ ბედოვლათები ანგრევენ...

**იმპროვიზაცია ტრანსკავკასიური მაგისტრალის თემაზე მებაჟე-მესაზღვრეთა და საგზაო გამომძალველთა გაერთიანებული გუნდისა და ორკესტრის თანხლებით.**



### ექსპერტის აზრით...

ჩვენი ცნობილი ექსპერტი ალეკო დანელია ჯერ კიდევ ბოლომდე არშემდგარი „ტრასეკას" ტრანსკავკასიური მაგისტრალის პრობლემებს ასე აყალიბებს:

– ის, რომ ფოთი-ბაქოს დერეფანი ყველაზე მოკლეა აღმოსავლეთიდან დასავლეთში გასასვლელად, ეს საქმე ღმერთმა უკვე გააკეთა. ახლა იმაზეა საქმე, თუ როგორ გამოვიყენებთ ამ სიკეთეს. ამასაც ორი მხარე აქვს: პირველი ტექნიკური, რომელიც მოიცავს ნავსადგურებს, რკინიგზას, ავტოტრანსპორტს. მეორე კი – თუ როგორ განვახორციელებთ ამ გადაადგილებებს. თუ ეს პროცესი სამართლებრივად ისე მოეწყობა, რომ ხელს შეუწყობს ამ ტვირთის იოლად, სწრაფად და დაუბრკოლებლად გავლას, მაშინ ეს დერეფანი ეფექტიანი იქნება. დღეს კი სრულიად საწინააღმდეგო სურათი გვაქვს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ კანონები, რომლებიც აქ მოქმედებს, არ ვარგა. სწორედ ამის შედეგია კორუფცია და კონტრაბანდა. რაც შეეხება ამის გამომწვევ უმთავრეს მიზეზს – ეს გახლავთ მაღალი გადასახადები. თავად განსაჯეთ: 20 პროცენტი დღგ, 12 პროცენტი საბაჟო გადასახადი, ფორმალობების – 0,15 პროცენტი... ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ყოველთვის გვეყოლება კონტრაბანდისტი. აი, საბაჟო გადასახადი რომ 2 პროცენტი იყოს და დღგ თუნდაც 14 პროცენტი, მკაცრი ადმინისტრირების პირობებში, კონტრაბანდისტთა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდებოდა. ასე რომ, კონტრაბანდის არსებობის პირველი მიზეზია მაღალი გადასახადი, რადგან ასეთ ვითარებაში დიდია დამალვის სურვილი და ცდუნება.

დააკვირდით და ნახავთ, რომ ჩვენი ქვეყანა ცდილობს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებას იმპორტის გადასახადით, მაშინ, როცა სახელმწიფო ხაზინის ფორმირებაში ლომის წილი უნდა ჰქონდეს საშემოსავლო გადასახადს, რაც თავისთავად ნიშნავს მაღალ ხელფასს. ჩვენ კი რატომღაც გვინდა ეს სიკეთე საბაჟო გადასახადით მივიღოთ. ასეთი ვითარება თავისთავად ქმნის ქრთამის გამცემისა და ქრთამის ამღების „ინსტიტუტს". ჩვენი ამოცანაა არ იყოს ქრთამის გამცემი, რაც მიიღწევა გადასახადების რაოდენობისა და ოდენობის შემცირებით. ხელისუფლება კი ამის ნაცვლად ქმნის და ქმნის გამოძალვის ახალ მექანიზმებს. ეს პროცესი თავის დროზე გაიარა მსოფლიომ და მივიდა დასკვნამდე, რომ ეფექტის მისაღწევად საჭიროა საგარეო ვაჭრობის წესების, საბაჟო და სასაზღვრო ფორმალობების გამარტივება და მოქმედებაში არსებული დოკუმენტაციის სტანდარტიზაცია. ამის თაობაზე შექმნილია არა ერთი კონვენცია, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა უკვე მიუერთდა.

უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით უკვე ბევრი რამ გაკეთდა თავად „ტრასეკას" დერეფნის ფარგლებშიც. მაგრამ ამ პროცესის სამართლებრივი უზრუნველყოფა ბოლომდე არ არის მიყვანილი. აი, სწორედ ეს გასაჭირი ადგას „ტრასეკას" ფოთი-თბილისი-ბაქოს მაგისტრალსაც. ეს რეალობა იმის შედეგია, რომ ჯერაც არ არის დასრულებული პროცესი, რომელიც უნდა მართოს ორივე ქვეყნის ხელისუფლებამ. არ ვიცი, რა უშლის ხელს მათ ამაში, როცა არსებობს პრეზიდენტების პოლიტიკური ნება. მთელმა მსოფლიომ უკვე იცის, რომ რუკაზე არსებობს საქართველო-აზერბაიჯანის ტანდემი, არსებობს დერეფანი, რომელიც მოქმედებს. ერთადერთი, რაც იმსახურებს კრიტიკას, ეს გახლავთ ერთი კომპონენტის – ორ ქვეყანას შორის შესაბამისი კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მოუწესრიგებლობა და მათი შეუთავსებლობა საერთაშორისო ნორმებთან. დანარჩენი ყველაფერი მუშაობს... არ მუშაობს მხოლოდ ეს კომპონენტი, რაც მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტური მიზეზით შეიძლება აიხსნას.

ხელისუფლების როლი სწორედ იმაშია, რომ მოსპოს საფუძვლები, რომლებიც აბრკოლებს ამ კომპონენტის ამუშავებას, რისი მიღწევაც შეიძლება მხოლოდ სათანადო კანონმდებლობით და საგადასახადო პოლიტიკით. ამ დიდი საქმის სამი მეოთხედი ჩვენ უკვე გაკეთებული გვაქვს. აი, იმ დარჩენილი ერთი მეოთხედის დასამთავრებლად პრეზიდენტები უნდა დაუბრუნდნენ თავიანთ აღრინდელ გადაწყვეტილებას და მკაცრად მოსთხოვონ აღმასრულებელ ხელისუფლებას, თუნდაც მათ მიერ შექმნილ ორმხრივ ერთობლივ კომისიას, ამ პროცესის სამართლებრივი უზრუნველყოფის ბოლომდე მიყვანა. აქ ველოსიპედის თავიდან გამოგონება არ არის საჭირო, ამისათვის არსებობს საქართველოსა და აზერბაიჯანის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები, „ტრასეკას" სამთავრობათაშორისო კომისიის, მსოფლიო ორგანიზაციების შესაბამისი რეკომენდაციები, რომელიც უსათუოდ უნდა შესრულდეს. გარწმუნებთ, თუ იქნა სათანადო პოლიტიკური ნება, ამ ყველაფერს სამ-ოთხ თვეში შეიძლება დაედგას თავი, ამისათვის კი საქართველოსა და აზერბაიჯანის შესაბამისმა უწყებებმა ურთიერთშეთანხმებული ერთობლივი მუშაობით უნდა გაამარტივონ საგარეო ვაჭრობის, საბაჟო და სასაზღვრო წესები და დანერგონ აკრედიტივის, ინვოისისა თუ სხვა სტანდარტული დოკუმენტაციის პრაქტიკა ტრანსკავკასიური მაგისტრალის, შემდგომ კი, „ტრასეკას" დერეფნის მთელ გაყოლებაზე.

### ფიქრი:

მე და ბატონი ალეკო დანელია გვერდიგვერდ ვსხედვართ იმ საუწყებათაშორისო-სამთავრობო კომისიის სხდომებზე, რომელიც საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის თავმჯდომარეობით რეგულარულად ეწყობა „ტრასეკას" დერეფნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის პრეზიდენტის მიერ მიღებული ბრძანებულების სარეალიზაციოდ. აქ, როგორც იტყვიან, ჩვენი უწყებების მთელი სპექტრია წარმოდგენილი.

ჟურნალისტები ხომ გამოუსწორებელი სკეპტიკოსები ვართ და ყველაფერს, მითუმეტეს, იმ თემატიკას, რომელზეც ზემოთ გესაუბრებოდით, ხშირად ეჭვის თვალით ვუყურებთ, თუმცა... მე იმ ჟურნალისტიკას არ ვემსახურები, რომელსაც ჰგონია, რომ „ტრასეკას" დერეფნის თუ დიდი ნავთობსადენების პროექტები ქვეყანასაც და პრეზიდენტსაც მხოლოდ იმისთვის სჭირდებათ, რომ „თვალში ნაცარი შეაყარონ" საზოგადოებრიობას. ვიცი, რომ ასეთი სიბეცე და დაუნახაობა არაფერს არგებს ჩემს ქვეყანას, მის მომავალს, მაგრამ ის აღვირახსნილობა, რაც თრგუნავს ყოველ სასიკეთო იდეასა თუ წამოწყებას, რომელსაც შეუძლია ჩვენი ხალხის გამოყვანა დღევანდელი გაუსაძლისი ვითარებიდან, ყოველგვარი მორიდებისა თუ კონიუნქტურული მოსაზრებების გარეშე უნდა გახდეს ჩვენი საზოგადოებრიობის, თითოეული ჩვენგანის ყოველდღიური ბრძოლის საგანი. ასეთია ჩვენი გაზეთის პოზიცია.

ახლაც ხშირად ვიგონებ იმ დროს, „წითელი ხიდის" საგუშაგოს რომ მივადგებოდი და თავისუფლად გადავედიოდი გაღმა ისე, რომ „შლაგბაუმს" არავინ მიკეტავდა. ვიცი, გვიჭირს ახალ ვითარებასთან შეგუება, მაგრამ ისიც ვიცით, რომ აზერბაიჯანი რუსეთი არ არის და ჩვენს ქვეყნებს საუკუნეობრივ ტრადიციებთან, ადათ-წესებთან, მოვალეობებსა და სიყვარულთან ერთად „ტრასეკას" დერეფანიც აერთიანებს. ამ სიკეთისა და საგანძურის პატრონებს რატომ უნდა გავიჭირდეს ისეთი ურთიერთობების დამკვიდრება, რომელიც სამაგალითო იქნებოდა „ევრაზიის დერეფნის" ყველა სახელმწიფოსათვის. რატომ არ ამკვიდრებენ ჩვენი ორივე ქვეყნის ორგანოები თუნდაც ისეთ შეღავათიან რეჟიმს, რომელიც დააკანონებდა საზღვრისპირა სავაჭრო თუ სხვა ურთიერთობებს და თავიდან აგვაცილებდა იმ ექსცესებს, ახლა რომ ხდება „წითელი ხიდის" იქით და აქეთ და საგონებელში გვაგდებს დიდსა თუ პატარას. აბა, რომელი პარლამენტი თუ მეჯლისი იტყვის უარს ქართულ-აზერბაიჯანულ ერთიან სივრცეში ადამიანების თავისუფალ, გამარტივებულ გადაადგილებაზე, თუ ამას მოინდომებენ ჩვენი პრეზიდენტები, პარლამენტარები, და ბოლოს, ხალხები, რომლებიც საუკუნეებია გვერდიგვერდ ცხოვრობენ და ახლაც ერთად აშენებენ მომავალს. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა ამ რამდენიმე თვის წინათ, როცა ბაქოში „ტრასეკას" სახელმწიფოთაშორისო კომისიის მორიგ შეხვედრაზე ამ ქვეყნების რკინიგზების წარმომადგენლები შეთანხმდნენ „ტრასეკას" მთელ სივრცეში საერთო-სატარიფო სისტემის დამკვიდრებაზე. ახლა იმაზეა საქმე, რამდენად მოახერხებს ამ კომისიის გენერალური სამდივნო გადაწყვეტილების ოპერატიულად დანერგვას პრაქტიკაში. მალე ვარნაში შეხვდებიან „ტრასეკას" ქვეყნების საზღვაო დარგის მესვეურებიც, რომლებიც იმსჯელებენ საზღვაო მომსახურების სატარიფო სისტემის ჰარმონიზაციის პრობლემებზე.

მანამდე კი, საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო და საბაჟო პუნქტებზე ისევ საათობით ჩერდება რკინიგზის შემადგენლობები, სატვირთო ავტომანქანები. იკარგება ძვირფასი დრო, როგორც ექსპერტები მეუბნებიან, 4-საათიანი გაჩერებები 900-დან 1400 დოლარამდე ზარალს აყენებს ტვირთგადამზიდველს. უფრო დიდი ციფრებია რკინიგზის შემადგენლობების ხაზით. ასეთი რამ არსად ხდება. მაგალითად, რუსეთის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, დაუშვებელია სარკინიგზო შემადგენლობის შეჩერება 20 წუთზე მეტი დროით, ხოლო ყოველი გადამეტებული წუთისათვის დაწესებულია ჯარიმა, რომელიც უნდა გადაიხადოს დამნაშავე საკონტროლო თუ საბაჟო ორგანიზაციამ.

წარმომიდგენია, რამდენი ჯარიმა ექნებოდათ გადასახდელი გარდაბანში შემოსული შემადგენლობების საათობით გაჩერებისათვის ჩვენს სასაზღვრო და საბაჟო სამსახურებს, ან კიდევ ფოთის ანალოგიურ სამსახურს, რომელიც 3-4 დღით აჩერებს საქართველოში საბორნე გადასასვლელით შემოსულ ავტოტრანსპორტს.

სწორედ ეს ბიუროკრატიული პროცედურები, რომლებიც შექმნილია მხოლოდ გამოძალვის მიზნით, ართმევს „ტრასეკას" დერეფანს იმ პრიორიტეტს, რითაც იგი განსხვავდება სხვა დერეფნებისაგან. მათი წყალობით ტრანსკავკასიის მაგისტრალის გავლას ტვირთგადამზიდველი ორი დღის ნაცვლად ზოგჯერ სამჯერ მეტ დროს ანდომებს, რაც არამომგებიანს ხდის მისთვის ამ დერეფნით სარგებლობას. ჩივთნ კიდეც...

**გია ჭელიძე.**

(დასასრული იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 60.

### სატრანზიტო ტვირთი მარშრუტს იცვლის

საქართველოს ექსპედიტორთა ასოციაციის წევრთა რიცხვი 33-დან 26-მდე შემცირდა. ასოციაციის გენერალური დირექტორი ალექსანდრე დანელია ამას იმით განმარტავს, რომ ასოციაციის შემადგენლობაში შემავალი საექსპედიტორო ფირმების ნაწილი ან გაკოტრდა, ან ერთმანეთს შეუერთდა. მეორე მხრივ, აღნიშნა მან, ასოციაციის წევრი 33 საექსპედიტორო ფირმის არსებობის პირობებში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად ირიცხებოდა თითქმის ცხრა მილიონი ლარი.

– დიდი, ყოვლად გაუმართლებელი გადასახადების, აგრეთვე საექსპედიტორო ფირმებისაგან „ფულის შეწერის" ქვეყანაში მოქმედი პრაქტიკის გამო, – თქვა შემდეგ ალექსანდრე დანელიამ, – საქართველოს ტერიტორიაზე გამავალმა სატრანზიტო ტვირთის ნაკადმა შეიცვალა მარშრუტი. მაგალითად, სატრანზიტო ბამბეულის მოცულობა 75 ათასი ტონიდან ხუთი ათას ტონამდე შემცირდა. ამჟამად ტვირთის მფლობელთა და მათი მომსახურე საექსპედიტორო ფირმების უმრავლესობა თავიანთ სატრანზიტო ტვირთებს გზავნიან ირანის ბენდერ აბასის, რუსეთის პეტერბურგისა და ნოვოროსიისკის, ლატვიის რიგისა და ლიეპაიას ნავსადგურებში.

**ინფორმაცია მოგვაწოდა საქინფორმმა.**

## დისკუსია

# როცა „შეთანხმება" არღვევს თანხმობას

**ერთადერთი, რამაც შეიძლება და უნდა (თუკი მართლაც გვინდა) გაგვაერთიანოს ჩვენს ქვეყანაში, არის მხოლოდ სახელმწიფო, რომელშიც ერი და ბერი, ყველა მოქალაქე, თანასწორობის საფუძველზე, თანხმობით უნდა ცხოვრობდეს. ქვეყანას გარიგება-მორიგება კი არა, ჭეშმარიტი შერიგება და თანხმობა სჭირდება.**

რაც განსაკუთრებით გულსატკენია, სერიოზულად არავინ დაფიქრებულა იმაზე, თუ რა მომაკვდინებელი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ უძრავ-მოძრავი ქონების განუკითხავ დასაკუთრებას. ჯერ შიგნითაც საკმაოდ ძნელი გასარკვევი იქნება, თუ კერძოდ რის საფუძველზე და ვისი საკუთრება იყო ან უნდა იყოს ესა თუ ის ქონება. და ამას უეჭველად მოჰყვება გაუთავებელი სერია სასამართლო პროცესებისა.

მაგრამ ყველაფერი ამით მაინც არ დამთავრდება: ჩვენს მუზეუმებსა და სიძველეთსაცავებში მრავლად არის „არაქართული" წარმომობის ნივთები, ხელნაწერები და სხვ. ძნელი არ უნდა იყოს იმის განჭვრეტა, თუ რა მოხდება, ყველა ისტორიულმა მეპატრონემ, მათ შორის, სხვა ეთნიკური თუ კონფესიური ერთობების წარმომადგენლებმაც რომ განაცხადონ პრეტენზია ასეთ ექსპონატებზე. აი, მაშინ კი ვერასგზით ვერ ავიცდენთ საერთაშორისო სასამართლოსაც გაცილებით მძიმე ფინანსური შედეგებით.

ესეც არ იყოს, როგორც აკადემიაში გამართულ კრებაზე ზეპირი მსჯელობისას გამოირკვა (და ეს შემდეგ გამოქვეყნებული დოკუმენტის რამდენიმე მუხლშიც აისახა: მ. 19, მ. 20), ჩვენი ეკლესიის წარმომადგენელთ დიდი იმედი არც ჰქონიათ იმისა (და სრულიად სამართლიანადაც!), რომ ეკლესიას მოუხერხდება მის ხელში გადასული ქონების სათანადოდ დაცვა. ამიტომ წინააღმდეგიც არ არიან, რომ მათი დაცვისათვის პასუხისმგებელი სახელმწიფო იყოს. რა გამოდის? ეკლესია ეპატრონება ქონებასა და მისი განკარგვის უფლებას, სახელმწიფოს კი ერთმევა ქონება, მაგრამ ეძლევა უფლება (ფაქტობრივ კი – ეკისრება მოვალეობა!) მისთვის წართმეული ქონების დაცვისა.

საერთოდ, „შეთანხმების" ზედაპირული გადათვალიერებაც კი საკმარისია, რომ დავინახოთ: დოკუმენტი, როგორც წესი, ერთობ უცნაურად უნაწილებს უფლება-მოვალეობებს „შეთანხმებულ" მხარეებს: **ეკლესიას** თავისი ფუნქციების შესასრულებლად ყველა **უფლებას** ანიჭებს, **სახელმწიფოს** კი მხოლოდ **ვალდებულებებს** აკისრებს...

ვინ არის შრომისა და ქონების ამგვარი განაწილების „გენიალური" ჩამფიქრებელ-ინიციატორი, ან რა გამოსარჩენს ელოდება იგი ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმის საფასურად? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, საინტერესო კითხვა კითხვადვე დარჩება. მეცნიერებათა აკადემიაში გამართულ კრებაზე „შეთანხმების" ინიციატორთა წარმომადგენლებმა ამჯობინეს თავი აერიდებინათ ამ უხერხულ კითხვაზე პირდაპირი და არაორაზროვანი პასუხის გაცემისათვის, თუმცა ისიც აღინიშნა, რომ იდეა ხელისუფლებისგან (?) მოდის.

განა უცნაური არ იქნება, რომ **დემოკრატიის უდიდესი მონაპოვარი** – ერთი მხრივ, **სამოქალაქო საზოგადოების შექმნა,** მეორე მხრივ კი – **სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნა** – თვით ხელისუფლების საიავეში მღვომმა პირებმა დათმონ და ფუნდამენტალისტურ განწყობილებებს შეუქმნან ნოყიერი ნიადაგი?

ყოველივე ეს მით უფრო უცნაურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ არც ერთ მოწინავე, ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მისაბაძ ქვეყანაში ამგვარი „შეთანხმება" თუ ხელშეკრულება სახელმწიფოსთან არ დადებულა, მათ შორის, თვით რუსეთშიც, სადაც მართლმადიდებელი ეკლესიის ზარალი – ქონებრივი თუ ადამიანური მსხვერპლის მასშტაბით – გაცილებით აღემატებოდა ჩვენი ეკლესიისას.

ყოველ შემთხვევაში, როცა დაისვა კანონზომიერი კითხვა ანალოგისა თუ პრეცედენტის შესახებ, არც ერთი საამისო მაგალითი არ დასახელებულა. სამაგიეროდ, ძეგლთა დაცვის სამმართველოში ამას წინათ (თებერვლის შუა რიცხვებში) გამართულ გაფართოებულ სხდომაზე ასეთ სანიმუშო „მოდელად" საპატრიარქოს წარმომადგენელმა **ვატიკანთან** იტალიის სახელმწიფოს სახელით **მუსოლინის** მიერ ხელმოწერილი შეთანხმება (თუ ხელშეკრულება) დაასახელა! (რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ ხელშეკრულებით სახელმწიფომ კათოლიციზმი ფაქტობრივ სახელმწიფო რელიგიად აღიარა). როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია!

ყოველივე ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ამგვარი პროექტით გაფორმებულმა ალიანსმა ავტორიტეტი შეულახოს, ერთი მხრივ, ჩვენს მართლმადიდებელ ეკლესიას (და, საერთოდ, მთელს მართლმადიდებლობასაც), ხოლო მეორე მხრივ – საქართველოს პარლამენტს? და თუ ავტორიტეტის საკითხი მაგანთათვის მხოლოდ ფუჭი თვითგვემის (და, მაშასადამე, ფუფუნების) საგანია, ჩვენ მათ საკითხის სიმძაფრის შესაფერისი სერიოზულობისაკენ მოვუწოდებდით, რამდენადაც „შეთანხმების" პროექტის ავტორებს ეს ინიციატივა შეიძლება ახალი სამოქალაქო ომისათვის მძიმე პირად პასუხისმგებლობად დაუჯდეთ.

შეიძლება ვინმეს ეს მოსაზრებები ფერების გამუქებად ან გადაჭარბებად მოეჩვენოს. მაგრამ, თუ ამ ოდიოზურ პროექტს პარლამენტის უმრავლესობა (არა ფრაქციული, არამედ რეალური) მხარს დაუჭერს, ყოველგვარი ეჭვები კანონმდებელთა ამ უმრავლესობის ნამდვილი სულისკვეთების (ისევე როგორც ზოგიერთი სასულიერო პირის ჭეშმარიტი სულიერების) მიმართ საბოლოოდ გაიფანტება და სათანადო გადაწყვეტილების „ძალაში შესული" რეალობა ყოველგვარ წარმოსახვას გაუსწრებს და გადააჭარბებს.

მაგრამ უკვე გვიან იქნება: საქართველოს მოქალაქეები – ცალ-ცალკეც, ერთადაც, და, საერთოდ, მთელი სახელმწიფო მოტყუვდება და მშრალზე დარჩება. სამწუხაროდ, მსგავს უმსგავსოებათა მდიდარი გამოცდილებით კარგად ვიცით, თუ რა ძვირი უჯდება სახელმწიფოს (და, მაშასადამე, მთელ ხალხსაც) დაუფიქრებელი და აუწონელი ნაბიჯების გადადგმა ხელისუფლების მხრიდან.

განსაკუთრებით მძიმეა (მე ვიტყოდი – მომაკვდინებელი) სახელმწიფოს „შაგრენის ტყავად" ქცეული ბიუჯეტისათვის და მთლიანად ეკონომიკისათვის 21-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო აღიარებს XIX-XX საუკუნეებში, მეტადრე – საბჭოთა პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს (ამით კი – იმასაც, რომ სამართალმემკვიდრეა ტოტალიტარული სახელმწიფოსი) და კისრულობს ნაწილობრივი ანაზღაურების ვალდებულებას. კომპენსაციის მოცულობასა და სხვა დეტალებზე **იმუშავებს პარიტეტულ საწყისებზე შექმნილი კომისია – მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოეწერება ხელი დოკუმენტს!**

განა რა უშლიდა ხელს მოვლენათა ლოგიკურად მოსალოდნელ უკუმიმდევრობას: **ჯერ კომისიას ემუშავა ფუნდამენტურ საკითხებზე,** მათ შორის – **თვით დოკუმენტის შექმნის მიზანშეწონილობაზე,** და **შემდეგ,** როცა ექსპერტები ამ „შეთანხმებას" სახელმწიფოსათვის სიკეთის მომტანად მიიჩნევდნენ, **შექმნილიყო ასეთი დოკუმენტი** (სამართლებრივად, აზრობრივად და ენობრივად გამართული) ყველა თავისი დეტალით?!

როგორც ვხედავთ, ე. წ. „კონსტიტუციური შეთანხმება" თავისი არსითა და მოსალოდნელი შედეგებით სხვა არაფერია, თუ არა სწორედ **ანტიკონსტიტუციური,** დასამევებ დოზაზე მეტად „მიწიერი" (თუ ბიწიერი?) **გარიგება.** სრული უეჭველობით და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე უნდა ითქვას, რომ ასეთი „შეთანხმება" არათუ არ ნიშნავს, მეტიც – **ძირს უთხრის ჭეშმარიტ თანხმობას** საქართველოში. ვინაიდან ძირფესვიანად ეწინააღმდეგება მისი ყოველი მოქალაქის პიროვნულ და მთელი ქვეყნის საერთო-სახელმწიფოებრივ სისხლხორცეულ ინტერესებს. ამ პროექტის ხორცშესხმა საბოლოოდ გააპარტახებს ისედაც გაპარტახებულ სახელმწიფოს, და მის მიწა-წყალს, უძრავ და მოძრავ ქონებას შინააშლილობის ახალ კერად და ასპარეზად აქცევს.

ილია ჭავჭავაძე, ჩვენი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული და „მართლად" წოდებული, თავის სამშობლოში პარლამენტურ სახელმწიფოზე ოცნებობდა, და არა მარტო ოცნებობდა, – თავდაუზოგავად შრომობდა ამ ოცნების ხორცშესასხმელად და აკი შეეწირა კიდეც მაღალი მიზნებისათვის ტიტანურ ბრძოლას. დღეს კი, როცა არაერთი თაობის შრომისა და თავგანწირვის ფასად საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის უფლება და გვყავს ქვეყნის მოსახლეობის მიერ არჩეული და მისი სახელით მოქმედი უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება, მას უფლება არა აქვს ხელიდან გაუშვას მისთვის დასაცავად ჩაბარებული სახელმწიფო ქონება, ქვეყნის მთელი მოსახლეობის (განურჩევლად ეთნიკური თუ კონფესიური სხვადასხვაობისა) კუთვნილი ბუნებრივი რესურსები და მატერიალური კულტურის საგანძური და შეელიოს მათი განკარგვის უფლებას...

დღეს ყველა იმას ჩივის, რომ ბევრი მტერი გვყავს, და ყველა ხელს ძირითადად საქართველოს გარეთ იშვერს. სულ ტყუილად! მთავარი მტერი საკუთარი თავისა ჩვენ თვითონა ვართ – ჩვენივე უგუნურებით, სიხარბე-ანგარებითა და სულმოკლეობით. ანკესებს რა გამოლევს? მაგრამ, სამწუხაროდ, არც ვაი-პატრიოტი, დემაგოგი და მცირედმორწმუნე ჩამბლაუჭებელია ნაკლები, რაც განათლებისა და ზეობის დეფიციტს მოწმობს. ანკესზე წამოცმული ჭია ხან **ეთნოკრატიის** სახით გვევლინება (ეთნოკონფლიქტების წასაქეზებლად და გასაღვივებლად), ხანაც – **თეოკრატიის** სახით (სხვადასხვა ალმსარებლობის წარმომადგენელთა შესაჯახებლად). განა მოგვწონს, რომ, მიუხედავად დიდი პატივისცემისა ისლამის წიაღში ჩასახული კულტურული ტრადიციებისადმი, არსებობს ისლამურ რესპუბლიკებად გამოცხადებული ქვეყნები? უფრო მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ეს პრაქტიკა მიუღებელია თვით ისლამის რელიგიური ტრადიციების ცნობილ მოწინავე ქვეყნებში!

საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა. ქართველთა შორის კი, მიუხედავად მართლმადიდებლობის უძველესი რელიგიურ-კულტურული ტრადიციებისა, გვყავნან მაჰმადიანებიც, ხოლო ქრისტიანობის შიგნით – კათოლიკეებიც, გრიგორიანებიც... მაშასადამე, ერთადერთი, რამაც **შეიძლება** და **უნდა** (თუკი მართლაც **გვინდა**) **გაგვაერთიანოს** ამ ჩვენს ძველ და ჭრელ, „უთვალავი ფერის" ქვეყანაში, არის **მხოლოდ სახელმწიფო,** რომელშიც ერი და ბერი, ყველა მოქალაქე, თანასწორობის საფუძველზე, თანხმობით უნდა ცხოვრობდეს. ქვეყანას გარიგება-მორიგება კი არა, ჭეშმარიტი **შერიგება და თანხმობა** სჭირდება.

თუ ამ ერთადერთ რეალობას თვალს გავუსწორებთ და შევურიგდებით, შევრიგდებით კიდეც და არავითარი ხელოვნურად შეთხზული „კონსტიტუციური შეთანხმება" აღარ გახდება საჭირო.

* * *

**დასასრულ: სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე დიდი საერთაშორისო ავტორიტეტით სარგებლობს; მის სახელთან დაკავშირებულია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის აღორძინების არ ერთი სახელოვანი ფურცელი. დიდი კრძალვითა და მოწიწებით შევბედავ სრულიად საქართველოს მართლმადიდებელთა სამწყსოს სულიერ წინამძღვარს, ყველასაგან პატივცემულსა და დაფასებულ პიროვნებას, გულწრფელ თხოვნას: კვლავაც სათუთად გაუფრთხილდეს თავის პირად, ისევე როგორც საერთოდ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დიდ ავტორიტეტს მთელს ქრისტიანულ (და არა მარტო ქრისტიანულ) მსოფლიოში, გამოიჩინოს კეთილი ნება და მისთვის ჩვეული სიდინჯითა და ტოლერანტობით ბრძანოს თავისი გადამწყვეტი სიტყვა სახელმწიფოს თვალსაზრისით ესოდენ სისხლხორცეული საკითხის მოსაგვარებლად, მთელი ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.**

**შუქია აფრიდონიძე.**

P. S. აქ, ალბათ, არ ღირს „დაწვრილმანება" დოკუმენტის მრავალ ლაფსუსზე, როგორიცაა თუნდაც პრეამბულის პირველსავე აბზაცში გაპარული „არითმეტიკული შეცდომა", კერძოდ: „საქართველოში ორი ათასი წელია არსებობს მართლმადიდებელი ეკლესია"(!). საქართველოს გაქრისტიანების თარიღის სისწორეს რევიზიის საფრთხე აქამდე თითქოს არ ემუქრებოდა.

ანდა ვინ იფიქრებდა, რომ დასვენების დღედ მთელს მსოფლიოში კვირადღის დაწესების ხანგრძლივ ტრადიციას საქართველოში მაინცდამაინც ეკლესიასთან შეთანხმება დასჭირდებოდა, თანაც როგორი ქართულით: „კვირა, როგორც წესი, სამუშაო დღედ არ ცხადდება" (მ. 22, პ. 2). ჭეშმარიტად საინტერესოა, ვისთანაა „შეთანხმებული" ასეთი აზრები (ენასა და სტილზე რომ არაფერი ვთქვათ)?!

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 60.

## კონტაქტები

# ამილახვრიანთ გორისა...

### ფრანგები უშურველად გვეხმარებიან

საქართველოში საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ქალბატონ **მირეი მიუსოს** დაინტერესება გაერთიანებული სამხედრო აკადემიის ბედით, ალბათ, შემთხვევითი არ არის. აკადემია ხომ ერთადერთი უმაღლესი სამხედრო სასწავლებელია, რომელიც ოფიცერთა მაღალკვალიფიციურ კადრს ამზადებს. ყველასთვის ნათელია, რომ ჯარის სახეს ღირსეული ოფიცერი, ახალგაზრდობის დამრიგებელი ქმნის. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, გენერალ-ლეიტენანტმა დავით თევზაძემ თვითონვე გამოძებნა დრო და თანამედროვე სამხედრო სტრატეგიის დისციპლინაში ლექციებს უკითხავს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის კურსანტებს. ქალბატონმა მირეი მიუსომ და საფრანგეთის სამხედრო ატაშემ ბატონმა **ფრანსის მონ კობეგმა** აკადემიის კურსანტებსა და ოფიცრებს ლექციები წაუკითხეს საფრანგეთის როლისა და ადგილის შესახებ ევროგაერთიანებაში და დამაჯერებლად ისაუბრეს საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მდგომარეობაზე.

ქალბატონმა მირეი მიუსომ ხაზგასმით თქვა, რომ ევროკავშირი არ უნდა იყოს მხოლოდ ეკონომიკური ზონა, ქვეყნების არც ერთი თანამეგობრობა არ იქნება სრულყოფილი, თუ ის არ შეიმუშავებს ერთიან პოლიტიკას და ერთიანი თავდაცვის სისტემას. საფრანგეთთან ერთად, გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის ძალისხმევით, ბიძგი მიეცა ევროპული თავდაცვის სისტემას და დღეისთვის ევროკავშირი ხელშესახებს ხდის იმ იდეას, რომ ევროპული თავდაცვის სისტემა ახალი აღმშენებლობის ასპარეზი იქნება მთელი ევროპისათვის. საფრანგეთის სამხედრო ატაშემ, პოლკოვნიკმა მონ კობეგმა კი თავის გამოსვლაში აღნიშნა: საფრანგეთში დაწყებულია თავდაცვის პოლიტიკისა და შეიარაღებული ძალების სრული რეფორმა, რომლისთვისაც ქვეყანამ ეტაპობრივად და ორგანიზებულად გაიარა რთული გზა ბოლო 20 წლის განმავლობაში. დღეისთვის საფრანგეთმა შეინარჩუნა ავტონომიური მოქმედების უნარი, რომელიც საერთო საჯარისო საშუალებებზეა დაფუძნებული. ამ ბოლო ხანს, ფრანგული ჯარის პირადი შემადგენლობა, 25 პროცენტით შემცირდა. განსაკუთრებული ცვლილებები მოხდა სახმელეთო ჯარებში, რომლის შემადგენლობაც მინიმუმ 36 პროცენტით შემცირდა. გვაქვს 4 ატომური წყალქვეშა ნავი, ათობით საბრძოლო ხომალდი, საჰაერო-სადესანტო შემადგენლობა, 100-მდე საბრძოლო თვითმფრინავი, თანამედროვე ჯავშან-ტექნიკა და აღჭურვილობა, რომელიც საფრანგეთს საშუალებას აძლევს თავიდან აიცილოს ყოველგვარი საფრთხე.

საფრანგეთის შეიარაღებული ძალების რეფორმაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამხედრო ჟანდარმერიისა და ფრანგული ლეგიონის შემდგომ განვითარებას, განაცხადა შემდეგ სამხედრო ატაშემ. ჟანდარმერიის შემადგენლობაშია 56 ათასი კაცი და ქალი, რომელთაგან 45.500 სამხედრო პირია. მათ ევალებათ საფრანგეთის ტერიტორიისა და მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა... საფრანგეთის არმიის რეფორმის მთლიანი მოდელი 2015 წლისთვის განხორციელდება, 2002 წლისთვის კი ბევრი მნიშვნელოვანი პუნქტი შესრულდება. მაგალითად, საფრანგეთი, მომავალი წლიდან, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევიდან პროფესიულ არმიაზე გადადის. ამის გამო კი, დღევანდელი ფრანგული არმიის დატოვება მოუწევს მინიმუმ 45 ათას სამხედრო მოსამსახურეს, სამაგიეროდ, გაიზრდება და გამკაცრდება სამხედრო სამსახურში მიღების წესები და მოთხოვნები, რაც ერთნაირად შეეხებათ როგორც ვაჟებს, ასევე გოგონებს. ნებაყოფლობითი სამხედრო სამსახური გაიხსნება 27.000 ახალგაზრდისთვის, რომელთაგან, დაახლოებით 16.000 ჟანდარმერიაში იმსახურებს.

სტუმრებმა უპასუხეს აკადემიის კურსანტთა და ოფიცერთა მრავალ შეკითხვას.

შეხვედრის შემდეგ ფრანგმა მეგობრებმა დაათვალიერეს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის სასწავლო კორპუსი. გაეცნენ საქართველოს სამხედრო აკადემიის ისტორიას, სასწავლო პროცესსა და აკადემიაში მიმდინარე სამეცნიერო თუ კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობას, რაც, უდავოდ, ახლებურ აზროვნებასა და მომავალ ოფიცრებში ფიზიკური, ფსიქოლოგიური, მორალური თუ ეროვნული სულისკვეთების გაღრმავებას, აკადემიის კურსანტთა საყოფაცხოვრებო პირობების და სხვა საჭირბოროტო საკითხების მოგვარებას ემსახურება. ყველაფერი ეს, უპირველესად, აკადემიის უფროსის, გენერალ-ლეიტენანტ **ომარ ლეკვეიშვილის,** მისი თანამოაზრეების დიდი შრომისა და გარჯის შედეგია. აკადემიაზე განსაკუთრებულ [illegible] რებს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა. ფრანგი სტუმრები ეწვიენ აკადემიაში ახლადგახსნილი დიმიტრი ამილახვარის სახელობის ფრანგული ენის კაბინეტს, სადაც იმ დროს ფრანგული ენის შემსწავლელ კურსანტთა და ოფიცერთა ერთი ჯგუფი მეცადინეობდა. სტუმრებმა მათთან გულითადი საუბარი გააბეს. ქალბატონმა მირეი მიუსომ მადლობა გადაუხადა მათ ფრანგული ენისადმი ასეთი პატივისცემისა და ქართველი და ფრანგი ხალხების საამაყო შვილის დიმიტრი ამილახვარის სახელის დაფასებისთვის. ბოლოს კი, საფრანგეთის ელჩმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ქართველი კურსანტები და ოფიცრები ის პირველი მერცხლები იქნებიან, ვინც, ალბათ, სულ ახლო მომავალში, გაიგზავნებიან საფრანგეთში თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული ჩვევების გასაღრმავებლად.

სასწავლო კაბინეტების დათვალიერების შემდეგ სტუმრებმა დიალოგი გამართეს აკადემიის უფროსთან და მის მოადგილეებთან. სტუმრებმა ისიც შეიტყვეს, რომ სამხედრო აკადემია ამზადებს ოცმეთაურებს ჯარის სხვადასხვა სახეობისათვის, მომავალი წლიდან კი იწყებს სამთო ოცეულების მეთაურთა მომზადებას. აღმოჩნდა, რომ საფრანგეთს ამ საქმეში დიდი გამოცდილება და შესანიშნავი სამთო ბაზები აქვს. ქალბატონმა მირეი მიუსომ აღუთქვა აკადემიის ხელმძღვანელობას, რომ მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში საფრანგეთის სამთო მომზადების ცენტრიდან მოაელენენ ინსტრუქტორთა ჯგუფს, რომელიც მეთოდურ და პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს ქართველ კოლეგებს. ეს საქმიანი შეხვედრა კიდევ ერთი დასტური იყო იმისა, თუ როგორ გრძელდება საფრანგეთისა და საქართველოს ურთიერთობაში არსებული ტრადიციული, ისტორიული კონტაქტები. და არა ოდენ სამხედრო, არამედ სახელმწიფოებრივი მშენებლობის ყველა სფეროში. გვიმრავლოს საფრანგეთის მსგავსი ძლიერი მეგობრები!

**მზია ჭიჭიაშვილი, რუსუდან ძოწულაძე.**



**სურათზე: დიმიტრი ამილახვარის სახელობის კაბინეტში – ქალბატონი მირეი მიუსო, სამხედრო ატაშე ფრანსის მონ კობეგი და აკადემიის თავკაცი ომარ ლეკვეიშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა

№ 61. ხუთშაბათი, 15 მარტი, 2001 წელი.

ექსკლუზივი

# რა ბედი ელის ექსპერტიზას საქართველოში?

## 8. დასავლეთში აღიარებულ სასამართლო სამედიცინო ექსპერტს სამშობლოში ჯერჯერობით პრობლემები ექმნება

**სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის „რევოლუციური“ მიდგომა არასახელმწიფო ექსპერტიზის დასაშვებობის შესახებ ყველაზე ადრე აიტაცა და მალე რეალობადაც აქცია მაია ნიკოლეიშვილმა, რომელსაც თავისუფლად შეიძლება „თერგდალეულიც“ კი ვუწოდოთ, რადგან ის ჯერ სანკტ-პეტერბურგში მოღვაწეობდა და იქაც ექსპერტი იყო. ამის შემდეგ კი სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სახელმწიფო ბიუროში მუშაობდა, რის შემდეგაც გახდა დამოუკიდებელი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი. როგორც მაია ნიკოლეიშვილი აღნიშნავს, ორიგინალობა მას მხოლოდ იმ გაგებით შეუძლია „დაიბრალოს“, რომ სწორედ მისგან წამოვიდა ამ სამი წლის წინათ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის შესახებ კანონპროექტის შექმნის იდეა. სხვაფრივ კი ექსპერტის დამოუკიდებლობის ფენომენი დასავლეთში კარგა ხანია აღარავის უკვირს. ამ ეტაპზე მაია ნიკოლეიშვილის საქმიანობის შესახებ კარგად უწყიან დასავლეთში, რადგან პოსტსაბჭოურ სივრცეში ალტერნატიული ექსპერტი მხოლოდ საქართველოში არსებობს. იმის გამო, რომ არასამთავრობო ორგანიზაციას, ფონდ „მედეას“ და მის ხელმძღვანელს დიდი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება დაუგროვდა, უთუოდ საგულისხმოა, როგორ ხედავს ის ექსპერტიზის დამოუკიდებლობის სამართლებრივ პერსპექტივას:**

**– ყველაზე დიდი პრობლემა ამ ეტაპზე, როგორც ჩანს, არის ლიცენზირების საკითხი. როგორია ამ პრობლემისადმი თქვენი დამოკიდებულება?**

– რაც ყველაზე სასიამოვნოა, დამოუკიდებელი ექსპერტიზის აუცილებლობაზე დღეს, პრაქტიკულად უკვე აღარავინ დავობს. ახლა მთავარია გადაწყდეს ლიცენზირების საკითხი. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა აზრით, ეს საერთოდ არ არის საჭირო, რადგან დასავლეთში მიღებული პრაქტიკის თანახმად, ყველა სპეციალისტი შეიძლება იყოს ექსპერტი, მაგრამ პირადად ჩემი აზრით, ეს მიდგომა ჩვენთვის ხელსაყრელი არ იქნება. აქ უმაღლესი სასწავლებლიდან გამოსული სპეციალისტის ხარისხია მთავარი. დასავლეთში ეს პრობლემას არ წარმოადგენს. ჩვენთან კი სხვა რეალობაა. ლიცენზირება საჭიროა, მაგრამ ის არ უნდა გახდეს ფულის კეთების კიდევ ერთი წყარო, ის არ უნდა იქცეს არასამთავრობო ექსპერტიზაში მომუშავე ხალხის თავიდან მოსაცილებლად საჭირო რეალურ ბერკეტად. ლიცენზირების სისტემა მოქნილი მექანიზმი უნდა იყოს, გნებავთ, წარმომადგენლობითი საბჭოს ან კომისიის სახით. ამ კომისიაში უნდა შევიდნენ წარმომადგენლები ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებიდან თანაბარი პროპორციით. ის, რომ მე რომელიღაც უწყებამ შემამოწმოს, მიუღებელია. ექსპერტის ერთადერთი შემფასებელია სასამართლო. აქვე უნდა დადგეს ექსპერტის პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი. ამას გარდა, მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე უნდა მოქმედებდეს სასამართლო ექსპერტიზის ერთიანი ნორმატიული ბაზა და ლიცენზირების ერთიანი წესები. დღეს კი სასამართლო მედიცინაში 1978 წლის წესებით ვხელმძღვანელობთ – უბრალოდ, სირცხვილია! მარტო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაში მინიმუმ 30 ნორმატიული აქტია მისაღები. თუ გამოცდები ჩატარდება, ტესტებია შესადგენი. ფონდი „მედეა“ ფონდ „ჰორიზონტის“ ხელშეწყობით ატარებს სემინარებს, სადაც ჩვენ ვიწვევთ ყველა უწყებას, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორს. ამ ბოლო დროს უდიდესი მხარდაჭერა გაგვიწია საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა, რომელიც მთელი სერიოზულობით ჩაერთო ამ მსჯელობაში და დარბაზიც კი დაგვითმო. ჩვენ ამას სახელმწიფოებრივ მხარდაჭერად აღვიქვამთ. ბატონმა გია მეფარიშვილმა არაერთი საინტერესო მოსაზრება გამოთქვა და ისიც აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე, შესაძლოა, მხოლოდ საპროცესო კოდექსში შესწორებები იყოს საკმარისი, მე კი ვფიქრობ, რომ კანონის მიღება საჭიროა ამ საქმის ფინანსური და ორგანიზაციული საკითხების მოსაგვარებლად. თუ დაფინანსება არ იქნა, სისტემის ძირეულ გარდაქმნაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. კოდექსში ცვლილებების შეტანა მაშინ იქნება საკმარისი, თუ მხოლოდ ექსპერტის უფლებამოსილების გარკვევით შემოვიფარგლებით.

**– სისტემის რეორგანიზაცია და ძირეული გარდაქმნა აუცილებლად დააყენებს კადრების საკითხს. აქ როგორი მდგომარეობა გვაქვს?**

– ახალი კადრების მომზადებას დიდი დრო სჭირდება და ჩვენ ამის გამო პროცესს ვერ შევაჩერებთ. ამიტომ ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი იქნება ექსპერტთა კვალიფიკაციის ამაღლება, რასაც შესაბამისი ბაზა და თანხები დასჭირდება.

**– როგორც ვიცი, თქვენ საკმაოდ სერიოზულ წინააღმდეგობებს აწყდებოდით ექსპერტიზის დამოუკიდებლობის საკითხის თეორიულად დაყენების დონეზეც კი. დღეს კი საქმე შემობრუნდა და ალტერნატიული ექსპერტიზა „დე-ფაქტო“ აღიარეს. ვინ უფრო აქტიურად გიჭერთ მხარს?**

– მხარდამჭერთა ჩამოთვლა ახლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს დღევანდელი მხარდაჭერა. მინისტრის მოადგილემ ბატონმა ამირან გამყრელიძემ, ვფიქრობ, მთელი სამინისტროს პოზიცია დააფიქსირა, როდესაც აღნიშნა, რომ ის ალტერნატიულ ექსპერტიზას ცალსახად უჭერს მხარს. ამ საქმეში დღემდე არსებობს ერთი სერიოზულად შემაფერხებელი გარემოება – პრეზიდენტის 564-ე ბრძანებულება, რომელშიც ნათქვამია, რომ მოხდება მხოლოდ იმ საექსპერტო დაწესებულებების ლიცენზირება, სადაც სახელმწიფოს 100 პროცენტი წილი აქვს. ჩვენს ორგანიზაციას კი მიაჩნია, რომ ასეთი დისკრიმინაცია არასახელმწიფო სექტორში მოქმედი საექსპერტო დაწესებულებების ჩანასახშივე მოკვლის ტოლფასია. როგორც ბატონმა ამირან გამყრელიძემ აღნიშნა, ჯანდაცვის სამინისტროს უკვე წარუდგენია პროგრესული წინადადება ამ საკითხთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე ყველა მხარს უჭერს ექსპერტთა ლიცენზირებისათვის წარმომადგენლობითი კომისიის შექმნის იდეას. ახლა მთავარია, სახელმწიფომ ასეთ კომისიას დელეგირების უფლება მისცეს. ჩემთვის სასიამოვნო იყო იმის შეტყობა, რომ თურმე, სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსში ალტერნატიული ექსპერტიზის ერთი მუხლის „პიონერი“ ბატონი გია მეფარიშვილი ყოფილა. ის ამ საკითხს დღესაც მოყვ... ლი სერიოზულობით უდგება და აცხადებს, ცუდი კანონის მიღებას, სჯობს ისევე დავტოვოთ, როგორც არისო. ალტერნატიულ ექსპერტიზას აქტიურად მხარს უჭერს საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ქალბატონი ელენე თევდორაძე, აღარაფერს ვამბობ ადამიანის უფლებათა დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებზე და უცხოელთა მხარდაჭერაზე.



– უცხოელთა მხარდაჭერა რომ მართლაც რეალურია, ამაზე თუნდაც ის მოწმობს, რომ სულ მალე იუსტიციის სამინისტროს ძვირადღირებულ საექსპერტო ლაბორატორიას გადასცემს ამერიკული მხარე. როგორ ფიქრობთ, **როგორ გაგინაწილებთ იუსტიციის სამინისტრო ამ ლაბორატორიას თქვენ და სახელმწიფო ექსპერტიზას?**

– ამერიკული მხარე ამ ლაბორატორიის გადმოცემას ჯერ კიდევ სამი წლის წინ აპირებდა, მაგრამ ფიქრობდა, ვისთვის გადმოეცა. ჩემი პოზიცია ასეთია: ასეთი ძლიერი ლაბორატორიის მიცემა სახელმწიფო ექსპერტიზისათვის არასახელმწიფო ექსპერტიზის მკვლელობა იქნება, არადა, სახელმწიფოს რომ არ მისცე – ესეც დაუშვებელია. ალბათ, სწორია გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ეს ლაბორატორია გამოძიების შედეგებით დაუინტერესებელ უწყებას – იუსტიციის სამინისტროს – მიეცემა. ამის შემდეგ კი არასახელმწიფო სექტორსაც დასჭირდება დახმარება, რათა აქაც შეიქმნას ძლიერი სტრუქტურა და ბალანსი შევინარჩუნოთ. არსებობს მეორე გზაც – დამოუკიდებელი საექსპერტო უწყების შექმნა. ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ ბოლომდე ჩამოყალიბებულნი ჯერ არა ვართ, რადგან ჩვენ ვენდობით ბატონ მიხეილ სააკაშვილს და ვიცით, რომ ლაბორატორიას ის „ცუდად“ არავის გამოაყენებს, მაგრამ ადრე იქნება თუ გვიან, იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელად შესაძლოა, სხვა მოვიდეს. აქ კი არსად არის გარანტია, რომ ლაბორატორიას ვინმე არ „დაეპატრონება“.

**– ერთად მუშაობა არ გამოგივათ?**

– საერთო-სახალხო საკუთრებისა და კოლექტიური სარგებლობისა მე აღარ მჯერა. ამიტომ ვამბობ, რომ ერთ აპარატურაზე სხვადასხვა უწყების მუშაობა წარმოუდგენელია. დაუშვებელია ისიც, რომ იმ ლაბორატორიაში მუშაობდეს ხალხი, რომელსაც ჩვენ შეკვეთებს მივცემთ. ექსპერტიზა ძალიან სკრუპულოზური საკითხია და აქ მცირედ ცდომილებასაც კი სერიოზულ შეცდომამდე და საბოლოო შედეგის შეცვლამდე მივყავართ – ჩვენ ადამიანების ბედს ვეხებით და ეს სახუმარო საქმე არ არის!

**– როგორ ფიქრობთ, მაინც საჭირო გახდება თუ არა ექსპერტიზის შესახებ კანონის მიღება?**

– ექსპერტიზა ძალიან ფართო ცნებაა. ყველა ექსპერტის ერთი ქუდის ქვეშ მოქცევა ძალიან რთულია. თუ კანონზე წავა საუბარი, არ იქნებოდა ურიგო, ამ კანონში ყველა სახის ექსპერტიზა ცალკე თავებად შესულიყო. სამედიცინო ექსპერტიზა კი სხვათაგან ისეთი განსხვავებულია, იქნებ მასზე მსჯელობა ცალკეც კი სჯობდეს.

**– ამბობენ, ამ კანონის მიღება იმიტომ გაჭიანურდა, რომ ყველა მის საკუთარ ინტერესებზე მორგებას ცდილობსო...**

– სამწუხაროდ, ასეა. არავის უნდა ექსპერტიზა უწყებრივი დაქვემდებარებიდან გათავისუფლდეს. ახლა დავა ძირითადად მიდის ლიცენზირებაზე და ლაბორატორიაზე. პირადად მე, თუ ცოცხალი ვიქნები, პირობას გაძლევთ, რომ ამ ლაბორატორიას „ჯიბეში ვერავინ ჩაიდებს“. ამას გარდა, თვითონ იუსტიციის სამინისტრო და ამერიკელებიც ამ საკითხში საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმს აუცილებლად მიიჩნევენ.

**– ლევან ჩაჩუა ჩივის, რომ მის უწყებას დაუმსახურებლად ლანძღავენ და შეურაცხყოფას აყენებენ. რადგან მათი ერთ-ერთი ცნობილი „მოკრიტიკე“ თქვენცა ხართ, მითხარით, რას ერჩით, სახელმწიფო ექსპერტიზას ან მის უფროსსა და მოადგილეს?**

– პიროვნებებს რას უნდა ვერჩოდე? მით უფრო, რომ ამ ბიუროს უფროსს დღემდე უჩინმაჩინის ქუდი ახურავს. თუ აქამდე ხელფასების უწყისებზე მაინც აწერდა ხელს, ახლა აღარც ხელფასები აქვთ და ესეც აღარ უხდება. არც ერთ შეხვედრაზე, არც ერთ განხილვაზე და არც ერთ ექსპერტიზაზე მე ბატონი ზაზა ოქრუაშვილი არ მინახავს მაშინ, როდესაც ის არის ქვეყნის მთავარი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი და ვალდებულია, მნიშვნელოვან ექსპერტიზებს პირადად აკონტროლებდეს. როგორც ჩანს, ამ უწყებაში ყველაზე ჭკვიან კაცად უფროსის მოადგილე, ბატონი ლევან ჩაჩუა მოიაზრება, რომელიც ამტკიცებს, რომ არა აქვთ ხელფასი, მატერიალურ ტექნიკური ბაზა და წელიწადში 15 ათას ექსპერტიზას ატარებენ! მე რომ იქ ვმუშაობდი, ხელფასიც გვქონდა და, როგორც მავნე სამუშაოზე მომუშავეთ, დღეში ნახევარი ლიტრი რძეც! ახლა აღარაფერი არა აქვთ და აღარც ის ვიკითხოთ, ქაღალდის ფული მაინც საიდან მოაქვთ, რომ წელიწადში 15 ათასი დასკვნა დაწერონ?! აღარაფერს ვამბობ რეაქტივებზე. ყველამ კარგად ვიცით, რომ გიჟი არავინ არის და მარტო ენთუზიაზმზე არავინ მუშაობს. პირდაპირ ვამბობ: ამდენი ექსპერტიზა იქ ვერ ჩატარდება, თუ სხვა შემოსავალი არ არსებობს. სწორედ ამ სხვა შემოსავალშია „ძაღლის თავი დამარხული“.

**– თქვენ როგორ მოულობთ ფულს?**

– როცა გული მომივა ხოლმე, ვამბობ, რომ ჩვენ „საერთაშორისო მათხოვრები“ ვართ. უკვე მეექვსე საერთაშორისო პროექტს ვახორციელებთ. სწორედ გრანტების წყალობით, ჩვენი სამსახური უფასოა დაზარალებულთათვის და სოციალურად დაუცველთათვის. გვაქვს რეაქტივების ფულიც, კარგი ლაბორატორიაც, მიღწევებშიც შეგვიძლია წასვლა – რეგიონებში. მდიდარი არა ვარ, მაგრამ ამ გაჭირვებულ ქვეყანაში შემიძლია ვთქვა, რომ ნორმალური ხელფასი მაქვს. სახლებს ვერ ავიშენებ, მაგრამ არც მშიერი მოვკვდები.

**– მიუხედავად ამისა, არაერთს ჰგონია, რომ თქვენი სამსახური ძალიან ძვირია?**

– ამ ჭორებს ისევ სახელმწიფო ბიურო ავრცელებს და ფასებსაც ის „აწესებს“, რომ მერე თავისი „შედარებით დაბალი ფასი“ გაამართლოს! მე ყოველთვის მოვითხოვე, რომ ყველა დაზარალებული პირადად მოვიდეს ჩემთან განცხადებით. ამით „შუამავლისა“ და აქედან გამომდინარე, ყველა გაურკვევლობის პრობლემას ვხსნი.

**– სამართლებრივად რა პრობლემები გექმნებათ დღეს?**

– კანონის ვერ ან არ გაგების! მართალია, კანონი მუშაობის საშუალებას იძლევა, მაგრამ მისი კომენტარი არ არსებობს და კოდექსს ისე იგებენ, როგორც უნდათ. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის სახელმწიფო ბიურო კი, რომელსაც მე „კანტორას“ ვუწოდებ, თავს უფლებას აძლევს, ყველა კანონზე მაღლა დადგეს. მაგალითად, მათ შეუძლიათ, არ დამიძახონ და უჩემოდ ჩაატარონ კომისიური ექსპერტიზა, რომელშიც სასამართლოს გადაწყვეტილებით ვარ შეყვანილი.

**– ასეთ დროს რა უნდა ქნათ?**

– უნდა გავასაჩივრო ჩემი დასკვნის არასწორი ინტერპრეტაცია პროკურორთან. თავვასულობაა, როდესაც ხელს აწერენ დასკვნას ისე, რომ გვამი არც უნახავთ, ხოლო ნივთმტკიცება ჩემთან დევს და არ გახსნილა! როგორ ფიქრობთ, არ დევს აქ ბიუროს ინტერესი?

**– როგორ იქცევა რეფორმირებული სასამართლო? თქვენი აზრით, დასჭირდებათ თუ არა მოსამართლეებს ტრენინგები სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის კუთხით?**

– ჩემი აზრით, დასჭირდებათ მათ, ვინც გამოძიებიდან არ მოდის და ამ საკითხთან შეხება არ ჰქონია და ასეთ სურვილს გამოთქვამს. ვინც არა და – კვალიფიციურები არიან. ჩემი დასკვნის არგუმენტირებულად დასაცავად უფ- [illegible]

ელზა ჯემუხაძე.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 43, 50, 51, 57-59.

### მღვდელყოფილმა რელიგიური ლიტერატურა დააკავა

13 მარტს სახელმწიფო კანცელარიის შენობის წინ რწმენის თავისუფლების ცენტრის წარმომადგენლებმა საპროტესტო აქცია მოაწყვეს და მოითხოვეს ცალკეული რელიგიური სექტების დევნის შეწყვეტა. მათ უკმაყოფილება გამოთქვეს 10 მარტს ბაპტისტური ლიტერატურის დაკავების გამო. აქციაზე იმყოფებოდნენ, აგრეთვე ეგრეთ წოდებული გლდანის ეპარქიის წევრები ბასილ მკალავიშვილთან ერთად. ამ უკანასკნელთა განცხადებით, 16 თებერვალს ფოთის ნავსადგურში გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოებების საქართველოს წარმომადგენლების სახელზე შემოვიდა ჰუმანიტარული ტვირთი 4500 ცალი საბანი, რომელშიც გახვეული იყო ბაპტისტური ლიტერატურა. ჰუმანიტარული დახმარება სამეგრელოსა და გალში უნდა დარიგებულიყო და, ვინაიდან ლიტერატურის შესახებ დოკუმენტში არაფერი იყო ნათქვამი, მკალავიშვილის მრევლმა იგი კონტრაბანდად ჩათვალა და დააკავა.

### რუსუდან ბერიძე ძალადობას გმობს

საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ რუსუდან ბერიძემ უკმაყოფილება გამოთქვა 10 მარტს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, როცა დააკავეს რელიგიური ლიტერატურა. მისი აზრით, ნებისმიერი რწმენის მქონე ადამიანი, უპირველესად, საქართველოს მოქალაქეა და მათი უფლებები უნდა დავიცვათ. ხოლო მართლა იყო თუ არა დაკავებული ტვირთი კონტრაბანდა, ამის გარკვევა საბაჟო დეპარტამენტთან ვერ მოხერხდა, რადგან ტვირთის შემოტანაზე გაცემული თანხმობის დოკუმენტი დაკარგულია.

ინფორმაცია მოგვაწოდა საქინფორმმა.

პოლიციელის თავგანწირვა

# სიცოცხლე – სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად



გალის რაიონის სოფელ აჩიგვარას მკვიდრმა გურამ უბირიამ საკარმიდამოში მოყვანილი თხილი შემსყიდველ პუნქტს ჩააბარა ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული გ. უბირია დროებით ამ სოფელში ცხოვრობდა.

9 მარტს უბირიამ შემსყიდველი პუნქტიდან მიიღო ჩაბარებული თხილის საფასური – 4.800 ლარი, ჩაიდო ჩანთაში და ველოსიპედით შინისაკენ გაემართა.

სოფლის განაპირას მას ნიღაბაფარებული ავტომატიანი კაცი გადაუდგა გზაზე და ჩანთის გადაცემა მოსთხოვა. როგორც ჩანდა, ბანდიტმა კარგად იცოდა, რაც იდო ჩანთაში.

შეშინებულმა გურამ უბირიამ სცადა გაქცევა. ავტომატიანი უკან დაედევნა. უბირია ერთ-ერთ ეზოში შევარდა, საშველად უხმო ხალხს. მაგრამ, სანამ ვინმე ქრისტიანი გამოჩნდებოდა, ბანდიტმა ავტომატით დაცხრილა იგი, ფული აართვა და გაუჩინარდა.

საავადმყოფოში მიყვანილ გურამ უბირიას ველარაფერი უშველეს. ავტომატით მიყენებული მრავალი ჭრილობის გამო იგი გარდაიცვალა. სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის მთავარმა სამმართველომ და ზუგდიდის პოლიციის სამმართველომ შეტყობისთანავე დაიწყეს ოპერატიულ ღონისძიებათა განხორციელება ბანდიტის ვინაობის დასადგენად და დასაკავებლად.

სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი თამაზ ალანია:

– იმავე დღეს დავადგინეთ, რომ ბანდიტური თავდასხმა და მკვლელობა ჩაიდინა სოფელ დარჩელში მცხოვრებმა, ნასამართლევმა რუსლან ზარქუამ, მეტსახელად „კიკომ“. მას რუსეთშიც ჰქონდა მკვლელობა ჩადენილი. ორჯერ იჯდა ციხეში – მკვლელობისა და ქურდობისათვის. სასწრაფოდ გაიჩხრიკა მისი ბინა, საიდანაც ამოღებულ იქნა გატაცებული ფულის ნაწილი და სხვა სამხილები, თვით რუსლან ზარქუას კი გაესწრო სახლიდან.

დადგინდა მისი ნათესაური კავშირები. სავარაუდოთ მას რომელიმე ნათესავთან უნდა შეეფარებინა თავი. თითოეულ მისამართზე გაიგზავნა პოლიციის ოპერატიული ჯგუფი.

რუსლან ზარქუას და ხობის რაიონის სოფელ ურთულოში იყო გათხოვილი, ქიშვარდ ლატარიაზე. პოლიციის მთავარი სამმართველოს, ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს და ხობის რაიონის პოლიციის თანამშრომლებით დაკომპლექტებული ოპერატიული ჯგუფი 10 მარტს დილით ამ ბინის გადასამოწმებლად გაემართა. ოპერატიულ ჯგუფს სათავეში ედგა გამოცდილი და მამაცი პროფესიონალი, პოლიციის მაიორი მარლონ დარასელია, ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების ძებნის ქვეგანყოფილების უფროსი.

ქიშვარდი ლატარიამ და მისმა მეუღლემ კატეგორიულად უარყვეს რუსლან ზარქუას მათ ოჯახში ყოფნა. მაგრამ, ბევრისმნახველ ოპერმუშაკს მარლონ დარასელიას ყურადღება მიიქცია იმან, რომ ოჯახის დიასახლისი პოლიციელებთან საუბრისას მალიმალ გაიხედავდა ხოლმე ერთ-ერთი ოთახისაკენ, შემდეგ კი იმ ოთახშიც შევიდა. მარლონ დარასელია და ზუგდიდის პოლიციის თანამშრომელი ირაკლი გაწერელია ფეხდაფეხ მიჰყვნენ. ოთახში შესულებს ბანდიტი რუსლან ზარქუა შერჩათ ხელში. პოლიციელების დანახვისთანავე მან ხელყუმბარა დააძრო და სახლეთი მოხსნა.

ტრაგედია გარდუვალი იყო. დინჯმა და საზრიანმა მარლონ დარასელიამ ბანდიტს უთხრა:

– რატომ აგდებ საფრთხეში საკუთარ ან სხვის სიცოცხლეს, გადააგდე ხელყუმბარა და ნებაყოფლობით ჩაგვბარდი, კანონით გათვალისწინებული შეღავათი მოგეცემა.

ბანდიტი უარზე იდგა. იგრძნო, რომ ოჯახის წევრებიც ხელს უშლიდნენ სამართალდამცველებს. ისროლა ხელყუმბარა. ორმოცდაათწლეს გადაბიჯებულმა, მაგრამ ჯანიანმა და მჭევრცხლმა მარლონ დარასელიამ ელვის სისწრაფით ხელი მოხვია და ოთახიდან გარეთ ისროლა ბანდიტის და – ოჯახის დიასახლისი და პოლიციის ახალგაზრდა თანამშრომელი ირაკლი გაწერელია. ისინი გადარჩნენ. ერთი წამის შემდეგ მაიორ მარლონ დარასელიასა და ბანდიტ რუსლან ზარქუას შუაში აფეთქებულმა ხელყუმბარამ ორივე ნაფლეთებად აქცია.

პოლიციის კიდევ ერთმა ღირსეულმა თანამშრომელმა შესწირა სიცოცხლე სხვათა სიცოცხლის გადარჩენას.

ზუგდიდში იხსენებენ: მარლონ დარასელია საოცრად გამბედავი და მოსიყვარულე ადამიანი იყო. ყველაზე ექსტრემალურ სიტუაციაშიც კი არ ფიქრობდა საკუთარ უსაფრთხოებაზე. პირველი შედიოდა საშიში ბოროტმოქმედის ასაყვანად, ახალგაზრდა თანამშრომლებს წინ არ უშვებდა, მათ სიცოცხლეს უფრთხილდებოდა.

მ. დარასელია 1971 წლიდან მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში. დაამთავრა თბილისის მილიციის საშუალო სპეციალური სკოლა, იყო უბნის ოპერრწმუნებული, ზუგდიდის პოლიციის რაიგანყოფილების, შემდეგ კი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი, უფროსი ინსპექტორი, ქვეგანყოფილების უფროსი. ღირსეული ვაჟკაცი ადრეც მრავალჯერ მდგარა სიკვდილის პირისპირ.

სტრიქონები მისი პირადი საქმიდან:

„სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისა და საზრიანი ოპერატიული ღონისძიების გატარებისათვის, რომლის შედეგადაც ცხელ კვალზე დადგენილ და დაკავებულ იქნა საშიში ბოროტმოქმედი, რომელმაც ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით სხეულის დაზიანება მიაყენა დარჩელისა და ყულისკარის ქვეგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს უფროს ინსპექტორს გ. აბშილავასა და გ. გოგოხიას“ შს მინისტრის 1995 წლის 13 სექტემბრის ბრძანებით მ. დარასელიას გამოეცხადა მადლობა.

მარლონ დარასელიას შს მინისტრის ბრძანებით 1973 წლის 28 დეკემბერსაც გამოეცხადა მადლობა „სისხლის სამართლის დამნაშავეობასთან აქტიური ბრძოლისა და ოპერატიულ-სამსახურებრივ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის“.

**შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ ამ დღეებშიც მოაწერა ხელი მარლონ დარასელიას მაღალი პროფესიონალიზმის, ვაჟკაცობისა და თავგანწირვის ამსახველ დოკუმენტს – იგი წარდგენილ იქნა სახელმწიფო ჯილდოზე, ჯილდოზე, რომელიც უკვდავყოფს ღირსეული მამულიშვილის ნათელ ხსოვნას.**

ვალერიან გოგოლაშვილი.

სურათზე: გმირულად დაღუპული პოლიციის მაიორი მარლონ დარასელია.

წინადადება

# დიდი, საჭირო, გადაუდებელი საქმე,

## ანუ ბავშვები და მოძრაობის უსაფრთხოება

**ავტომობილიზაციის განუხრელმა ზრდამ მისი გამოგონების დღიდან, მესამე ათასწლეულის დაწყებამდე, საკმაო საფიქრალისა და წინააღმდეგობის წინაშე დააყენა კაცობრიობა. საავტომობილო ინდუსტრიის შემდგომი ზრდა-განვითარება დიდად შეუწყობს ხელს ხვალინდელი დღის კეთილდღეობასა და სრულყოფას, საზოგადოების მშვიდობიან, ჰარმონიულ განვითარებას, ტექნიკურად სრულყოფილმა ავტომობილმა მოსვენებულ, კომფორტულ ყოფასთან ერთად საწუხარიც საკმაოდ არგუნა ადამიანებს: საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები და ტრაგიკული კატასტროფები სავალალო შედეგებით, მხამიანი გამონაბოლქვებით დაბინძურებული გარემო და ა.შ.**

დავეთანხმებით, შეუძლებელია პიროვნების მოძებნა, უშუალო შეხება რომ არა ჰქონდეს ავტომობილთან. ჩვენდა სასიხარულოდ თუ სამწუხაროდ, ნებისმიერი სქესის, ასაკისა და პროფესიის ადამიანები უიმისოდ ვერ ცხოვრობენ. სასიხარულოდ იმიტომ, რომ ავტომობილს უამრავი სიკეთე მოაქვს ჩვენთვის, სამწუხაროდ კი იმიტომ, რომ იგი ზოგჯერ უბედურების მიზეზი ხდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველწლიურად ჩვენში ასობით ადამიანი იღუპება, ათასობით დაშავდება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს. და რაოდენ მძიმეა იმისი წარმოდგენა, რომ მათ შორის ბავშვები და მოზარდებიც არიან. გვეფიქრია იმაზე, რომ ამის მიზეზი გარკვეულწილად ჩვენი შეცდომებიცაა? იქნებ ვაღიაროთ ეს დანაშაული მომავალი თაობის წინაშე და შევეცადოთ იგი ეფექტიანი და მიზნობრივი ღონისძიებებით გამოვასწოროთ. ამიტომაც მივიჩნევთ საჭიროდ ყოველი მშობლის ჩასაგონებლად, რომ აღზრდა-განათლებასთან, ქცევის ნორმების შეთვისებასთან ერთად, შეილებს ქუჩაში სიარულის, ტრანსპორტით სარგებლობის წესებიც ასწავლონ, შთააგონონ და ცხოვრების ყოველდღიურ, აუცილებლად შესასრულებელ მოთხოვნად გადააქციონ.

ხშირად შეგვინიშნავს ტრანსპორტის სავალ ნაწილზე მოთამაშე ბავშვები. მათ არ იციან საგზაო მოძრაობის ელემენტარული წესები. არა აქვთ წარმოდგენილი ამ „უმნიშვნელო“ დარღვევას რა სავალალო შედეგები შეიძლება მოჰყვეს. თანამედროვე დიდი ქალაქების ერთ-ერთ მწვავე პრობლემად კვლავაც რჩება ბავშვთა საგრანსპორტო ტრავმატიზმის უსაფრთხოების ორგანიზაცია. ამ მხრივ გამონაკლისი არც ჩვენი ქალაქებია, უპირველესად კი თბილისი. მომხდარი საგზაო შემთხვევების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ათიდან რვა შემთხვევაში ბავშვები დროულად ვერ ამჩნევენ მათთვის სახიფათო ტრანსპორტის მოძრაობას. ძალზე დაბალია მათი ორიენტაციის, შეფასებისა და გათვალისწინების უნარი მოახლოებული საშიშროებისადმი. ამიტომაცაა საჭირო, რომ ბავშვებს დროულად და საფუძვლიანად ვასწავლოთ ქუჩაში მოძრაობის წესები და განვუვითაროთ სწორი ორიენტაციის უნარი. ამას ყველაფერს მოზარდი საბავშვო ბაღიდან უნდა მივაჩვიოთ.

მაგრამ, რა მდგომარეობაა ამ მხრივ უშუალოდ სკოლებში?

გულისტკივილით აღვნიშნავთ, რომ სკოლებში ამ მიმართულებით არაფერი კეთდება. ცხოვრების მანძილზე ყველგან და ყველა ასაკში ბევრს ვსწავლობთ და ვიძენთ, მაგრამ სკოლას ვერაფერი შეედრება. მოსწავლემ საგზაო მოძრაობის ელემენტარული წესები სკოლაში უნდა ისწავლოს! ფუნდამენტურ საგნებთან ერთად მშობლები და მასწავლებლები ბავშვებს უცხო ენებისა და კომპიუტერის სწავლებას, სპორტისა და მუსიკის, ხატვის მეცადინეობებს უმატებენ. ეს ყველაფერი კარგი და მისასალმებელია, თუკი ბავშვის გონებრივი შესაძლებლობის ზღვრებშია მოქცეული. მაგრამ, იშვიათად შეხვდებით მშობლებსა და მასწავლებლებს, ასეთივე გულმოდგინებით ავტომობილსა და მოძრაობის წესებს რომ ასწავლიდნენ. ვიმეორებთ: მოძრაობის წესები აუცილებელი და ძირითადი საგანი უნდა იყოს სკოლებში გაზრდილი მოთხოვნილებით და პასუხისმგებლობით სწავლისათვის და არა ყოფაქცევის ნიშანივით ავტომატურად ჩათვლილი. განა შეიძლება ვასწავლოთ სხვას ის, რაც თვითონ არ ვიცით? ვაი, რომ ეს იშვიათობა არ გახლავთ. ამიტომაც, ხელისუფლებამ, უპირველესად კი განათლების სამინისტრომ უნდა გადაწყვიტოს, თუ რა, როგორ და რითი ისწავლებოდეს და ვინ ასწავლიდეს. ამისათვის კი, უპირველესად, აუცილებელია ქართულ ენაზე შესაბამისი სახელმძღვანელოთი სარგებლობა. იგი მეთოდურ დახმარებას გაუწევს პედაგოგებს საგზაო მოძრაობის საკითხების სწავლებაში.

### ანეკდოტი თემაში

**ავტოინსპექციაში „კეთილმოსურნე“ მოქალაქე რეკავს და ატყობინებს, რომ სულ ცოტა ხნის წინათ ამა და ამ გზატკეცილზე ნახა მე-600 „მერსი“, №4656 იკლმნ, რომელიც 240 კმ/სთ სიჩქარით მიჰქროდა.**

**ინსპექტორი გაოცდა:**

**— კი მაგრამ, როგორ მოასწარით ასეთ სიჩქარეზე მანქანის მარკაც შეგემჩნიათ და ნომერი ჩაგეწერათ?**

**— დავეწიე.**

როგორც სხვა ბევრ რამეს, ამ გადაუდებელსა და დროულად მოსაგვარებელ საქმესაც დანაშაულებრივად მოვეხუჭეთ თვალი. არადა, ბავშვების მიერ საგზაო მოძრაობის წესების შესასწავლი მშვენიერი წიგნი „საგზაო მოძრაობის წესების სწავლება სკოლაში“ (ავტორი რ. იანტბელიძე, რეცენზენტები: საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი და ამავე სამმართველოს ვიცე-პოლკოვნიკი მიხეილ თვალავაძე) კარგა ხანია შედგენილია.

დასახელებული წიგნის გადაუდებელ დასტამბვაზე და სკოლებში მისით საგზაო მოძრაობის წესების აუცილებელ სწავლებაზე საქმიანად იმსჯელეს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში. წიგნის განხილვის შემდეგ მას დადებითი შეფასება მისცეს ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორებმა, პროფესორებმა ე. შაფაქიძემ და ი. მშვილდაძემ.

„აღნიშნული წიგნის მიზანია მცირე ასაკიდან ბავშვებს – მოსწავლეებს ჩაუნერგოს საგზაო მოძრაობის წესების დაცვის აუცილებლობა. მათ პატარაობიდან უნდა იცოდნენ, რომ ეს პირადი და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უმთავრესი მოთხოვნაა. პატარა მოქალაქეები წესრიგის დაცვას თავიდანვე უნდა მიეჩვიონ. საგზაო ნიშნების შინაარსსა და მოთხოვნებს მოსახლეობის უმრავლესობა არ იცნობს და ეს მეტად სამწუხარო ფაქტია. ავტომობილი მომეტებული საშიშროების ტექნიკური საშუალებაა და მას გულგრილად არ უნდა მოვეპყრათ.

წიგნი გასაგები, მარტივი ენით არის დაწერილი, არც ზედმეტი მასალით გახლავთ გადატვირთული და კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს“, – წერენ რეცენზენტები.

ვფიქრობთ, ავტორიტეტული სპეციალისტებისა და მეცნიერების ამგვარი შეფასება საკმარისი უნდა იყოს დასახელებული წიგნის სრულყოფილი შეფასების სარწმუნოდ აღიარებისათვის. მისი გადაუდებელი, დროული გამოცემისათვის. აღსანიშნავია, რომ მომავალი თაობის მიერ საგზაო მოძრაობის წესების შესწავლისთვის საჭირო დასახელებული წიგნი განსახილველად რამდენჯერმე წარედგინა განათლების სამინისტროს. მაგრამ გულგრილობისა თუ სხვა რამის გამო, დღემდე არავის არანაირი ოფიციალური მოსაზრება არ გამოუთქვამს და პასუხი არ გაუცია. და კიდევ ერთი: არ არის გამორიცხული, სამინისტროდან თანხმობის მიღების შემთხვევაშიც კი, კიდევ ერთმა მთავარმა შემაფერხებელმა მიზეზმა – უსახსრობამ იჩინოს თავი. დღეს, რატომღაც ისე ხდება, რომ ფინანსურად შეძლებული პიროვნებები ფულს უმეტესად საზოგადოებისთვის მეტნაკლებად საჭირო საქმეს, ზოგჯერ ზიანის მომტანსაც კი ახმარენ და მის შედეგს ნაკლებად უფიქრდებიან.

ვფიქრობთ, ნათქვამს ყურად იღებენ საქმიანი ადამიანები, მხარში ამოგვიდგებიან და საერთო ძალისხმევით თავს მოვაბამთ ყველასათვის აუცილებელ საქმეს. გამოვიჩინოთ გულისხმიერება და პატარა მოქალაქეებს დროულად ვუძღვნათ ეს წიგნი – საიმედო მრჩეველი და დამრიგებელი, ხელიხელჩაკიდებული მშვიდი, უმტკივნეულო ყოფის აუცილებელი წინაპირობა.

**ყოველდღიურად მარტოოდენ თბილისში სამ ასეულ ათასამდე (!) სატრანსპორტო საშუალება მოძრაობს. გავითვალისწინოთ ქალაქის რელიეფის თავისებურება, საგზაო მოძრაობის მონაწილეთა (მძღოლი, მგზავრი, ქვეითად მოსიარულე) უდისციპლინობა და შესაბამის დასკვნამდე მივალთ: მოზარდი სკოლიდან, დაწყებითი კლასებიდანვე უნდა მივაჩვიოთ იმ აზრს, რომ სახლამდე და უკან ისეთი მარშრუტით იმოძრაოს, რომელიც სრულიად უსაფრთხო იქნება მისთვის. მოსწავლეებს, რომლებიც სახლიდან სკოლამდე და პირიქით, საზოგადოებრივი სარგებლობის ტრანსპორტით დადიან, დაწვრილებით უნდა განემარტოთ მისით სარგებლობის წესები.**

რობერტ იანტბელიძე,
პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი;

ვალერიან ლეკიშვილი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი.

**რედაქციისაგან:** ვფიქრობთ, ეს წინადადება ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას. პრობლემას, რომელსაც ავტორები სვამენ, აქტუალობა დღითიდღე ემატება და მხოლოდ განათლების სამინისტროს ან საგზაო პოლიციის საფიქრალი არ უნდა იყოს.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

№ 61. ხუთშაბათი, 15 მარტი, 2001 წელი.

## უახლესი წარსული

საქართველოს წარმომადგენლის შემდეგ კიდევ რამდენიმე გენერალი გამოვიდა. ყველა განხორციელებულ ღონისძიებებზე ლაპარაკობდა, ამბობდნენ თავიანთ ამოცანებზე, ანგარიშს აბარებდნენ თავისი ხალხის ნარებდნენ თავისი ხალხის ნაცვლად. დასასრულ მათ პრეზიდენტმა შეახსენა ფხიზლად ყოფნის აუცილებლობაზე და რომ რესპუბლიკის მტრებს არ მისცენ კონტრაქტზე ხელმოწერის ჩაშლის საშუალება. შემდეგ თათბირი დამთავრებულად გამოაცხადა. საველიევი შეძრწუნებული იყო. ნუთუ ყველაფერი ამით მთავრდებოდა?

როცა ყველა წამოდგა, მასთან უცნობი მამაკაცი მივიდა და ჩურჩულით სთხოვა, შეყოვნებულიყო. საველიევი უცნობს სხვა კაბინეტში შეჰყვა. იქ მხოლოდ რამდენიმე კაცი იყო – ეროვნული უშიშროების მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი და უცნობი, საველიევს ამ კაბინეტში რომ შემოუძღვა. ერთი წუთის შემდეგ კაბინეტში ალიევი შემოვიდა. ის საველიევთან მივიდა:

– თქვენ, დიდი ხანია, მუშაობთ კონტრდაზვერვის ორგანოებში?

– ოცი წელია, – აღიარა პოლკოვნიკმა.

## ჩინგიზ აბდულაევი:

# სისხლის სამი ფერი



– მე კი, თითქმის ოცდაათი წელია, რაც სხვა სამუშაოზე გადავედი, – ჩაიცინა პრეზიდენტმა, – დაბრძანდით, დავიწყოთ.

ახლა კი საველიევი მიხვდა გასვლილი თათბირის აზრს. ეს იყო მხოლოდ იძულებითი აუცილებლობა – ხალხი ჰყოლოდათ საჭირო რიტმში, არ მიეცათ მოდუნების საშუალება. მაგრამ ასეთ სიტუაციაში რაიმეს გადაწყვეტა, როგორც ჩანს, არ იგეგმებოდა.

ალიევი კონტრდაზვერვაში საკმაოდ დიდხანს მუშაობდა, მათა სცოდნოდა, თუ როგორ წყდება მსგავსი ოპერატიული საკითხები, გარდა ამისა, სწორედ ის ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის კონტრდაზვერვას, სანამ ადგილობრივი სახელმწიფო უშიშროების ხელმძღვანელად დააწინაურებდნენ.

ამჯერად საქმე ზედმეტი ლაყბობის გარეშე წარიმართა. ალიევი იცნობდა კონტრმზვერავის პროფესიას და იძლეოდა კონკრეტულ, ზუსტ კითხვებს.

– მითხრეს, რომ თქვენ გაგაჩნდათ ინფორმაცია ერთ-ერთ შესაძლო ტერორისტზე? – მიმართა მან საველიევს.

– დიახ, გუშინ ჩვენ გადავეცით ამ კაცის დაახლოებითი აღწერილობა. მაგრამ მისი ზუსტი დადგენა ვერ შევძელით.

– ჩვენ უკვე დავადგინეთ მისი ვინაობა, – თქვა პრეზიდენტმა, – თათბირზე ამის თქმა არ მინდოდა. იქ ძალზე ბევრი ხალხი იყო, ჩვენი პროფესია კი ასეთ რეკლამას არ საჭიროებს.

საველიევი გაგებით დაეთანხმა.

– აბა, მოგვიყევით, – ალიევმა მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს, – აღგომა საჭირო არ არის. დამჯდარმა ილაპარაკე.

მინისტრმა ქაღალდები ამოიღო.

– შევძელით დადგენა, რომ ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოში ახლახან სამუშაოზე მიიღეს მაიორი ალესკერ სამედოვი. უფრო სწორედ ის აღადგინეს სამუშაოზე დათხოვნის შემდეგ, – შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებიდან სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენებისათვის დათხოვნის შემდეგ, – ფრთხილად შეასწორა მინისტრმა.

– სად გააგზავნეთ? – იკითხა პრეზიდენტმა.

– როგორც ადრე, რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციაში, – გაჭიმა მინისტრმა. ჩანდა, რომ მას უჭირდა ამაზე ლაპარაკი.

– ბრძანებას ვინ მოაწერა ხელი? – მოიღუშა პრეზიდენტი.

მინისტრი შეცბა.

– მე, – თქვა მან ბოლოს, – კადრების განყოფილებიდან მომიტანეს და მეც მოვაწერე.

კაბინეტში სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა ელოდა, თუ რას იტყოდა პრეზიდენტი, თან ყველას ეშინოდა. ალიევმა მკვეთრად ჩაიქნია ხელი, ზიზღით შეიჭმუხნა.

– შეამოწმე, ეს რა ხდება! ბოროტმოქმედნი უკვე თვითონ წყვეტენ, ვინ სად დანიშნონ. სამედოვზე თვალთვალი დააწესეთ?

– ყველაზე საუკეთესო ხალხი გავგზავნე, – ამოიხვნეშა მინისტრმა, – ყოველ მის ნაბიჯს ვუთვალთვალებთ.

– თქვენ კიდევ ხომ არა გაქვთ რაიმე ინფორმაცია? – ჰკითხა პრეზიდენტმა საველიევს.

– თქვენს კონტრმზვერავებს გადავეცით გრუოდისისა და მისი ხალხის ფოტოსურათები, – მოახსენა საველიევმა, – ინგლისიდან მიღებული ცნობით, ჯგუფის წევრებისათვის ანგარიში იქ გახსნა ჩვენთვის უცნობმა, ვიღაც თურქეთის ქვეშევრდომმა.

პრეზიდენტმა ეროვნული უშიშროების მინისტრს გადახედა. ცხადია, ორივემ ერთი და იგივე გაიფიქრა. ადრე უკვე იყო რამდენიმე მსგავსი სიგნალი „მეგობარი მეზობლიდან", მაგრამ რუსი პოლკოვნიკის თანდასწრებით ამაზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა.

– შენ როგორღა გაქვს საქმე? – ჰკითხა პრეზიდენტმა უცნობს, საველიევის გვერდით რომ იჯდა.

– ხვალ, დილიდან ალყაში მოვაქცევთ ყველა გზას „გიულისტანის" სასახლისაკენ, – მოახსენა მან, – ვერტმფრენები იფრენენ. აეროპორტში შეხვედრისას აეამოქმედებთ თავდაცვის სამინისტროს ძალებს, გავაორმაგებთ ჩვეულებრივ დაცვას.

– „ეს დაცვის სამმართველოს უფროსი იქნება", – მიხვდა საველიევი.

– ყველაფერი სწორია, – დაეთანხმა კაბინეტის პატრონი, – მაგრამ მე მეჩვენება, რომ არ გაითვალისწინეთ იმ ტერორისტების სპეციფიკა. ისინი ხომ უბრალო ბანდიტები არ არიან, არამედ სუკის ყოფილი თანამშრომლები. მაშასადამე, რაღაც არაორდინალურს გამოიგონებენ.

– მთელი ტრასა ჩვენს კონტროლზე იქნება, – ხელები გაფარჩხა დაცვის უფროსმა.

– ტრასა რა შუაშია? – ალიევი ჩაფიქრდა, – არა, ისინი ტრასაზე არ დაგვესხმებიან. იქ ბევრი დამცველი იქნება და მანქანებიც სწრაფად ივლიან. გეუბნები, ისინი რაღაც სხვა სვლას გამოიგონებენ.

– სამედოვი საი-შია აღდგენილი, – განაგრძო დაცვის უფროსმა, – ჩვენ ვთვლით, რომ თავდასხმა ტრასაზე მოხდება. ჩვენ ზოგი რამ შევიმუშავეთ.

– მაინც რას გვთავაზობთ?

– როცა თქვენი ავტომანქანები გაივლის, ყველა გზა გადაიკეტება. ერთის მხრივ, ეს უსაფრთხოებაა, ხოლო მეორე მხრივ – ყველამ იცის, რომ თქვენ უნდა გაიაროთ. შეიძლება, მათ ყველაფერი ამისათვის მოამზადეს. ამიტომაც ჩვენ ჯერ ცრუ ესკორტს გავუშვებთ თქვენი ავტომანქანით, შემდეგ კი მეორე კოლონაში გაივლით თქვენ შევარდნაძესთან ერთად. თუ ტერორისტები აქციას ტრასაზე ამზადებენ, ისინი თქვენს ავტომანქანას დაარტყამენ, – მოახსენა დაცვის უფროსმა.

– ყველანაირ გართულებებს იგონებ, – ჩაიბუზღუნა პრეზიდენტმა, – იმათაც, ალბათ, რაღაც ამნაირი მოიფიქრეს. შენ მორჩი?

– შევარდნაძესა და მის დელეგაციას სასტუმრო სახლში მოვათავსებთ. იქ საიმედო დაცვა იქნება, არავის შევუშვებთ. მხოლოდ ჩემი ხელმოწერით გაატარებენ.

– ისინი ჩვენს ერთობლივ მკვლელობას ამზადებენ, – შეახსენა პრეზიდენტმა, – მაშასადამე, ნებისმიერ შემთხვევაში, თავდასხმა იქ არ მოხდება. უნდა შემოწმდეს ის ადგილები, სადაც ჩვენ ორნი ვიქნებით.

– აეროპორტში, ტრასაზე, თქვენთან კაბინეტში, ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დროს და საღამოს, ბანკეტზე. ჩვენ ყველაფერი ნაბიჯ-ნაბიჯ შევამოწმეთ. უკვე დღეს ალყა შემოვარტყით აეროპორტს, დავაყენეთ დამატებითი სამხედრო ნაწილები, ყოველ შემთხვევისათვის საზენიტო ტყვიამფრქვევებიც კი.

– გასაგებია. შენ რას იტყვი? – მიმართა ალიევმა ეროვნული უშიშროების მინისტრს.

– ვეძებთ გრუოდისის ხალხს მთელ ქალაქში. ყველას, ვინც ქალაქში ჩამოფრინდება, საზღვარზევე შეამოწმებენ. აეროპორტში მკაცრი კონტროლია დაწესებული. რესპუბლიკის გზებზე ჩვენი სამინისტროს რაიონული განყოფილებების ოფიცრები იმორიგევებენ. დღეს დილიდან ჩავკეტავთ ქალაქს. შინაგან საქმეთა სამმართველოსთან ერთად გზებზე დავაყენებთ ბლოკპოსტებს. იქნებ ისინი ქალაქში აეროპორტიდან არ შემოვიდნენ.

– დღეს ათია, – შეახსენა პრეზიდენტმა, – შენ ფიქრობ, რომ ისინი ახლა აპირებენ ჩამოსვლას? ისინი დიდი ხანია, ქალაქში არიან. უკეთესია, აქ ეძებოთ. ისინი უეჭველად გამოჩნდებიან იმ ადგილებში, სადაც ტერორისტულ აქტს გეგმავენ. ჩვენს რუსეთელ სტუმარს შეკითხვები ხომ არა აქვს?

– არა, – თქვა მეორე თათბირით კმაყოფილმა საველიევმა, – ამჯერად უკვე არა.

### თავი 16

ამ ქალაქში ყველაფერი სხვანაირად ეჩვენებოდა. ქალაქელთა სახეებიდან ღიმილი გაქრა. სავაჭრო ქუჩაზე, ადრე მოსეირნეთათვის მთავარი „ავენიუ" რომ იყო, აღარ ისმოდა ხმამაღალი მისალმებები და გახარებული შეძახილები. ყველგან გაჩენილმა სუპერმარკეტებმა და მაღაზიებმა ქალაქს ახალი სახე მისცა, მაგრამ ძველი მომხიბლაობა დაუკარგა. დაიწყო სახლების გადაკეთება, რომელთა გარეგანი სახე ადრე ნოსტალგიას აღვივებდა, ახლა კი თავისი უნიფიცირებულობითა და საზოგადოების აშკარა გამოწვევით უსიამოვნებას იწვევდა.

გაქრა ზღვისპირა ბულვარიც, ქალაქელების მთავარი დასასვენებელი ადგილი. სხვათა შორის, სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, ამაში ადამიანები ნაკლებად არიან დამნაშავენი: აბობოქრებულმა ზღვამ, თითქოს იგრძნოო ქალაქის დრამა, მას თავისი შტრიხები დაუმატა და დატბორა ბულვარის დიდი ნაწილი, ადრე ბაქოელები რომ ამაყობდნენ. ზღვამ საშიშ დონემდე აიწია და ნამდვილი ეკოლოგიური უბედურებით იმუქრებოდა. შესაძლებელია ისიც, როგორც ცოცხალი არსება, ზღვაც გრძნობდა ამ გასაოცარ ქალაქში მომხდარ ცვლილებებსა და მრისხანედ რეაგირებდა მათზე?

ძველი მკვიდრნი ჩურჩულით ყვებოდნენ, რომ ოთხმოცდაათის იანვრის დღეებში, როცა საბჭოთა არმია ქალაქში შევიდა, გვამებს ზღვაში ყრიდნენო. შესაძლებელია, ეს მხოლოდ ჭორები იყო, მაგრამ, როგორც არ უნდა ყოფილიყო, სწორედ ბოლო წლებში ზღვამ საშიშად დაიწყო აწევა და შემოგარენის დატბორვა.

ბულვარისადმი ნოსტალგიას ისიც აძლიერებდა, რომ პრაქტიკულად აღარ დარჩნენ ისინი, ვინც ოდესღაც ქალაქელთა გასაოცარ ეთნიკურ და მრავალგანზომილებიან სამყაროს ქმნიდნენ. მაგრამ თვით აყრილი სომხებიც კი ერევანში როდი გადადიოდნენ. ისინი ნიუ-იორკსა და პარიზში მკვიდრდებოდნენ, მოსკოვსა და ლენინგრადში მიემგზავრებოდნენ, ბელორუსიასა და უკრაინაში სახლდებოდნენ და ყველგან, სადაც ახლა ისინი იყვნენ, სულში ამ საოცარი ქალაქისადმი მადლიერებასა და ხსოვნას ინარჩუნებდნენ.

შემდეგ იყო ემიგრაციის მეორე ტალღა – ყველა ისრაელში მიემგზავრებოდა. ბევრი დააშინა ოთხმოცდაათიანი წლების სისხლიანმა მოვლენებმა, ბევრმაც გადაწყვიტა, რომ გამგზავრების დრო დადგაო. მესამე ტალღა, ყველაზე დიდი, დაიწყო ხელისუფლებაში სახალხო ფრონტის მოსვლის შემდეგ. ინტელიგენცია, რუსულენოვანი მოსახლეობა, მუსიკოსები, კომპოზიტორები, მწერლები, მხატვრები – ერთ დროს ქალაქის სიამაყეს, მის დიდებასა და იმედს რომ წარმოადგენდნენ, ტოვებდნენ მას, ზოგს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა ერეკებოდა, მხოლოდ ბოლო რამდენიმე წელიწადში მოსახლეობის გადინება რამდენადმე შემცირდა. მაგრამ ეს უკვე ის ქალაქი აღარ იყო.

თარგმნა
**ვალიკო სიმონიშვილმა.**

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 59-60.

## თურქულისთვის საზღვრები არ არსებობს



ფრანგები შიშობენ, რომ კოცონები მათ ქვეყანაში კიდევ დიდხანს იგიზგიზებს.

**შეერთებულმა შტატებმა და კანადამ გამოაცხადეს, რომ წყვეტენ ყოველგვარი ხორცპროდუქტების იმპორტს ევროპის კავშირის ქვეყნებიდან, ეს მოხდა სულ ცოტა ხანში მას შემდეგ, რაც საფრანგეთი გახდა ევროპის პირველი კონტინენტური ქვეყანა, რომელშიც დაფიქსირდა პირუტყვის უაღრესად გადამდები დაავადების – თურქულის აფეთქება.**

აშშ-მა აგრეთვე გამოაცხადა, რომ კარანტინს გაივლის მთელი ხორცპროდუქტები, რომლებიც ევროპიდან არის იმპორტირებული 21 თებერვლის იმ დღის შემდეგ, როდესაც ავადმყოფობა პირველად აღირიცხა ბრიტანეთში.

ხორციელდება სხვა ღონისძიებებიც, რათა თავიდან აიცილონ ამერიკაში თურქულის შეღწევა. ევროპიდან ყველა ჩამოსული თუ დაბრუნებული ტურისტი ვალდებულია, უპასუხოს კითხვაზე, იყო თუ არა რომელიმე ფერმაში.

მკვეთრად გაძლიერდა კონტროლი ამერიკის აეროპორტებსა და ნავსადგურებში: საგანგებოდ დაგეშილი ძაღლები ამოწმებენ მგზავრების ბარგს.

ევროკავშირის წარმომადგენლები აშშ-ში ევროპული ხორცპროდუქტების იმპორტის აკრძალვით გამოწვეულ ზარალს მილიარდობით დოლარად აფასებენ. განსაკუთრებული ვნება მიადგა დანიას – ბეკონის ძირითად მიმწოდებელს.

თურქულისაგან კონტინენტური ევროპის დაცვის ცდები ამაო გამოდგა. ფრანგმა ვეტერინარებმა დაადასტურეს, რომ ლუარისა და ნორმანდიის დეპარტამენტებს შორის საზღვარზე მდებარე ფერმაში აღმოჩენილია დაავადებული პირუტყვი.

სულ რამდენიმე საათის შემდეგ ევროპის ქვეყნებმა მიიღეს სასწრაფო ღონისძიებანი თავიანთ ტერიტორიაზე დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად. გერმანიაში კვლავ დაიწყეს პირუტყვის დაკვლა და აკრძალეს მისი გადატანა.

ევროკავშირის ვეტერინარებმა გადაწყვიტეს, აკრძალონ პირუტყვის მთელი ექსპორტი საფრანგეთიდან. აკრძალვა ძალაში შევა მას შემდეგ, რაც ევროკომისია მოიწონებს. ვეტერინარიის საბჭომ აკრძალა აგრეთვე ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების ექსპორტი საფრანგეთის იმ რაიონებიდან, სადაც თურქული დაფიქსირდა.

ბრიტანეთში სამშაბათს აღირიცხა რვა ახალი აფეთქების შემთხვევა. საერთო ანგარიშით, თურქულის ეპიდემიის მსხვერპლი გახდა 191 ფერმა.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა ნიკ ბრაუნმა შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებთან მოლაპარაკება გამართა იმის თაობაზე, რომ შესაძლოა, მიიწვიონ სამხედრო მოსამსახურენი დასნებოვნებული პირუტყვის დასახოცად. საფრანგეთში უკვე დაიკლა ათიათასობით სული პირუტყვი, ბევრი სასოფლო რაიონი კი დაიხურა სტუმრებისათვის.

საფრანგეთში თურქულის აფეთქება დადასტურდა მას შემდეგ, რაც ვეტერინარებმა მოაწყვეს ექსპრეს „ეჭვმიტანილი" ძროხის სისხლის ანალიზი.

საფრანგეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებმა თქვეს, რომ დასნებოვნებული პირუტყვი ბალახობდა იმ ფე-



საფრანგეთში უკვე ათიათასობით სული პირუტყვი დაკლეს იძულებით.

რმის მახლობლად, სადაც თებერვალში ჩაიყვანეს ბრიტანეთში ნაყიდი ცხვარი.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა ჟაკ ლავანიმ რადიოთი გამოსვლისას განაცხადა, რომ ბრიტანეთში ნაყიდი და საფრანგეთში დაკლული 20 ათასი სული პირუტყვიდან, სულ ცოტა ნახევარს აღმოაჩნდა თურქულის სიმპტომები.

ის ამბავი, რომ საფრანგეთმა გზა ვერ გადაუკეტა თურქულს, ქვეყნის ხელისუფალთათვის ნამდვილი ლახვარი იყო. ძლიერდება შეშფოთება, რომ დაავადება ევროპის სხვა სახელმწიფოებშიც გავრცელდა.

თურქული არ არის საშიში ადამიანისათვის, მაგრამ შეიძლება მომაკვდინებელი იყოს ყველა წყვილჩლიქიანისათვის – იგი ჰაერით ვრცელდება. ამიტომ ეპიდემიის შეჩერება ძალზე რთულია.

ევროპის ცალკეულ ქვეყნებში გამოცხადდა ახალი ღონისძიებანი:

● *ბელგიამ, ესპანეთმა, პორტუგალიამ, პოლონეთმა და გერმანიის რაინ-ვესტფალის მხარემ აკრძალეს პირუტყვის იმპორტი საფრანგეთიდან.*

● *რაინ-ვესტფალიამ გამოაცხადა, რომ საფრანგეთიდან უკანასკნელი სამი კვირის მანძილზე ჩამოყვანილი მთელი ცხვარი დაიკვლება.*

● *ნიდერლანდმა გამოაცხადა, რომ სამშაბათიდან აიკრძალა ყველა იმ ავტომობილის გადაადგილება, რომლითაც ბოლო დროს პირუტყვი გადაჰყავდათ.*

● *ბელგიამ აკრძალა თავის სასაკლაოებში იმ პირუტყვის შეყვანა, რომელიც საფრანგეთშია ნაყიდი.*

● *ნორვეგიამ აკრძალა სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტი ევროპის კავშირის ქვეყნებიდან.*

● *შვეიცარიამ დაუკეტა საზღვარი ევროკავშირის ქვეყნებიდან პირუტყვის შემოყვანას.*

იტალიის ხელისუფლებმა განაცხადეს, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე შეიძლება იყოს დასნებოვნებული პირუტყვი. ცენტრალური იტალიის ერთ-ერთ სასაკლაოზე მიყვანილ ფრანგულ ცხვარს სისხლში აღმოუჩინეს თურქულის ანტისხეულები.

მაგრამ ახლა ევროპას სამხრეთი ამერიკაც ემატება. სამშაბათს თურქულის პირველი შემთხვევა დაფიქსირდა არგენტინაში – ქვეყანაში, რომლის ეკონომიკაშიც მეცხოველეობა უმთავრეს როლს ასრულებს.

## აშშ-ს არ მოსწონს რუსეთ-ირანის გარიგება



**აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივანმა რიჩარდ ბაუერმა განაცხადა, რომ ამერიკის მთავრობა „შეშფოთებულია რუსეთსა და ირანს შორის დადებული ახალი გარიგებებით, რომელთა თანახმად, ამ ქვეყანას იარაღი მიეწოდება".**

„ჩვენ ირანი მოკვეთილ ქვეყნად მიგვაჩნია, და რუსეთის მოქმედებას, რომელსაც სურს, ამ სახელმწიფოს იარაღი მიჰყიდოს, შეიძლება მხოლოდ კონტრპროდუქტიული ეწოდოს. რუსეთს ჯერ არ განუსაზღვრავს, სახელდობრ, რა შეიარაღებას მიჰყიდის ირანს, მაგრამ ჩვენ აუცილებლად დავაყენებთ ამ საკითხს მოსკოვთან მოლაპარაკებაზე, თანაც, ძალზე ენერგიულად", – განაცხადა ბაუერმა.

ჩვენ განსაკუთრებით გვაფიქრებს ირანისათვის უახლესი შეიარაღებისა და ტექნოლოგიების, მაგალითად, ბირთვული ტექნოლოგიების მიყიდვა", – დასძინა სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივანმა.

აქამდე ის ამბავი, რომ რუსეთმა შესაძლოა, თეირანს მიჰყიდოს იარაღი, პრეზიდენტ ჰათამისთან მოლაპარაკების შემდეგ გამოაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

მოგვიანებით ამ მიწოდებათა შესახებ ილაპარაკა ვიცეპრემიერმა ილია კლებანოვმა, რომელმაც თქვა, რომ ირანს შესაძლოა, მიჰყიდონ „C-300 რაკეტსაწინაღო კომპლექსები, „ანდა, სხვა თავდაცვითი შეიარაღებაც". გარდა ამისა, როგორც პუტინმა განაცხადა, რუსეთი აგრეთვე,





განაგრძობს ირანის ქალაქ ბუშერში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობას, რომელსაც ამერიკელები უკანასკნელ წლებში „ირანის სამხედრო პლუტონიუმის პოტენციურ წყაროს უწოდებდნენ".

„რა თქმა უნდა, თვით რუსეთისა და ირანის საქმეა, დააზუსტონ, რას გააკეთებენ და რას არა, მაგრამ ყველა ჩვენგანისათვის – ეს დიდი საზრუნავია. უფრო მეტიც, ახლო აღმოსავლეთში რუსეთის მოქმედების საკითხს ახალი ადმინისტრაცია საერთოდ მიიჩნევს ერთ-ერთ უმთავრესად", – განაცხადა გუშინ რიჩარდ ბაუჩერმა.

**რუსეთისა და ირანის ოფიციალური წარმომადგენლები ჯერჯერობით თავს იკავებენ სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადების კომენტარისაგან.**

## საინფორმაციო მოზაიკა

**BBC, CNN, საქინფორმი.**

### კომუნისტები მთავრობის შეცვლას მოითხოვენ

რუსეთის სახელმწიფო სათათბირო განიხილავს მთავრობის ნდობის ვოტუმის საკითხს. მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების ინიციატივას, რომელიც კომუნისტთა ფრაქციამ გამოიჩინა, მხარს არ უჭერს ერთობის პარტიის უდიდესი ფრაქცია და, ამდენად, იგი, ალბათ, ჩაიშლება. უერთობელებოდ კომუნისტები ვერ დააგროვებენ 226 ხმას, რომელიც მთავრობის გადასაყენებლად არის აუცილებელი.

### ბუში პირობას არ ასრულებს

აშშ პრეზიდენტმა ბუშმა უარი თქვა თავის წინასაარჩევნო დაპირებაზე, დაეწესებინა შეზღუდვები ჰესების მიერ ნახშირმჟავა გაზის გამონაფრქვევზე. ერთ-ერთი რესპუბლიკელი სენატორისადმი წერილში ბუშმა გამოთქვა ვარაუდი, რომ გამონაფრქვევის შემცირებას შეიძლება მოჰყვეს ენერგომშენებელების გაძვირება და დაიძაბოს სიტუაცია აშშ დასავლეთში ენერგიის უკმარისობასთან დაკავშირებით. ბუშის თქმით, ნახშირმჟავა გაზი აღარ უნდა ჩაითვალოს გარემოს გამაჭუჭყიანებლად. ამან ეკოლოგთა გულისწყრომა გამოიწვია. ეკოლოგების ლობის წარმომადგენელმა – სიერა კლაბმა ბრალად დასდო ბუშს, რომ მას არ სურს, გადაწყვიტოს უაღრესად სერიოზული პრობლემა.

### მუსევენი პრეზიდენტად რჩება



უგანდის საარჩევნო კომისიამ გამოაცხადა, რომ არჩევნებში გაიმარჯვა ახლანდელმა პრეზიდენტმა იოვერი მუსევენიმ. კომისიის მონაცემების თანახმად, მუსევენიმ დააგროვა ხმების 69 პროცენტი, ხოლო მისმა მთავარმა მეტოქემ – კიზა ბესიგემ – 28 პროცენტზე ნაკლები. ბესიგე ამტკიცებს, რომ არჩევნების დროს დარღვევები იქნა დაშვებული, და კენჭისყრის შედეგებს სასამართლოში გაასაჩივრებს.

### სკანდალი ინდოეთში

ინდოეთის პარლამენტის ორივე პალატამ შეწყვიტა სხდომა ქრთამის სკანდალის გამო, რომელშიც გარეული აღმოჩნდნენ პოლიტიკოსები, უმაღლესი მოხელენი და სამხედრო ხელმძღვანელების წარმომადგენლები. სხდომის დაწყებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ოპოზიციონერი დეპუტატები ერთხმად მოუწოდებდნენ პრემიერ-მინისტრს ვაჯპაის გადადგომას. ვაჯპაიმ მინისტრთა კაბინეტის საგანგებო თათბირი გამართა, მერე კი განაცხადა, რომ მთავრობა მზად არის, გამოიძიოს სკანდალი,



რომლის შედეგადაც უკვე გადადგა ბანგარა ლაქშმანი, ინდოეთის მმართველი ნაციონალისტური პარტიის – ბჰარატია ჯანატას ლიდერი. გადაყენებულია აგრეთვე ოთხი უმაღლესი სამხედრო მოხელე. ხუთივეს ფარული კამერით გადაუღეს, როდესაც ქრთამს იღებდნენ ჟურნალისტებისაგან, რომლებიც თავს იარაღის მოვაჭრეებად ასაღებდნენ.

### ინტელექტუალურ მეკობრეობას – ბრძოლა

შეერთებულმა შტატებმა გააფრთხილა უკრაინა შესაძლო სავაჭრო სანქციების თაობაზე, თუ ამ ქვეყნის ხელისუფალნი არ მიიღებენ ღონისძიებებს მეკობრული კომპაქტ-დისკების ექსპორტთან საბრძოლველად. აშშ ვაჭრობის სამინისტროს წარმომადგენელმა რობერტ ზელიკმა გამოაცხადა, რომ დაწყებულია მუსიკისა და კომპიუტერული პროგრამების მეკობრეობის ფართოდ გავრცელებული პრაქტიკის გამოძიება. უკრაინის უუნარობამ, უზრუნველყოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, განაცხადა ზელიკმა, შეიძლება, გააქარწყლოს მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში ქვეყნის შესასვლელად და ინვესტიციების მოსაზიდად გაწეული ძალისხმევა. კიევსა და ვაშინგტონს შორის გასულ წელს მიღწეული შეთანხმება ითვალისწინებს საავტორო უფლებათა გაცვლის კანონების გამკაცრებას და კომპაქტ-დისკების უკანონო წარმოების თავიდან აცილებას.

## ...დაჯექი და იგრიალე







შვეიცარიაში გაიხსნა ჟენევის 71-ე საავტომობილო სალონი. ეს წუნარი არაავტოსამშენებლო ქვეყანა ჟენევის სალონის წყალობით ევროპაში საავტომობილო მოდის კანონმდებლად ითვლება.

წელს სალონში მონაწილეობს 35 ქვეყნის 900 ფირმა. აჩვენეს 37 „პრემიერა", მაგრამ მათი უმრავლესობა — ეს არის ვარიაციები ცნობილ თემებზე, როგორიცაა **BMW Coupe, Citroen C5 Break, Ford Mondeo ST 220, Astra Cabrio.** რუსმა ავტომშენებლებმაც მოიქაჩლეს თავი და ჟენევაში გაიტანეს „ნივის" ვარიაციები — მათ სურთ, შექმნან ერთობლივი საწარმო, რომელიც „ВАЗ-2123"-ს გამოუშვებს **Chevi-Niva**-ს სახელწოდებით, და გაყიდის აზია-აფრიკასა და ევროპის ცალკეულ ქვეყნებში, სადაც ხარისხის სტანდარტით დაშვებულია ბაზარზე ისეთი ავტომობილების გამოჩენა, რომელთა ფასი 8 ათას დოლარს არ აღემატება.

გამოფენაზე ცხოველი ინტერესი გამოიწვიეს **X-type** სერიის ახალმა იაგუარმა, განახლებულმა „შკოდამ" და მასობრივი წარმოებისათვის გამზადებულმა „ოპელ-კორსამ" **GSI**-სთან კომპლექტაციით.









*უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვებიან*
***არჩილ მანჯგალაძე, კახა ქორიძე.***

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 61. ხუთშაბათი. 15 მარტი. 2001 წელი.

განსჯა

# პროფესიონალი...

**ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პიროვნული თვისება, რომელიც უნდა ჰქონდეს პროფესიონალს, არის ზნეობა, მორალი. სამართლებრივი ნორმებისაგან განსხვავებით, ზნეობა განეკუთვნება იმ ფენომენს, რომელიც წარმოიშობა ცალკეულ ეპოქებში და თან სდევს გაბატონებულ შეხედულებებს, ქცევის ნორმებს. აქაც მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება სახელმწიფოს, მის იდეოლოგიას, პოლიტიკურ თუ გეოპოლიტიკურ ვითარებას, სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს, რელიგიურ შეხედულებებს, ისტორიულ წარსულს და ა. შ.**

ყველა სიკეთესთან ერთად ადამიანებს ერთი საოცარი თვისებაც გვჭირს, საკუთარზე მეტად სხვა მოდგმისა და ჯურის ხალხის ადათ-წესები და ნივთები უფრო მოგვწონს და ვითვისებთ, ხოლო თუ რაიმე კარგი გვაქვს და გვიყვარს, მაშინვე მის ქვეყნის გარეთ გატანას ვცდილობთ. ყველაფერში გადაჭარბება რომ გვჩვევია, არც ეს არის ახალი ამბავი, „ეს უცხოა“, იტყვის ქართველი და ეს არის მისი საგნისადმი უდიდესი ალტაცების გამოხატვა, ან „ეს საუცხოოა“, მრავალმხრივი დატვირთვა ენიჭება ჩვენში ამ სიტყვას.

პროფესიონალი... ეს ნასესხები სიტყვაა და ამავე დროს საქართველოში ძალიან გავრცელებული, რომელსაც ნებისმიერი კაცი პირველ შემთხვევისთანავე ცდილობს გამოიყენოს ტრიბუნაზე, პრესაში, საუბარში და ა. შ. ამავე დროს ყოველდღიურ ყოფაში ისე გავაუბრალოეთ ეს ფენომენი, რომ მის გაგონებაზე ხშირად ვიცინით, უფრო ხშირად კი ვტირით ხოლმე. მაგალითები? უამრავია... საკმარისია, თუნდაც შემთხვევით, პიროვნება რამდენჯერმე ქუჩის მიტინგზე სიტყვით გამოვიდეს და მერე აცხადებს, „ჩვენ პროფესიონალი პოლიტიკოსებიო“. ან კიდევ, ვიღაცა ქრთამით ან პირადი ნაცნობობით პარტიული სიით პარლამენტში „ამოყოფს“ თავს (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) და მეორე დღესვე იმავე განცხადებას აკეთებს. უფრო მეტიც, შემთხვევითი პირი, მაქინაციებით რომელიმე უწყებაში, მათ შორის სპეცსამსახურებში და ძალოვან სტრუქტურებში „შეძვრება“ და მეორე დღესვე, ექსპერტის ტონით, ტელევიზიით გვესაუბრება, როგორი უნდა იყოს მომავალში ესა თუ ის უწყება და ა.შ. და ა.შ. ასე აღმოვჩნდით გაუთავებელი რეფორმების ტყვეობაში და, სამწუხაროდ, რეფორმები, როგორც წესი, იწყება და მთავრდება ახალი, ხშირად დაუსაბუთებელი, სტრუქტურული რეორგანიზაციით, მოუმზადებელი ახალი ხალხის დანიშვნით და ძველების გაყრით, რის შედეგადაც საქვეყნო საქმეები არათუ უმჯობესდება, არამედ ყოველდღიურად უარესდება. ამ წესით საქართველოს უამრავმა უწყებამ, ყოველი პირველი პირის მოსვლის შემდეგ, გაიარა ე. წ. „რეფორმა“.

ძველი რომაელები ამბობდნენ, „მმართველი ფილოსოფოსი უნდა იყოსო“. იმ პერიოდში ფილოსოფია აერთიანებდა ყველა არსებულ მეცნიერებას და ეს ლოზუნგი ამართლებდა თავის დანიშნულებას. ჩვენს დღევანდელ ყოფაში კი იგი, ალბათ, ასე უნდა ჟღერდეს: „მმართველი ფილოსოფოსიც, ფინანსისტიც, ისტორიკოსიც, სოციოლოგიც, ანალიტიკოსიც, მრეწველიც, აგრონომიც, ადმინისტრატორიც და ა. შ. უნდა იყოს“. გეთანხმებით, ეს საკმაოდ რთული საქმეა და დაკავშირებულია მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭის ადამიანებთან, თუმცა, განა შეიძლება, რომ ყველა ადამიანი იყოს მმართველი?, ან კიდევ, პროფესიონალი? ეს განსაკუთრებულთა ხვედრია. აქვე აღვნიშნავ, რომ განათლება ცხოვრებისეული გამოცდილების გარეშე, თუ საგნებს თავის სახელებს დავარქმევთ, „ფუტურიზმია“. დაუშვებელია, როცა პიროვნება არასოდეს ყოფილა თუნდაც 10 მუშაკის ხელმძღვანელი და მას წამყვან, მრავალათასიან სამინისტროს ან დარგის ხელმძღვანელად ნიშნავენ, ასე და ამგვარად, შეიქმნა ქვეყანაში იურისტებისა და სპეციალისტების მონაწილეობის გარეშე კანონები, რომელთა დამანგრეველ ძალაზეც დღეს უკვე მათი ავტორებიც ამეტყველდნენ, ატროფირებული უწყებები, უმართავი რეგიონები და რაიონები, სეკვესტრირებული ბიუჯეტი, უპენსიო პენსიონერები, უხელფასო პედაგოგები, მშიერი პოლიციელები და ჯარისკაცები და ა. შ. თუმცა დავუბრუნდეთ თემას.

„ყველა ადამიანს თავისი ბედი შუბლზე აწერიაო“ ამ სიტყვებში ჩვენმა წინაპრებმა, ალბათ, ის იგულისხმეს, რომ ყველა ადამიანი ერთიმეორისაგან, უპირველესად, ბიოლოგიურად განსხვავდება. ეს ბუნების კანონია. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ქვეყანაში ყველა აკადემიკოსი, ან ყველა გაუნათლებელი იყოს. ქვეყანას სჭირდება გლეხიც, მუშაც, მეცნიერიც, პოლიტიკოსიც და ა. შ. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ამა თუ იმ ადამიანის მომავალი ბავშვობიდანვე უნდა განისაზღვროს და ეს, პირველ რიგში, უნდა გააკეთოს მშობელმა, რაშიც, ალბათ, დამეთანხმებით, ძალიან ხშირად ვცოდავთ ხოლმე და ეს შეცდომა ხშირად ადამიანის ცხოვრებაში საბედისწერო ხდება. შეიცნო საკუთარი შვილის მისწრაფება და მერე შეუწყო ხელი მის რეალიზაციას, ეს მომავალი პროფესიონალის ჩამოყალიბების პირველი პირობაა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების მეხსიერების უნარს, აზროვნების სისწრაფეს და, რა თქმა უნდა, ფიზიკურ მდგომარეობას. აბა, ერთი წუთით წარმოიდგინოთ, რომ ჩვენს სახელოვან მოჭიდავეს რომან რურუას გაეგრძელებინა ფეხბურთში ვარჯიში (ბავშვობის წლებში ის ფეხბურთს მისდევდა). გვეყოლებოდა ერთი საშუალო კლასის ფეხბურთელი და საქართველო, ალბათ, მსოფლიოც, დაკარგავდა ჭიდაობის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო სპორტსმენს.

ამ პროცესში თავისი როლი ხელისუფლებასაც ეკუთვნის, დაუშვებელია, როცა სოფლად და დაბებში შეიქმნა „უნივერსიტეტები“ და „აკადემიები“, ხოლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები მოისპო. თუ ეს ასე გაგრძელდა, უახლოეს მომავალში ხარატებს, ზეინკლებს, კალატოზებს და ა. შ. საზღვარგარეთიდან თუ მოვიწვევთ ხოლმე და ეს იქნება დასასრულის დასაწყისი.

პიროვნული თვისებებიდან, ურომლისოდაც ვერც ერთ დარგში, ვერც ერთ სფეროში პიროვნება დიდ პროფესიონალად ვერ ჩამოყალიბდება, არის საკუთარი „მე“-ს შეგრძნება, ანუ თავმოყვარეობა, მორალური თვისებების მდგრადობა, თუ გინდათ პატივმოყვარეობაც, და რა თქმა უნდა, შრომისმოყვარეობა, რაც საბოლოო ჯამში მიზანდასახულობაში და პასუხისმგებლობის გრძნობაში უნდა გადაიზარდოს. ამაშიც მნიშვნელოვანი როლი მშობელს ეკუთვნის, თუმცა აქაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას, რაც გამოიხატება პროფესიის დაფასებაში, შრომის მატერიალურ და მორალურ სტიმულირებაში, სამუშაო ადგილებით სპეციალისტების უზრუნველყოფაში. განა შეიძლება, რომ პროფესორის ხელფასი იყოს ქვეყანაში დადგენილი „სამომხმარებლო კალათის“ ნახევარი, ხოლო დამსახურებული პენსიონერის პენსია – მისი ერთი მეექვსედი? ან შეიძლება ქვეყანაში გამეფებული იყოს ასეთი „არაპროფესიონალთა დოღი“, ან კიდევ „პასუხისმგებელთა“ უპასუხისმგებლობის პრინციპი? ალბათ, არა.

საკუთარი ერის ისტორიას და კულტურას პროფესიონალი უნდა ფლობდეს, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მინაგანი კულტურის გარეშე პიროვნება თავის პროფესიული ცოდნის რეალიზაციას ვერ შეძლებს, ან შეძლებს და ისეთ შეცდომებს დაუშვებს, რაც დამღუპველად იმოქმედებს საქმეზეც და მის მომავალზეც. საკუთარი ერის ისტორიისა და ლიტერატურის ცოდნაში არ იგულისხმება მისი ერთი წაკითხვა, ან თუნდაც დაზეპირება, ადამიანი მასთან შესისხლხორცებული უნდა იყოს, ყველა მისი დადებითი მხარით ტკბებოდეს და ამაყობდეს, ნაკლი ტკიოდეს და განიცდიდეს. მყარად მჯერა, რომ იმ პიროვნებებს შორის მრავალს, ვინც ქვეყანას მართავდა 1990-91 წლებში, ან ვინც ატეხა ომი 1991 წლის დეკემბერ – 1992 წლის იანვარში, ან ვინც ამჟამად ეტმასნება პოლიტიკას (ამაზე დაწვრილებით ქვემოთ მოგახსენებთ) წაკითხული და, რაც მთავარია, გააზრებული ჰქონდეს საქართველოში ღალატის ფაქტების ისტორია.

მსოფლიოს ისტორია, სხვა ქვეყნების კულტურა, მათი ყოფაცხოვრების წესები, იქ მიმდინარე პროცესები, თანამედროვე მეცნიერების, განსაკუთრებით იმ სფეროში, რომელშიც ამა თუ იმ პიროვნებას უხდება საქმიანობა, მიღწევები, საერთაშორისო მასობრივი ინფორმაციების საშუალებების მიმართ ყურადღება და ა. შ. ავსებს პიროვნების ინტელექტუალურ ჰორიზონტს, რის გარეშეც დიდი თუ პატარა გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელი და პროფესიონალის ქმედითუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორია. ბატონ რეზო თაბუკაშვილს ეკუთვნის ოქროს სიტყვები – „ყველაზე დიდი პროფესიონალიზმი პატრიოტიზმს სჭირდებაო“. პატრიოტიზმის ჩამოყალიბება პიროვნებაში დედის ძუძუდან იწყება, საკმაოდ რთული პროცესია და მრავალი ელემენტისაგან შედგება. ქვეყნის პატრიოტიზმი და სამშობლოს სიყვარული მრავალს ახასიათებს, ეს „სენი“ ქართველებს საკმაოდ გვჭირს, მაგრამ ამავე დროს პროფესიონალი თავისი საქმიანობის რეალიზაციას ვერ მოახდენს, თუ არ არის არსებული ხელისუფლების ერთგულიც, ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში არსებული იდეოლოგიის, ეკონომიკის, სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობებს. აქ არ შეიძლება ოდნავ მაინც არ დაკონკრეტდეს სახელმწიფოს როლი. დამერწმუნებით, ალაბთ, ძნელია იყო ხელისუფლების დიდი პატრიოტი, როცა ბავშვობაში გცივა, გშია, მშობლები არ მუშაობენ, ან იღებენ სიმბოლურ პენსიას, სწავლისა და ჯანმრთელობის დაცვის ფული არ გაქვს, იზრდები და შენც უმუშევარი ხარ, ოჯახის შექმნის საშუალება არ გაგაჩნია და ა. შ. ამავე დროს ხელისუფლებაში მჯდომი ბევრი კორუმპირებული პირი უკანონოდ მდიდრდება. არის კიდევ ერთი ღირსება, რომელიც ყველა დარგის პროფესიონალს უნდა ჰქონდეს – ახალგაზრდა თაობის აღზრდა. „მასწავლებელი“! რამდენ ფილოსოფიურ კატეგორიას შეიცავს ეს ერთი სიტყვა. ჩვენში კი რა ხდება? ასეთი უპატივცემულო დამოკიდებულება ამ პროფესიისადმი, ალბათ, არც ერთ, თუნდაც ნახევრადგანვითარებულ ქვეყანაშიც კი არ არსებობს. უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობ იმ გარემოებას, რომ საქართველოში მასწავლებელი ჩაუცმელია, ხელფასი, არათუ თავის რჩენაზე, პირადი ჰიგიენის დაცვაზეც კი არ ჰყოფნის. ამავე მდგომარეობაში იმყოფება მოსწავლეთა უმრავლესობა, მაგრამ პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ უკანონოდ გამდიდრებულთა ოჯახში გაზრდილი ბავშვის თვალში მასწავლებელი დაცინვის ობიექტად ვაქციეთ.

პროფესიონალს უნდა ჰქონდეს ცხოვრებისეული გამოცდილება, უამისოდ ნებისმიერი ხარისხის განსწავლული ადამიანი ვერ ჩათვლის თავს თავისი დარგის პროფესიონალად. ეს ფაქტორი პიროვნების შეფასებაში შემაჯამებელი ეტაპი უნდა იყოს, განსაკუთრებით მისი მაღალ თანამდებობაზე განწესების მომენტში, რაც ჩვენში თითქმის უგულებელყოფილია, სამაგიეროდ მოდაში შემოვიდა „ჩემი გუნდის“ ცნება, ეს ცუდი არ არის, თუ დავიცავთ გუნდის ჩამოყალიბების წესებს, ანუ გუნდის დაკომპლექტებისას უნდა გავითვალისწინოთ პიროვნების პროფესიონალიზმი, პატრიოტიზმი, პატიოსნება, ცხოვრებისეული გამოცდილება, მის მიმართ არსებული საზოგადოებრივი აზრი და სხვა თვისებები. გამორიცხული უნდა იყო ისეთი ფაქტები, როცა ზოგიერთი პოლიტიკოსის შრომით ბიოგრაფიაში პირველი ჩანაწერი მინისტრის თანამდებობით იწყება და ის იწყებს თავისი გუნდის შექმნას.

სამწუხარო შედეგით დამთავრდა 1999 წლის საპარლამენტო არჩევნები, არიან პარლამენტარები, „თხა და ვიგოს“ მერე წიგნი რომ არ წაუკითხავთ, არიან „მეჯღანუაშვილები“ პარლამენტში მხოლოდ ერთი ნიშნით რომ მოხვდნენ – ამ „საქმეში ფული დააბანდეს“. ამან კიდევ ერთხელ მაფიქრებინა, რომ პარტიული სიებით, სხვაგან არ ვიცი, მაგრამ საქართველოში არჩევნების ჩასატარებლად მზად არა ვართ. განა დასამალია ის გარემოება, რომ „მოქალაქეთა“ გამარჯვება, რომელსაც დღეს მავანი და მავანი სრულიად უსაფუძვლოდ იჩემებს, მხოლოდ და მხოლოდ ბატონ ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობამ განაპირობა, ქართველმა ერმა მის პიროვნებას დაუჭირა მხარი.

**ტარიელ ვარდიძე.**

(გაგრძელება იქნება).

თანადგომა



# მოსკოვის მერი ქართულ გიმნაზიას არ ივიწყებს

თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზია, რომელიც დედაქალაქის ულამაზეს გამზირს ამშვენებს, დიდი ტრადიციებისა და ხანგრძლივი ისტორიის საგანმანათლებლო კერაა. პირველად, 1802 წელს, ამ ადგილას კეთილშობილთა სასწავლებელი გაიხსნა, 1830 წელს გიმნაზიად გადაკეთდა, XIX საუკუნის 60-იან წლებში – კლასიკურ გიმნაზიად... მის კედლებში მრავალი საამაყო საზოგადო მოღვაწე, სახელოვანი მწერალი და პოეტი აღიზარდა.

თითქმის ორსაუკუნოვანი სასწავლებელი 1991-92 წლების ტრაგიკული მოვლენების შედეგად დაინგრა, დაიფერფლა. ამ უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო კერის აღდგენა ქვეყნის უმძიმესი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო თითქმის შეუძლებელი იყო...

მაშინდელი მოსკოვის მერი გავრილ პოპოვი, მთავრობის პრემიერთან იური ლუჟკოვთან ერთად თბილისს ეწვია იმ იდეით, რომ ომისაგან დანგრეულ ერთ-ერთ შენობას ისინი აღადგენდნენ. ედუარდ შევარდნაძემ მათი ყურადღება უპირველესად, ამ სასწავლებელზე შეაჩერა.

დღეს, მოსკოვის მერიის და უშუალოდ იური ლუჟკოვის დახმარებით, პირველი კლასიკური გიმნაზია დედაქალაქს კვლავ ამშვენებს.

მას შემდეგ საკმაო ხანი გავიდა, მაგრამ მოსკოვის მერს გიმნაზიასთან ურთიერთობა არ გაუწყვეტია. დღემდე მოსწავლეებისა და პედაგოგების მიმართ დიდ ყურადღებას იჩენს. იგი მოსკოვის განათლების დეპარტამენტის თავმჯდომარესთან ლიუდმილა კეზინასთან ერთად, ტრადიციულად, ყოველ ახალ წელს გიმნაზიის მოსწავლეებს უგზავნის მისალოც ბარათებს, საჩუქრებს, წიგნებს, ჩანთებს, სათამაშოებს, ტკბილეულს...

– ორი წლის წინათ თბილისს ეწვია იოსებ კობზონი. იური ლუჟკოვის დავალებით, მან სამი მაღალი კლასის კომპიუტერი აჩუქა გიმნაზიას. მოსკოვის მერის კეთილი დამოკიდებულება გიმნაზიისადმი უდიდეს პატივისცემას იმსახურებს, – მადლიერებით აღნიშნავს სასწავლებლის დირექტორი ქალბატონი ლიანა შეწირული.

2002 წელს თბილისის კლასიკური გიმნაზია არსებობის 200 წლის იუბილესა და საქართველოში ევროპული განათლების დაწყების დღეს ზეიმით აღნიშნავს.

**ლელა დონაძე.**

სადაურსა სად წაიყვან

# „ღმერთო, საქართველო გაამლიერე!“

## ქართველები იტალიაში

### ახუთიდან — პრედაცომდე

ღარბაზში არ ცხრება ტაშის გრიალი, მრავალჟამიერს მოხდენილი ქართული ცეკვა ცვლის, ცეკვას კვლავ სიმღერა ენაცვლება. სხვებივით ისიც უკრავს ტაშს, მაგრამ თავს ვერ იკავებს და ღვარება ჩამოსდის. უკვე ვეღარ ასწრებს ცრემლების შეშრობას. ზოგჯერ გვერდით მსხდომ იტალიელ ქალბატონებს რაღაცას გადაულაპარაკებს, გაიღიმებს და კვლავ ტირის.

როგორც შემდეგ მათი ერთ-ერთი მასპინძლისაგან, ქალბატონ ნუნუ გელაძისგან შევიტყვე, თურმე თავს იწონებდა: აი, როგორი ქვეყნის შვილი ვარ, აი, როგორ ქვეყანაში ჩამოგიყვანეთო.

დიახ, ჯოვანას დედა ქართველი ჰყავს, ვერად ჯალაღონია. მისი ბაბუა ათანასე სენაკის რაიონის სოფელ ახუთიდან წასულა პირველ მსოფლიო ომში, წასულა და აღარ დაბრუნებულა. ტყვედ ჩავარდნილა და იქ დოლომატის მთებში, პატარა ულამაზეს სოფელ პრედაცოში გაუცვნია და შეუყვარებია იტალიელი ჯულია გაბრიელი.

პრედაცო ძალიან ჰგავს ახუთს. ახალგაზრდებს ჯერისწერის უფლებას არ აძლევდნენ თურმე, რადგან ათანასე კათოლიკობის მიღებაზე უარს ამბობდა. ციხეშიც კი ჩასვეს. დრო არ ითმენდა, ჯულია უკვე შვილს ელოდებოდა. სიყვარულმა თავისი ქნა და ათანასე დათანხმდა. ერთმანეთის მიყოლებით გაჩნდნენ ადოლფო, ოლღა, გიორგი და უმბერტო.

ომისშემდგომი პერიოდი იყო, ჭირდა ცხოვრება. ათანასე ძალიან კარგი მეოჯახე, მამა და ქმარი გამოდგა. ფრონტიდან გამოყოლილი ცხენით მდინარეზე ტივებს იჭერდა და მარტო თავის ოჯახს კი არა, სხვებსაც ეხმარებოდა.

დრო გადიოდა, შვილები იზრდებოდნენ. ათანასეს ერთი წუთითაც არ სცილდებოდა ფიქრი საქართველოში დაბრუნებაზე. ბოლოს გადაწყვიტა, ყველაფერი მოამზადა, თავისიანებსაც შეუთვალა, ჩამოდივარო. მეწველი ძროხაც კი მოეყვანა სამეგრელოში, ერთხანობას თავს გავატანინებო. მაგრამ მეხსიერ წუთისოფელი სამინისტრის უმზადება მოიხიყენებული ცოლ-ქმარს.

ათანასემ ბარგი შეკრა და ერთხელ კიდევ წავიდა ხათევზაოდ. აი, სწორედ აქ უმუხთლა ბედმა, დინამიტზე აფეთქდა 29 წლის ვაჟკაცი და სამშობლოს ნატრულმა შორეულ იტალიაში განუტევა სული. სწორედ იმ ხანად შაუ ზღვაზე აფეთქდა გემი. სამეგრელოში იფიქრეს ათანასე და მისი ცოლ-შვილიც იქ დაიღუპნენო. ამიტომ ისინი საქართველოდან აღარავის მოუკითხავს.

და დარჩა ჯულია ოთხი მცირეწლოვანი შვილით, სამი ბიჭით და ერთი გოგონათი მარტოდმარტო. მის შვილებს იტალიელებისათვის უცნაური გვარიც ხშირად უშლიდა ხელს, მაგრამ გაუძლო გაჭირვებას და კარგი შვილები გაზარდა. ის კი იყო მთელი სიცოცხლე მწარედ დასტიროდა თავის ქმარს და ნანობდა საქართველოში წასვლას რომ ვერ ეღირსა. შვილებს კი ხშირად უამბობდა საქართველოზე. ბავშვები რომ წამოიზარდნენ, წითელი ჯვრის ეგიდით რამდენჯერმე შეეცადნენ საქართველოში ჩამოსვლას, მაგრამ ეს მაშინ თითქმის შეუძლებელი იყო.

ჯორჯიო, ანუ გიორგი სამამულო ომის დროს რუსეთის წინააღმდეგ ომში არ წავიდა, მან ამაყად განუცხადა სამხედროებს: მე მამა მყავს იქაური და ჩემიანებთან საომრად არ წავალო.

აი, სწორედ ათანასეს ერთადერთი ქალიშვილის ოლღას შვილი გახლავთ ქალბატონი ჯოვანა, რომელიც თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დარბაზში აცრემლებული უკრავდა ტამს პატარებს.

მაზი კაცი იყო, ნაირ-ნაირ ქალებში სეირნობდა. დედას მთელი სიცოცხლე გაუმწარა, დედა ჩუმად ითმენდა მის ღალატს. მაშინ მიკვირდა და ახლა მივხვდი, დედა ისე იქცეოდა, როგორც ნამდვილ ქართველ ქალს შეეფერის. სამი დანი ვართ. რაც თავი მახსოვს, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული დედა სულ იმას გვიჩიჩინებდა, იქნებ როგორმე მოგვეძებნა მისი ნათესავები.

ამ ოცნებაში გავიზარდეთ, ჩემი უფროსი და და დედა ლოზანაში, შვეიცარიაში, მე იტალიაში ვცხოვრობ, უმცროსი და ინგლისში.







### დაკარგული ფესვების ძებნაში

ნელა მივუყვებით რუსთაველს, მე, ჯოვანა და ნუნუ. ჯოვანა კვლავ ცრემლიანი თვალებით ჰყვება თავისი ცხოვრების ისტორიას, ნუნუ ცდილობს სიტყვა-სიტყვით მითარგმნოს, იმდენი სითბო, სიყვარული და გულისხმიერებაა ამ ქალის საუბარში, მეც თითქოს ყველაფერი მესმის, ყველაფერს ვხვდები.

– აქ ჩემთვის ყველაფერი მშობლიურია, ასე მგონია, აქ დავიბადე და გავიზარდე. მაინც რა ყოფილა სისხლის ყივილი, ალბათ, ბაბუა ათანასე კმაყოფილია, როგორც იქნა რომ შევძელი მისი – არა – ილიმის ჯოვანა. – ჩემი ქვეყნის მონახულება და დასძენს, – ბაბუაჩემმა ათანასემ დედაჩემს ოლღა თავისი ბებიის პატივსაცემად დაარქვა.

საწყალი ლელაჩემი. მამა ლა-

როდესაც 25 წელი შემისრულდა, გადავწყვიტე, დედის სურვილი შემესრულებინა, რუსეთში წავსულიყავი და ჩემი ნათესაობა მენახა. მოსკოვმა და მისმა მცხოვრებლებმა ისეთი გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე, დედას რომ შევხედე, ვუთხარი.

– დედა, აღარ ეძებო მამაშენის ნათესავებს, ისეთი საზიზღარი, ცუდი ხალხია. მე უკვე აღარც ვფიქრობდი ჩვენს წარმომავლობაზე.

ათანასე ჯალაღონიას დაბადების მოწმობაში ეწერა – რუსი კავკასიიდან, ვიფიქრეთ ისიც რუსი იყო.

ლელაჩემს არაფრის გაგონება არ სურდა. ლოზანაში ცხოვრობდა და კვლავ მამის ნათესავებთან შეხვედრის სურვილი ჰკლავდა, საოცარი კი იყო, ძმები ჯალაღონიები ისე არ აქტიურობდნენ, როგორც და, ეტყობა, ამიტომ გამომყვა მეც ჩემი ჯიშის მონახულების სურვილი.

შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში ჩემს დას საკუთარი მაღაზია აქვს. ამ ოთხი წლის წინათ, მაისის ერთ მშვენიერ დღეს, ვიღაც კაცი შემოვიდა მის მაღაზიაში, ინგლისურად ლაპარაკობდა. ჩემმა დამ კარგად იცის ინგლისური და შეამჩნია, რომ ამ კაცს იტალიური აქცენტი ჰქონდა და ჰკითხა, იტალიელი ბრძანდებითო.

კაცმა კითხვა შეუბრუნა, თავად იტალიელი ხართ? ჯულიამ უპასუხა, მთლად იტალიელი არა, დედა მყავს კავკასიელი.

– გასაგებია, თქვენ ტიპიური ქართული სახე გაქვთ. ეს კაცი იტალიელი ინჟინერი აღმოჩნდა, რომელსაც რუსი ქალი ჰყავდა ცოლად და კარგად იცნობდა თურმე საქართველოს.

– იცი,რა ხალხია ქართველები? წადი საქართველოში, ნახავ რა დღესასწაულს მოგიწყობენ. ისინი ძალიან სტუმართმოყვარეები არიან.

– მაგრამ, როგორ? – უკითხავს ჩემს დას.

– პარიზში საქართველოს საელჩოა და იქ მიაკითხე. ისინი დაგეხმარებიანო.

კაცი ჯერ არც კი იყო ხეირიანად მაღაზიიდან გასული, ჯულიამ რომ დაბრეკა. იმ დღიდან მოსვენება დავკარგეთ.

ჯულიამ დარეკა პარიზში საქართველოს საელჩოში. ეს იყო 1996 წელს და როდესაც აუთანდილ ძაგანიამ ჰკითხა, რა გვარი ხართ და პასუხად მიიღო ჯალაღონიაო, აი, მაშინ პირველად გავიგე, რომ მე თურმე მეგრელი ქალი ვარ, – სიამაყით მეუბნება ჯოვანა.

მაისი იყო და მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. იმავდროულად შეიტყვეს, რომ ბორგომანეროში პარტიზანებთან ქართველი ჟურნალისტი იყო ჩამოსული, მაგრამ ვეღარ მიუსწრო, ის უკვე სიცილიაში წასულიყო. ჯოვანა ნოვარაში წავიდა პარტიზანებთან, რომ ეკითხა როგორ დაკავშირებოდა ესვანჯიას. დიახ, სწორედ ბატონი ვახტანგ ესვანჯია იყო ის ჟურნალისტი.

### ახდენილი ოცნება

უდიდესი მადლიერების გრძნობით და სიყვარულით იგონებს ქალბატონი ჯოვანა ბატონ ვახტანგ ესვანჯიას. სწორედაც მისი დახმარებით მოძებნა ბიძაშვილები.

როდესაც წამოსვლა გადაწყვიტეს მან და მისმა დამ, ქმარი საშინლად შეშფოთდა: სად მიდიხართ, ვისთან მიდიხართ, არავითარ შემთხვევაში არ გაგიშვებთ, რა გინდათ იმ უცხო ქვეყანაშიო.

იძულებული გახდა, ის პარტიზანი მოეყვანა, ვინც არაერთხელ სწვევია საქართველოს. მხოლოდ ამის შემდეგ დათანხმდა მეუღლე გამოემგზავრება საქართველოში.

ასე წამოვიდნენ დები ჯულიეტა და ჯოვანა საქართველოში. თბილისშივე შეახვედრეს სოხუმიდან ლტოლვილ ბიძაშვილს შალვა ჯალაღონიას, ორი დღის შემდეგ სამეგრელოს ასტუმრეს.

ახუთში ისევ ისე დგას ის სახლი, საიდანაც ათანასე ომში გააცილეს. დღეს იქ ათანასეს 80 წლის გადაცილებული ძმა ცხოვრობს. რომელსაც ახსოვს, რომ ათანასე იტალიაში ცხოვრობდა.

— ახუთში სასწაული ვიხილე, — კვლავ ცრემლი ჩამოუგორდა ლაწვზე ჯოვანას. გაოცებული ვუყურებდით მე და ჩემი და ერთმანეთს. იქაური ქალების ქცევაში დედაჩემის მანერები ამოვიცანი.

სტუმართმოყვარეობამ, სიმღერამ და ცეკვებმა საბოლოოდ მოგვაჯადოვა. თავბრუს გვახვევდა ხილის გემო და სუნი. ზღაპარში ვეგონა თავი. განსაკუთრებით ქალების სილამაზემ და თვალებმა მოგვხიბლა.

ძალიან სწრაფად გავიდა დრო. იტალიაში უნდა დავბრუნებულიყავით.

დედა მოუთმენლად გველოდა, როგორც კი საქართველოში გადაღებული ფილმი ვაჩვენეთ, მამინვე გადაწყვიტა – აუცილებლად უნდა წავიდე მამაჩემის ქვეყანაშიო.

ყველა, ნათესავი და ახლობელი მის ამ სურვილს წინ აღუდგა, არამც და არამც, ვერ შეძლებსო. საქმე ის გახლავთ, დედა ოთხმოცს გადაცილებული უმძიმესი ავადმყოფია. მას არავის მოსმენა არ უნდოდა: გული მიგრძნობს და რაღაც შინაგანი ხმები მეუბნებიან, რომ აუცილებლად უნდა წავიდე. ქალბატონმა ოლღამ თავისი გაიტანა.

ამჯერად ქალბატონი ოლღა და ლონდონში რომ ცხოვრობს, ის ქალიშვილი ეწვიენენ საქართველოს.

დღესასწაულივით მიიღეს საქართველოში. ათი დღე იყვნენ სამეგრელოში, ყველაფერს ჭამდა, ღვინოსაც აყოლებდა. ფრჩხილიც კი არ წამოსტკენია. თითქოს პირველად კი არ იყო ახუთში, იქ დაიბადა, იქ გაიზარდა.

– მამამისის სახლი რომ დაუნახია, დედა ხმამაღლა ატირებულა – აქ უკვე თავი ვეღარ შეიკავა, თავადაც ამოიქვითინა ჯოვანამ. ჯვარზე რომ აიყვანეს, დედამ ნაგერის ხეს ბარათი შეაბა, სადაც ეწერა: ღმერთო, ჩემი საქართველო გადაარჩინე და გააძლიერეო! – მე შემრცხვა ეს რომ გავიგე, რადგან მე მხოლოდ საქართველოში კვლავ დაბრუნება ვისურვე.

პრედაცოში ბევრი ჯალაღონია ცხოვრობს, ერთი ერთმანეთზე უკეთესი ვაჟკაცები არიან. ხშირად შეუძლია მათთვის ხელი იტალიელთათვის უცნაურ გვარს, მაგრამ არც ერთი ჯალაღონია (ისინი კი თითქმის მთელი სოფელია) არ ფიქრობს გვარის გამოცვლას. საქართველოდან დაბრუნებულებს სულმოუთქმელად ელოდებიან ხოლმე ბიძაშვილები.

ახუთიდან წამოღებული მიწაც თითქმის ყველას გაუნაწილეს. ხშირად ათვალიერებენ აქ გადაღებულ ფოტოსურათებს და უყურებენ ფილმს, რომელიც საქართველოშია გადაღებული, ყველას, დიდის და პატარას სურვილია ინახულონ წინაპრების ქვეყანა.

ოლღამ კი თავის ქალიშვილებს დაუბარა. – როცა მოვკვდები, დამწვით და ჩემი ფერფლი საქართველოს გადმოაყარეთო.

### ვახტანგ ესვანჯიას გზის გაგრძელება

– ვახტანგ ესვანჯიას სიკვდილმა ძალიან დამწყვიტა გული. დაკრძალვაზე ჩამოვედი. ვახტანგის დიდი სურვილი იყო ქართველი ბავშვები სიცილიის გარდა ბორგომანეროშიც ჩაეყვანა. როდესაც ვახტანგის დაკრძალვაზე ჩამოვედი, მაშინ გადავწყვიტე მისი სურვილის განხორციელება. საერთოდ მე მგონია, მისი სული დამეხმარა, როცა რაიმე არ გამომდიოდა, მას მოვუხმობდი.

ასე, ქალბატონმა ვანა საჩელინი-პიემონტეზმა საქართველოში არა მხოლოდ თავისი ბიძაშვილები – ჯალაღონიები იპოვა, არამედ გაიცნო და დაიმეგობრა იტალია-საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტი ქეთი ჯაფარიძე და ვახტან ესვანჯიას სახელობის საერო სკოლა „ცისკრის“ დირექტორი მაია ლაგვილავა, რომელთა წაღილი არა მარტო ლტოლვილი, არამედ თბილისელი მოსწავლეებიც ზიარებოდნენ იტალიურ კულტურას, გულთან ახლოს მიიტანა და ასე გახდა იგი ქართველი ბავშვების მფარველი და დედა.

ქალბატონმა ჯოვანამ ფსევდონიმად „მეგრელი ვანა“ აირჩია და ბავშვებთან გამოგზავნილ ყველა წერილს ასე აწერს ხელს.

– ქართველი ქალების დარი არსად მოიძებნებაო. დღეინადაჲ აქვსს და ამაყობს ამით ვანა, მაგრამ არანაკლებ მზრუნველობას იჩენენ იტალიელი დედებიც. რვა თბილისელი მოსწავლე ლვიძლი შვილივით მიიღეს ვანა პიემონტეზმა, ფორტუნატამ, ჯანკარლამ, მარინამ.

– ვანა შესანიშნავი დედა და მეოჯახეა, – მეუბნება ნუნუ გელაძე, რომელიც ამ ბოლო მოგზაურობისას ახლდა ქართველ ბავშვებს, მის გემოვნებით მოწყობილ სახლსა და აივანს ეტყობა მისი ფაქიზი ხელი, თუმცა დროს იმისთვისაც პოულობს, ფრანგულ ენაზე შეისწავლოს საქართველოს ისტორია, ისწავლოს ქართული წერა-კითხვა.

მთავარი მაინც ის არის, რომ ქართველმა მოსწავლეებმა იტალიური ენის თვალსაზრისით უდიდესი პრაქტიკა მიიღეს, იტალიელი „მშობლები“ ერთგვარ მასწავლებლებადაც მოევლინნენ და ახალი ცოდნით აღჭურვილები დაბრუნდნენ საქართველოში.

კვლავ რუსთაველის პროსპექტს მივუყვებით. ჯოვანა, რომელსაც მოფერებით ვანას ეძახიან, კვლავ მიყვება:

– მსოფლიო მოვლილი მაქვს, შეიძლება ითქვას, არასოდეს არავითარი პრობლემა არ მქონია, სულ რაღაც მაკლდა. ეს რაღაც ჩემი სამშობლოს ნახვის სურვილი იყო. არსად, არც იტალიაში, არც შვეიცარიაში სახლში არა ვარ, მე მხოლოდ აქ, თბილისში ვგრძნობ თავს სახლში.

მანამ ვიცოცხლებ, ამ საქმეს თავს არ დავანებებ. ყოველ წელს ქართველ ბავშვებს იტალიაში წავიყვან, ვიზრუნებ მათზე, და ამით ბაბუა ათანასეს ხსოვნას უკვდავვყოფ.

ბორგომარინოში საქართველოს გამოფენა გავაკეთე. გამოვფინე საქართველოს დროშა და რა მასალებიც მქონდა იქ მივიტანე, მინდა ყველამ გაიგოს, საიდანა ვართ ჩვენ – ჯალაღონიები.

ბედნიერი ვარ, რომ იმ ქვეყნის სიტყვები ამიხდა, რომელმაც მითხრა: წინა ცხოვრებაში პრინცესა იყავიო. გაოცება რომ შემატყო, ღიმილით მითხრა: – რა, განა ნამდვილი პრინცესასავით არ მხედებიან ქართველები?! სიყვარულით ჩამიკრა გულში და კვლავ ნელ-ნელა გავუყევით ბინდმეპარულ რუსთაველს.

**მარადი ანასაშვილი.**

სურათებზე: ოლია ჯალაღონია; ვანა საჩელინი; სოფელი პრედაცო.

In Georgia ho lasciato la mia anima.
Wanna

საქართველოში სული დავტოვე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 61. ხუთშაბათი, 15 მარტი, 2001 წელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამის დავიწყება არ შეიძლება!

# საბედისწერო ნაფეხურები

„დამსჯელი კორპუსის" არსებობის სამი წლის მანძილზე მისი შტატი ძალიან გაიზარდა. „პირველი ჯგუფისა" და თვით ბერიას გადაწყვეტილებით მოხდა კორპუსის ლიმიტირება – „ახალგაზრდული სექტორი" დროებით გაუქმდა. სექტორის ბევრი გამორჩეული წევრი ზედა კორპუსში გადაიყვანეს, რამაც ჯგუფის საერთო მდგომარეობა საგრძნობლად გამოაკეთა.

„დამსჯელმა კორპუსმა" იმდროინდელ შესაძლებლობებს გადააჭარბა 1930 წელს, როცა მის კერპზე ბერიაზე თავდასხმა მოეწყო.

აქ მცირე გადახვევა უნდა გავაკეთოთ.

სტალინმა კარგად იცოდა,

**მერიქიფემ თამადას უპასუხა: – სარეველასაც აღმოვფხვრით და საქართველოსაც გადავხნავთ! და სასმისი დაცალა.**

**თამადას საპასუხოდ ნათქვამი მოეწონა, თამადა სტალინი გახლდათ, ხოლო მერიქიფე – ახალგაზრდა ჩეკისტი ლავრენტი ბერია, რომელიც მეორე დღესვე დაინიშნა საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ. ეს მოხდა 1922 წლის მიწურულს".**

ბერიამ შეასრულა ბელადისათვის მიცემული პირობა – თავისი დაულალავი მოქმედებით „გადახნა" საქართველო, რისთვისაც წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს და ცოტა მოგვიანებით საქართველოს ჩეკას თავმჯდომარედ დანიშნეს.

სკოვმა სასტიკი გამოძიება მოაწყო. ე. კვანტალიანს ეს ამბავი თანამდებობის დატოვებად დაუჯდა, ბერია კი თავმჯდომარის სავარძელში გადაჯდა: მან ერთობ მოხერხებულად განაცხადა, ჩხუბის დაწყების დროს ადგილზე არ ვიყავი, დაცვას ვამოწმებდი, კვანტალიანმა კი ვერ შეაფასა ჩხუბის შედეგად გამოწვეული პრობლემის სერიოზულობაო.

შემდეგ იყო ამიერკავკასიის ფედერაციის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილეობა. სამმართველოს თავმჯდომარე პაველუნოვსკი მთლიანად დაემორჩილა თავის ახალგაზრდა და ენერგიული მოადგილის გაელენას, რადგან იცოდა, ერთადერთი ადამიანი, ვინც სტალინთან წინასწარ მოუხსენებლად შედიოდა, ბერია იყო.

1931 წლის დასაწყისში იგი უკვე ამიერკავკასიის ფედერაციის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარეა, ხოლო იმავე წლის შემოდგომაზე – საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

ბერიასადმი მოსკოვის დიდი



რომ 1924 წლის აჯანყების ჩახშობის ოპერაციის სული და გული ლავრენტი ბერია იყო.

სტალინსა და ბერიას დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებდათ. ჯერ კიდევ მუსავატურ ბაქოში მუშაობისას, ბერიას, ძერჟინსკის გვერდის ავლით, უშუალო კავშირი ჰქონდა სტალინთან, მისი უძვირფასესი ინფორმატორი იყო, განსაკუთრებით შემდეგ, როცა სტალინის მოწინააღმდეგე ქართველ ბოლშევიკთა შორის მუშაობდა.

მანუჩარ შელია გვიამბობს:

**„1921-1922 წლებში საქართველოში ბოლშევიკთა წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყებები სისხლში ჩაახშეს, ლენინმა სტალინს წინადადება მისცა თბილისში გამგზავრებულიყო და იქაურთათვის აეხსნა, რომ ისინი ცეცხლს ეთამაშებიან.**

**მისიის დასრულების შემდეგ სტალინის გასაცილებლად სუფრა გაიშალა. სუფრის თამადამ სადღეგრძელო ქართულ ენაზე წარმოთქვა: – საქართველოში სარეველამ იმძლავრა. საქართველო უნდა გადაიხნას!**

**ძველმა ქართველმა ბოლშევიკებმა ბუდუ მდივანმა, ფილიპე მახარაძემ, მამია ორახელაშვილმა და სხვებმა უსიტყვოდ გადაყლაპეს ღვინოც და სადღეგრძელოც.**

ეს ერთობ საინტერესო და უჩვეულო შემთხვევის შემდეგ მოხდა.

1926 წლის შემოდგომაზე თბილისს ეწვია თურქეთის სამხედრო დელეგაცია. მოსკოვმა საქართველოს ჩეკისტებს დელეგაციის წევრთა შორის დივერსიული ქსელის შექმნა უბრძანა. საქჩეკას თავმჯდომარის ეპიფანე კვანტალიანისა და მისი მოადგილის ბერიას დიდი მცდელობის მიუხედავად, ეს ვერ მოხერხდა. მაშინ ტაქტიკა შეცვალეს და სტუმრები ბანკეტებით გადაღალეს. ერთ ბანკეტზე ჩხუბი ატყდა და თურქებს ცხვირ-პირი გაუსწორეს. დელეგაციამ თბილისი მეორე დღესვე დატოვა. თურქებმა მოსკოვში იჩივლეს. მო-

და ხაზგასმული ნდობა უკურეაქციას იწვევდა საქართველოში. თვით მმართველ წრეებშიც კი ბერიას კარიერას ეჭვის თვალით უყურებდნენ. ეს ეჭვი სიძულვილში გადაიზარდა, როცა თბილისში გაიგეს, რომ იგი სტალინსა და ძერჟინსკის საქართველოს მთავრობის წევრთა შესახებაც აწვდიდა ცნობებს.

ოღონდ, საქართველოს სამთავრობო წრეებში ბერიას წინააღმდეგ ბრძოლა ანეკდოტებითა და მოსკოვში გაგზავნილი საჩივრებით შემოიფარგლებოდა.

**ალეკო ასლანიშვილი.**

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 59, 60.

## ფეხბურთი

# ფრესაც ქულა მოაქვს



თბილისის „მერანისა" და ქუთაისის „ტორპედოს" გუშინდელი გამოტოვებული მატჩის შედეგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისათვის. თუ მასპინძლები საუკეთესო ექსეულში დასამკვიდრებლად იბრძვიან „ბათუმთან", რიონისპირელთა ზრახვები გაცილებით შორს მიდის. კერძოდ, ისინი თავგამოდებით ცდილობენ თბილისის „ლოკომოტივთან" ქულათა სოლიდური დეფიციტის აღმოფხვრასა და ქვეყნის მოქმედი ჩემპიონისთვის საკადრისი წამყვანი პოზიციის დაბრუნებას.

აფხაზელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეროვნული ნაკრების საბაზო კლუბის საგრძნობი უპირატესობა (განსაკუთრებით მეორე ტაიმში) ტაბლოზე არ ასახულა – 0:0. გასათვალისწინებელია, რომ ქუთათურებს ახალგაზრდულ ნაკრებში თავგამოჩენილი იმედაძე და რეზერვში გადასროლილი ასათიანი აკლდათ, ამვეთიას, დიდავასა და დ. ჯანაშიას ძალისხმევა კი წარმატების მისაღწევად საკმარისი არ აღმოჩნდა. თავის მხრივ, გოლის გატანის შანსი 70-ე წუთზე მინაშვილსაც მიეცა, მაგრამ გვარამაძის უხეში შეცდომის შემდეგ სტუმრები სილაგაძემ იხსნა, რომელმაც ცარიელი კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი.

I ეტაპის ფინიშამდე ორი ტურით ადრე სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში ასეთი მდგომარეობაა: „ლოკომოტივი" – 49, „ტორპედო" – 43, „დინამო" – 41, „ვიტ-ჯორჯია" – 36, „კოლხეთი" – 30, „მერანი" – 29, „ბათუმი" – 25 ქულა.

კვირას, 18 მარტს XXI ტურში ითამაშებენ „სიონი" – „გორდა", „ბათუმი" – „მერანი", „დინამო" – „იბერია", „ტორპედო" – თსუ, „კოლხეთი" – „ვიტ-ჯორჯია", „ლოკომოტივი" – „დილა".

**გია პლატონიშვილი.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

# გენერალური რეპეტიცია

გუშინ „შევარდენის" სტადიონზე საქართველოს ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრებმა უკანასკნელი საკონტროლო მატჩი გამართა აზერბაიჯანელ თანატოლებთან. მოგეხსენებათ, ჩვენებს 28 მარტს მეტად პრინციპული ორთაბრძოლა ელით რუმინელებთან, ამდენად, მეზობლებთან შეხვედრა ერთგვარი გენერალური რეპეტიცია იყო.

ამ ორი ქვეყნის ახალგაზრდული გუნდების პაექრობები ყოველთვის უხვგოლიანობით გამოირჩეოდა (გავიხსენოთ თუნდაც საქართველო-აზერბაიჯანი 5:0 და აზერბაიჯანი – საქართველო 2:2). ფეხბურთელებმა არც ამჯერად გააწბილეს „შევარდენზე" მისული ქომაგები, რომლებმაც ორი ლამაზი გოლი იხილეს.

მატჩი მასპინძელთა იერიშებით დაიწყო. ინიციატივა მათ თამაშის ბოლომდე არ დაუთმიათ. ხშირად ქმნიდნენ საგოლე მომენტებს, მაგრამ ხან ჩვენი თავდამსხმელები ხვდებოდნენ, ხანაც სტუმართა მცველები იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე. 37-ე წუთზე ქართველი ფეხბურთელების გარჯამ მაინც გამოიღო შედეგი: მეტოქის საჯარიმოზე უმეთვალყურეოდ დარჩენილმა იმედაძემ კვირკველიას ჩაწოდებულ ბურთს ყველაზე ადრე მიუსწრო და იგი კარის ბადეში გაახვია.

პირველი ტაიმის ბოლო წუთზე აზერბაიჯანელებმა პირველად შეუტიეს სახიფათოდ ლომაიას კარს, მაგრამ ჩვენმა გოლკიპერმა ლამაზი ნახტომით მოიგერია ბურთი, რასაც ქართველების ელვისებური კონტრიერიში და იმედაძის მეორე გოლი მოჰყვა.

მეორე ნახევრის დასაწყისშივე ქართველმა მსაჯმა მალალურაძემ შეკამათებისთვის აზერბაიჯანელთა კაპიტანი მოედნიდან გააძევა. ამან სიტუაცია დაძაბა. მალე მოედანზე მცირე შეხლა-შემოხლაც მოხდა და მსაჯმა ამჯერად გიორგი შენგელიას უჩვენა წითელი ბარათი. ამის შემდეგ სარბიელზე საინტერესო არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ 79-ე წუთზე მასპინძლებმა ამ მატჩში პირველი და უკანასკნელი კუთხური მოაწოდეს. საბოლოოდ, გაიმარჯვა საქართველოს ნაკრებმა – 2:0.

ორთაბრძოლის შემდეგ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ მითხრა, რომ ამ ეტაპზე კმაყოფილია გუნდის თამაშით, იმის მიუხედავად, რომ ნაკრებს წამყვანი ლეგიონერები აკლდნენ. გუნდის თავკაცთა მიზანი ნაკრების კანდიდატთა ერთი ნაწილის გამოცდა ყოფილა და მათაც არაფერი დაიშურეს მწვრთნელთა ყურადღების მისაქცევად. ბატონ მურთაზს მოთამაშეთაგან არავინ გამოუყვია – ყველა ერთად იგებს და აგებსო, თქვა.

აქვე გაუწყებთ საქართველოს გუნდის შემადგენლობას: ლომაია (მერლანი), ე. საჯაია, ჩივაძე (გილაური), აბრამიძე, კაკაშვილი, კვირკველია (სალუქვაძე), კვარაცხელია (მანწკავა), ბურდული, ხიზანიშვილი (ნაცვლიშვილი), იმედაძე, მიქაძე (შენგელია).

**კობა ხატისაშვილი.**

# არივედერჩი!

**მეორე წელია მეოთხედფინალი მიუღწეველ მიჯნად იქცა ევროტურნირებში მოასპარეზე ერთ დროს ფავორიტი იტალიური კლუბებისთვის. ამჯერად, უკანასკნელ მოჰიკანად ჩემპიონთა ლიგიდან უსახელოდ გამოვარდნილი „მილანი" მოგვევლინა.**

**„ბ" ჯგუფი**

**„მილანი" – „დეპორტივო" 1:1**

**გოლები: შევჩენკო („მილანი"), ჯალმინია („დეპორტივო").**

ლიგის წლევანდელი ფინალი 24 მაისს „სან-სიროზე" უმასპინძლოდ ჩაივლის. სამართლიანადაც. გუნდს, რომელიც ჯგუფურ რაუნდში ერთადერთ მატჩს მოიგებს სამადლოდ და შიდაკონფლიქტებითაა დაბეჩავებული, ოლიმპის ზღურბლთან და, მით უმეტეს, ტახტზე, არაფერი ესაქმება. სიმბოლურია, რომ ძაკერონის გუნდისთვის ფარდა სწორედ იმ სტადიონზე დაეშვა, გაზაფხულის მიწურულს თანამემამულეთა ტრიუმფის მთავარ სარბიელად რომ უნდა ქცეულიყო.

არადა, მატჩის წინ „ვარსკვლავთკრებულს" ბევრი ანიჭებდა უპირატესობას და არცთუ უსაფუძვლოდ – მას ხომ პროგრამა – მინიმუმის განსახორციელებლად საკუთარ მინდორზე ნებისმიერი ანგარიშით გამარჯვება ჰყოფნიდა. საამისო რესურსებიც არ



აღმოაჩნდა „სერია-ა"-ს ბინადარს, ესპანეთის ჩემპიონი მთელი შეხვედრის განმავლობაში ღირსეულ მეტოქედ გამოიყურებოდა და დამსახურებულადაც აღზევდა.

აღსანიშნავია შოტლანდიელ მსაჯთა ბრიგადის (მთავარი არბიტრი – ჰიუ დალასი) მიერ გამოჩენილი ობიექტურობა და პრინციპულობა. მათ მიერ მიღებული ერთი შეხედვით საეჭვო გადაწყვეტილებების სამართლიანობა რომ ტელეეკრანებზე გამეორებებით ლაღასტურდა, ლამეთანხმებით ალბათ, თემიდის ქართველ მსახურთათვისაც საგულისხმო ფაქტია.

მოკლედ, მითი იტალიის „სერია-ა"-ს უძლიერესობის შესახებ თანდათან იმსხვრევა (ბევრის აზრით, უკვე დაიმსხვრა კიდეც), ევროპული საკლუბო ფეხბურთის ლიდერებად კი ესპანელები ყალიბდებიან, რასაც წინა სეზონის მონაგართან ერთად აწმყოც ადასტურებს – პირენეის წარმომადგენლებმა ხომ ერთბაშად სამ (!) ჯგუფში დაიკავეს პირველი ადგილი.

**„პარი სენ-ჟერმენი" – „გალათასარაი" 2:0.**

**გოლები: კრისტიანი (2).**

**„დეპორტივო", „გალათასარაი" – 10-10, „მილანი" – 7, „პარი სენ-ჟერმენი" – 5 ქულა.**

**მეოთხედფინალში ითამაშებენ „დეპორტივო" და „გალათასარაი".**

**„ა" ჯგუფი**

**„ვალენსია" – „პანათინაიკოსი" 2:1.**

**გოლები: სანჩესი, ანგლომა („ვალენსია"), ბასინასი („პანათინაიკოსი").**

**„მანჩესტერი" – „შტურმი" 3:0.**

**გოლები: ბათი, შერინგემი, კინი.**

**„ვალენსია", „მანჩესტერი" – 12-12, „შტურმი" – 6, „პანათინაიკოსი" – 2 ქულა.**

**მეოთხედფინალში ითამაშებენ „ვალენსია" და „მანჩესტერი".**

**გია პლატონიშვილი.**

## ყურადღება!

# სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო აცხადებს კომერციულ კონკურსს

**სააქციო საზოგადოება „ჩხოროწყუჰესის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტის 52 პროცენტის (63375 ცალი აქცია) საწყისი გასაყიდი ფასის (400 000 აშშ დოლარი) 75 პროცენტი ფასდაკლებით 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხით ეროვნულ ვალუტაში კომერციული კონკურსის ფორმით პრივატიზების მიზნით.**

**კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**

საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

**ინფორმაცია ობიექტის შესახებ:**

გამყიდველი – სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, ობიექტის იურიდიული მისამართი: ქ. ჩხოროწყუ, კოსტავას 3, სააქციო საზოგადოება „ჩხოროწყუჰესის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტის 52 პროცენტის (63375 აქცია) გაყიდვა განხორციელდეს კომერციული კონკურსის ფორმით. საწყისი გასაყიდი ფასის (400 000 აშშ დოლარი) 75 პროცენტი ფასდაკლებით 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხით ეროვნულ ვალუტაში.

**საკონკურსო პირობები:**

მყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა). ს/ს „ჩხოროწყუჰესის" აქციათა 52 პროცენტის შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვის განმავლობაში დაფაროს ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასის (100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხით ლარებში) 51 პროცენტი, ხოლო დანარჩენი 49 პროცენტის დაფარვა განახორციელოს მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში.

ბ). ჰესის ამჟამინდელი ფაქტობრივი სიმძლავრის 1,5 მეგავატიდან 3 მეგავატამდე გაზრდის მიზნით განახორციელოს 300 000 აშშ დოლარის ინვესტიციები 2 წლის განმავლობაში. კერძოდ:

- №2 აგრეგატის აღდგენა (მ. შ. 0,5 ტონა ტურბინის ზეთი).
- №2 აგრეგატის სიჩქარის რეგულირების აღდგენა.
- №2 აგრეგატის ძალოვანი ტრანსფორმატორის აღდგენა და საექსპლუატაციოდ მომზადება (მ. შ. 5 ტონა ტ/ზეთი).
- ძალოვანი კაბელების შეცვლა ახლით.
- სადაწნეო ნაგებობის კაპიტალური რემონტი (ფარები, ძრავები და გამაგრებითი სამუშაოები).
- სადერევაციო არხის სარემონტო სამუშაოები.
- სათავე ნაგებობის სარემონტო სამუშაოები.
- უსაფრთხოების პირობების უზრუნველყოფის სამუშაოები.
- საერთო საექსპლუატაციო პირობების გაუმჯობესება.
- მყიდველს საკონკურსო პირობების სრულად შესრულებამდე ეკრძალება აქციათა პაკეტის ან მისი ნაწილის გასხვისება სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე.
- მყიდველს ევალება ყიდვის მომენტისათვის (ხელშეკრულების გაფორმებიდან) არსებული კრედიტორული დავალიანებების დაფარვა კრედიტორებთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით.

გ) კონკურსანტმა „ბე"-ს სახით წინასწარ უნდა გადაიხადოს ობიექტის საბოლოო გასაყიდი ფასის (100 000 აშშ დოლარი) არანაკლებ 10 პროცენტი (10 000 აშშ დოლარის ეკვივალენტური თანხა ეროვნულ ვალუტაში).

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს კონკურსის ჩატარებამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში 14-დან 17 სთ-მდე ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველივე სამუშაო დღეს 17 საათზე, კონკურსი ჩატარდება და მასში მონაწილეთა წინადადებების შემცველი კონვერტები გაიხსნება 2001 წლის 16 მარტს 17 საათზე. მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. №64. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო.

საკონკურსო კომისიის მისამართია: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №64, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, ოთახი №311 ტ. 29-28-33, სადაც მიიღებთ დამატებით ინფორმაციას ობიექტის შესახებ. დამატებითი ინფორმაცია მყიდველს შეუძლია მიიღოს, აგრეთვე საწარმოში.

მყიდველი ვალდებულია კომერციული კონკურსით შეძენილი სახელმწიფო ქონების პრივატიზების შემდეგ გამოყენებისას დაიცვას საკონკურსო პირობები. საკონკურსო პირობათა შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში მყიდველი იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების აუცილებელი ვადა და ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ჯარიმდება დარჩენილი გადაუხდელი თანხის და/ან დარჩენილი განსახორციელებული ინვესტიციის 0,1 პროცენტით.

საკონკურსო პირობათა დაუცველობის განმეორებითი გამოვლენის შემთხვევაში განიხილება, როგორც ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის ინიციატივა „გამყიდველის" მიერ „მყიდველს" არ უბრუნდება თანხა და არ უნაზღაურდება მის მიერ გაწეული დანახარჯები.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;

ბ) კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;

გ) სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს საანგარიშსწორებო ანგარიშზე (საქართველოს ეროვნული ბანკი, ა/ა №141144212, კოდი 220101107) „ბე"-ს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს.

საკონკურსო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და გასაყიდ სახელმწიფო ქონებაზე მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა) გადახდა.

**სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო.**

## ცინცხალი ამბები

**სამშაბათს „დეპორტივოსთან" წარუმატებლად ჩატარებული მატჩის შემდეგ „მილანის" ხელმძღვანელობამ გუნდის მთავარი მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი თანამდებობიდან გაათავისუფლა, თუმცა, მადლობა გადაუხადა კლუბში სამწლიანი მოღვაწეობისათვის.**



**მის პოსტს დაიკავებს ჩეზარე მალდინი, რომელიც დღემდე უმუშევარი იყო, ხოლო თანაშემწედ ეყოლება კლუბის ყოფილი ვარსკვლავი მაურო ტასოტი.**

**იტალიელი ჟურნალისტების აზრით, წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი გუნდში არსებული არაჯანსაღი ატმოსფეროა. ვნახოთ რას მოიმოქმედებენ „მილანის" ახალი მწვრთნელები.**

**აშშ პროფესიული კალათბურთის თაყვანისმცემელთა წრეებში გავრცელდა ხმები დიდ სპორტში სახელოვანი ვარსკვლავის მაიკლ ჯორდანის შესაძლო დაბრუნების თაობაზე, რომელიც ამჟამად კლუბ „ვაშინგტონ უიზარდსის" პრეზიდენტი და თანამფლობელია.**



**ჟურნალი „სპორტ ილუსტრეიტედი" სანდო წყაროებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ თითქოს სპორტსმენს გადაწყვეტილი ჰქონდეს დაბრუნება და ამისათვის დღეში 6 საათს ვარჯიშობს.**

**ჯორდანს თვითონ არაფერი განუცხადებია, გარდა ერთისა, რომ ვარჯიშობს ფიზიკური ფორმის შენარჩუნებისა და წონის დაკლებისათვის.**

**დაველოდოთ, რას მოიმოქმედებს XX საუკუნის კალათბურთის სიმბოლო.**

## რეგიონი

# მალე კლუბიც გაიხსნება...

ჩვენი გაზეთის მკითხველს არ გაუჭირდება იმის გახსენება, უკანასკნელ პერიოდში როგორ ვითარდება ჭადრაკი ჩვენთან, კერძოდ, თბილისში, ქუთაისსა თუ ბათუმში. საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია, მისი რეგიონული ორგანიზაციები განსაკუთრებით გამოფხიზლდნენ ჩვენი ქვეყნიდან ქალთა საჭადრაკო გვირგვინის ჩინეთში გადაბარგების, ევროპის პირად პირველობაზე ბათუმში ახლადგახსნილ მშვენიერ საჭადრაკო სასახლეში განცდილი ფიასკოს, სხვა წარუმატებლობათა შემდეგ.

ჭადრაკი, უკვე შეიძლება ვთქვათ, პოზიციებს იბრუნებს და ეს ბრძენთა თამაშის „გეოგრაფიის" გაფართოების, ცალკეულ რეგიონებსა თუ ქალაქებში ფედერაციათა ხელმძღვანელობის მონდომების შედეგიც გახლავთ.

მოგეხსენებათ, რუსთავი, რომელიც თბილისს უშუალოდ მეზობლობს, სპორტულ ქალაქად მოიაზრება. დროთა უკუღმართობამ აქაური სპორტიც დააკნინა, თუმცა, რუსთაველებმა შეძლეს მდგომარეობიდან გამოსვლა და სპორტის ცალკეული სახეობების (კალათბურთი, ფეხბურთი) „ამოქაჩვა"...

აი, ჭადრაკის განვითარების, მისი ფართოდ დანერგვის საქმე საკმაოდ გაჭიანურდა, ჯერაც ვერ მოხერხდა საჭადრაკო კლუბის გახსნა. როგორც ქვემო ქართლის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი თეიმურაზ მეტრეველი იმედოვნებს, ეს პრობლემაც მალე მოგვარდება.



– ჭადრაკის ქომაგმა იური ბედენეიშვილმა ორი წლით უსასყიდლოდ დაგვითმო ადგილი, სადაც უკვე მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები და, ვფიქრობთ, რამდენიმე კვირაში აუცილებლად გავხსნით საჭადრაკო კლუბს, – გვითხრა მან.

საერთოდ, ჩვენთან უყვართ ჭადრაკი და ვახერხებთ რუსთავში და მის გარეთ მრავალი შეჯიბრების გამართვას, ყოველწლიურად (უკვე 1995 წლიდან) ვაწყობთ ზონალურ ტურნირებს სხვადასხვა ასაკის მოჭადრაკეთათვის, ჩვენი წარმომადგენლები საქართველოს ღია პირველობებზეც გამოდიან, რუსთაველები სიხარულით მონაწილეობენ მოყვარულთა ტურნირებში...

**– კლუბის არქონის პირობებში თქვენი ბავშვები სად ვარჯიშობენ?** – ვკითხეთ ფედერაციის პრეზიდენტს.

– ჩვენს ტერიტორიულად ჯერ კიდევ არარსებულ კლუბს ათასზე მეტი წევრი ჰყავს, ძირითადად – მოსწავლეები. ისინი, რა თქმა უნდა, სკოლებში მეცადინეობენ, ადგილობრივ საჭადრაკო წრეებში. საბედნიეროდ, საკმაოდ კვალიფიციური მწვრთნელებიც გვყავს, კარგი მსაჯებიც, რომლებიც ასევე მაღალ დონეზე უძღვებიან შეჯიბრებებს.

ჩვენი სადღეისო და მთავარი პრობლემაა საჭადრაკო კლუბის გახსნა. ქალაქის საზოგადოების, რუსთავის ყოფილი მერის – მერაბ ტყეშელაშვილის, ახალგაზრდული დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის – გოჩა ტყეშელაშვილის, ჩვენი უანგარო სპონსორის და მეგობრის – გენადი ულუმბეგაშვილის ძალისხმევით და დახმარებით შევძელით ჭადრაკის გადარჩენა რეგიონში, ვფიქრობთ, მის ახალ სიმაღლეებზე აყვანას. ჩვენს კლუბში, რომელსაც სულმოუთქმელად ველით, ვაპირებთ ზედიზედ ექვსი ტურნირის გამართვას. იმედი გვაქვს, მის გახსნას დაესწრებიან ჩვენი სათაყვანო მოჭადრაკე ქალები, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელები, ყველა ის, ვისაც უყვარს ბრძენთა უძველესი თამაში და ჩვენი ქალაქი...

როგორც ჩანს, რუსთავი ახალი ჰორიზონტებისკენ იყურება. სასიამოვნოა, რომ მალე თბილისს ასევე ძლიერი საჭადრაკო პარტნიორი გაუჩნდება.

**ნია ტალახაძე,**
**ანდრო ბარძაია.**

## ყოველი მხრიდან

### ვინ იქნება საუკეთესოთა შორის საუკეთესო

22 მაისს მონტე-კარლოში, ტრადიციულ საზეიმო ცერემონიაზე, დაასახელებენ წლის საუკეთესო სპორტსმენ ქალსა და კაცს, წლის საუკეთესო გუნდს. მათი ნომინანტები თითქმის უკვე შერჩა: გუშინწინ ბერლინში ამ საპატიო წოდების კანდიდატებად წამოაყენეს სახელგანთქმული ჩოგბურთელი ბორის ბეკერი და დიდებული ტანმოვარჯიშე ნადია კომენეჩი (სურათზე). კაცებიდან კიდევ დასახელებულნი არიან ტაიგერ ვუდსი (გოლფი), პიტერ ვან დენ ჰუგენბანდი და იან ტორპი (ორივე – ცურვა), მიხაელ შუმახერი („ფორმულა-1") და სტივ რედგრეივი (აკადემიური ნიჩბოსნობა). ქალებიდან კომანეჩის „შეებრძოლებიან" მარიონ ჯონსი და კეტი ფრიმენი (ორივე – მძლეოსნობა). ინგე დე ბრიუნი (ცურვა), კერი უებ (გოლფი) და ვინუს უილიამსი (ჩოგბურთი), წლის საუკეთესო გუნდის" ნომინანტებად წარდგენილნი არიან: საფრანგეთისა და კამერუნის ფეხბურთის ნაკრებები, საფეხბურთო კლუბი „რეალი" (მადრიდი), ბეისბოლის გუნდი „ნიუ-იორკ იანკიზი" და ავსტრალიის ნაკრები კრიკეტში.

### ლაურეატები დაასახელეს

ინდიანა-უელსში ორი უდიდესი საჩოგბურთო ტურნირი მიმდინარეობს – კაცთა, რომლის საპრიზო ფონდი 2950 000 დოლარია და ქალთა – 1080000 დოლარიანი საპრიზო ფონდით.

კაცებმა თუ ჯერ მხოლოდ პირველი წრე მოათავეს, ქალებმა უკვე მეოთხედფინალამდე მიაღწიეს.

„ძლიერი სქესის" წარმომადგენლებიდან პირველი გამარჯვებები იზეიმეს აგასიამ, კორეტსამ, სამპრასმა, რომელმაც განაცხადა, რომ 35-36 წლამდე უნდა ითამაშოს.

ლამაზმანებს შორის კი თითქმის ფინიშს მიუახლოვდნენ ჰინგისი, დევენპორტი, დები უილიამსები, დემენტიევა და სხვები. ტურნირის ნამდვილი აღმოჩენაა რუსეთელი ელენა ბოვინას თამაში. ამ ტანწერწეტა ქალიშვილმა (მისი სიმაღლე 191 სმ-ია) უკვე მეოთხედფინალს მიაღწია.



სწორედ ამ ტურნირის დროს გამოქვეყნდა გასული სეზონის ლაურეატების ვინაობაც. წლის საუკეთესო ჩოგბურთელის საპატიო წოდება დაიმსახურა ვინუს უილიამსმა, ხოლო იგი თავის დასთან – სერენასთან ერთად საუკეთესო წყვილადაც აღიარეს. პროგრესის პრიზის მფლობელი გახდა რუსეთელი ელენა დემენტიევა. საუკეთესო ახალბედას ჯილდო ჩეხ დაია ბედანოვას მიაკუთვნეს. პრიზის გარეშე არ დარჩენილა მსოფლიოს პირველი ჩოგბურთელი მარტინა ჰინგისიც, რომელსაც ჯილდო ჩვენი პლანეტის სხვადასხვა წერტილში მოპოვებული გამარჯვებებისათვის მიანიჭეს.

**სპორტის რედაქცია.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!**

საქართველოს რესპუბლიკა
№ 61. ხუთშაბათი, 15 მარტი, 2001 წელი.

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ვერ იარა მათმა ეტლმა... ამ ქვეყნიდან უდროოდ წასულები, დეიდაშვილები – გილარ ზაქარეიშვილი (მარცხნივ) და ნოდარ ფიცხელაური. თბილისი, 1958 წელი.

სურათი მოგვაწოდა თამაზ სანაძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

## ღიმილის დოზა



სასამართლო პროცესზე მოწმეს ეკითხებიან:
– მართალია, რომ ბრალდებული ამ ქალთან ცხოვრობს, როგორც ქმარი ცოლთან?
– არა, ბატონო მოსამართლე, გაცილებით უკეთესად.

* * *

ორი მამაკაცი ლაპარაკობს:
– იცი, გუშინ რა მოხდა? მივდივარ და ვხედავ – სამი კაცი ერთს სცემს. მე, რასაკვირველია, გადავწყვიტე დავხმარებოდი.
– ყოჩაღ, ჩანს, გულადი ხარ! მერე რა მოხდა, დაეხმარე?
– რა თქმა უნდა, ერთი გენახა, ოთხივემ როგორ მივბეგვეთ.

* * *

– ეს რა არის, დღიურში ისევ ორიანები გაქვს? ახლა თავს რითი იმართლებ?
– მე ჯერ კიდევ არ ვიცი, რისი ბრალია – მემკვიდრეობითობისა თუ ოჯახური გარემოსი.

* * *

ნასვამი კაცი ოფიციანტს ეკითხება:
– რამდენგრადუსიანია თქვენი არაყი?
– ორმოცი.
ასე ცხელია, ეს ოხერი?

* * *

მოქალაქე პეტროვ, დაკითხვამ ძალიან არ დაგღალათ?
– რას ბრძანებთ. უკვე ოცი წელია, ცოლიანი ვარ.

* * *

– ეს რა დრო დადგა! – გაბრაზებით ამბობს მოხუცი კოვბოი, – თქვენ წარმოიდგინეთ, საცოლეს კომპიუტერით ირჩევენ.
შვილი:
– შენ დედაჩემი როგორ შეირთე?
– ჩვეულებრივად. კარტში მოვიგე!

* * *

ექიმო, სამი თვეა, ერთი და იგივე ქალი მესიზმრება.
– მერე რა? – ეკითხება ექიმი.
– მისი დანახვა აღარ შემიძლია.

## ცოდნის სკივრი

ქართველ მეფეთაგან სამეფო ტახტზე ყველაზე მცირე დრო დაჰყო გიორგი XII-ემ (2 წელი), ვახტანგ IV-ემ (3 წელი), ქართლის მეფე ბაკურ II (ვახტანგ გორგასლის შვილიშვილი) გამეფების წელსვე გარდაიცვალა (დაახლოებით 515 წ.).

* * *

რომაელებთან ბრძოლისას კართაგენელმა სარდალმა ჰანიბალმა, ხარებს რქებზე ჩირაღდნები დაუმაგრა და მტრების რიგებში შერეკა. ამით მან თავისი ალყაშემორტყმული მეომრები დაიხსნა. აქედან მოდის გამოთქმა: „ვით ჰანიბალი გვერეკება და გვჯაბნის“!

* * *

ჭიანჭველა საშუალოდ 5-7 წელიწადს ცოცხლობს.

* * *

ჭავა შედარებით ახალგაზრდა სასმელია: იგი დაახლოებით ექვსასი წლისაა. რაც შეეხება ჩაისა და ღვინოს, მათ რამდენიმე ათასწლეულის ისტორია აქვთ.

* * *

ხეთურმა ლიტერატურამ შემოგვინახა ტექსტი მეცხენეობაზე. ეს არის პირველი თხზულება მსოფლიო ლიტერატურაში, სადაც დაწერილებითაა აღწერილი ცხენების გაწვრთნა, რომელიც 184 დღეს გრძელდებოდა.

* * *

მსოფლიოს უდიდესი ქალაქების მოსახლეობის რაოდენობის (1992 წლის 1 იანვრის აღწერით) მიხედვით რეკორსმენია – ტოკიო – იოკოჰამა: 27,245 ათასი.

## კადრები

### ეროვნული კინოცენტრის ახალი დირექტორი

14 მარტს საქართველოს კულტურის მინისტრმა სესილი გოგიბერიძემ ეროვნული კინოცენტრის დირექტორის თანამდებობაზე კინორეჟისორი ოთარ შამათავა დაამტკიცა. ერთი კვირით ადრე, 6 მარტს, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის სხდომაზე გამგეობის წევრებმა ერთსულოვნად გაუწიეს რეკომენდაცია ოთარ შამათავას კანდიდატურას ამ თანამდებობაზე.

ოთარ შამათავა მოღვაწეობდა „ქართულ ფილმში“, სტუდია "ლილეო არტს"-ში და "დიონისე" ფილმში ინგლისურ კომპანიასთან ერთად. მისი ფილმები „რევანში“, „სუფთა დაფა“, „ტურანდოტი“ სხვადასხვა პრიზითაა დაჯილდოებული. 2000 წლიდან კი მუშაობს სერიალზე „ძილის წინ“.

როგორც კულტურის მინისტრმა თქვა, ოთარ შამათავა არის ის პიროვნება, რომელსაც შეუძლია გაუძღვეს ქართულ კინოს.

საქინფორმი.

## გამოსათხოვარი

### მერი მდივანი



გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი მერი ლუარსაბის ასული მდივანი, ქალბატონი, რომელმაც მთელი ცხოვრება ერისა და ქვეყნის სამსახურს შეალია და დატოვა საოცარი სათნოებით აღსავსე ბიოგრაფია.

იგი 1932 წელს დაიბადა ზესტაფონის რაიონის სოფელ სასახლეში. წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, საქართველოს ზოოვეტერინარიის ინსტიტუტი. პირველი შრომითი ნათლობა 1954 წელს მიიღო ყულარის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც ბრიგადირად მუშაობდა. შემდეგ იყო წისქვილკომბინატი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ხოლო 1973 წლიდან დღემდე მუშაობდა გარდაბნის რაიონის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორად.

განსაკუთრებით აქ გამოჩნდა ქალბატონ მერის ორგანიზატორული ნიჭი. მისი წინამძღოლობით არა მარტო ფაბრიკამ იცვალა სახე და გახდა რესპუბლიკაში მოწინავე საწარმო, არამედ სოფელმაც. აშენდა ფაბრიკის დასახლება თავისი კეთილმოწყობილი საყოფაცხოვრებო ობიექტებით, საცხოვრებელი სახლებით, სკოლით, საბავშვო ბაღით, უფასო კვებით, უფასო კომუნალური მომსახურებით. ყოველივე ამის სულისჩამდგმელი მერი მდივანი იყო. მას დიდება არასდროს უძებნია, იგი თავდაუზოგავმა შრომამ მოუტანა. მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. იყო მსოფლიო მეფრინველეობის ასოციაციის წევრი. არჩეული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს სამი მოწვევის დეპუტატად და დაჯილდოებული იყო მრავალი მედლითა და საქართველოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით, ხოლო 1999 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით ღირსეული ქალბატონი ღირსების ორდენით დაჯილდოვდა. სელექციურ მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის მინიჭებული ჰქონდა სახელმწიფო პრემია...

ქალბატონ მერის საქმიანობას უძღვნიდნენ წერილებს ჟურნალ-გაზეთები. მის შრომაზე, საქმეებზე საუბრობდნენ ტელევიზიითა და რადიოთი. მას კარგად იცნობდა მთელი საქართველო.

წავიდა ჩვენგან საოცრად სიმპათიური, ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი ქალბატონი მერი მდივანი და ახლობლების, მეგობრების, ნაცნობების, ცრემლსა და სევდასთან ერთად თან გაიყოლა ღირსეული ქართველი ქალის სახელი.

სანაცვლოდ კი დატოვა დიდი სიყვარული, რომელსაც მთელი სიცოცხლის მანძილზე უშურველად თესდა და უხვადაც მოიმკა. ეს სიყვარული მიაცილებს დღეს უკვდავებისაკენ.

**ე. შევარდნაძე, ზ. ჟვანია, გ. არსენიშვილი, დ. კირვალიძე, ბ. გონაშვილი, ნ. ცაგარეიშვილი, მ. მეზვრიშვილი, ნ. გურგენიძე, ვ. მეტრეველი, გ. სანაძე, ო. ნათიშვილი, ნ. მამალაძე, ლ. მამალაძე, თ. შაშიაშვილი, გ. დათუნაიშვილი, ნ. ძარძაშაძე, ე. გუგუშვილი, ვ. გვარჯალაძე, ჯ. გორგოძე, ო. ბოკერია.**

იყიდება საგარეჯოს „ბავშვთა სამყარო“. ცნობებისათვის მიმართეთ საგარეჯოს რაიკოოპერატივის გამგეობას.
საგარეჯო. სტალინის ქ. №55.

## ხსოვნა

### ვახტანგ გუნია



საქართველოს სამედიცინო საზოგადოებას გამოაკლდა ჯანმრთელობის დაცვის ამაგდარი ორგანიზატორი, თბილისის სამედიცინო სამსახურის ერთ-ერთი ცნობილი და ნიჭიერი ხელმძღვანელი, საქართველოს დამსახურებული ექიმი **ვახტანგ გუნია,** რომელიც ექვსი ათეული წლის განმავლობაში ერთგულებით ემსახურა ქვეყანას, საზოგადოებას, საექიმო საქმიანობას.

დაიბადა 1917 წელს, ქუთაისში. 1939 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დაიწყო მისი ორგანიზატორულ-საექიმო საქმიანობა ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. მეორე მსოფლიო ომის დროს მონაწილეობდა სხვადასხვა საომარ მოქმედებაში, როგორც საექიმო სამსახურის წამყვანი სპეციალისტი. იყო სამხედრო და ევაკოჰოსპიტლების უფროსი. ომის დამთავრების შემდეგ ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრაზე. 1948-50 წლებში ბატონი ვახტანგ გუნია ხელმძღვანელობს შინაგან საქმეთა სამინისტროს რესპუბლიკურ საავადმყოფოს. შემდეგ უბრუნდება სამოქალაქო სამსახურს და ინიშნება თბილისის №3 პოლიკლინიკის მთავარ ექიმად, ხოლო 1952 წლიდან, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე, ხელმძღვანელობდა თბილისის №4 პოლიკლინიკის კოლექტივს. ამ დაწესებულებაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოღვაწეობის შედეგია ის სიახლეები, რომლებიც მისი ორგანიზაციული ნიჭისა და გამოცდილების წყალობით დაინერგა ამ პოლიკლინიკაში. კერძოდ, მოსახლეობის მასიური პროფილაქტიკური ღონისძიებები, დროული, პირველადი დიაგნოსტიკა, შრომისა და მართვის თანამედროვე ფორმები და მეთოდები და სხვა.

საექიმო-ორგანიზაციული საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის, 1998 წელს ბატონი ვახტანგ გუნია დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

მრავალმხრივ გამორჩეული პიროვნება იყო ბატონი ვახტანგი. მისი კაცთმოყვარეობა, გაჭირვებულისადმი თანადგომა, პროფესიისადმი ერთგულება ის ძირითადი თვისებებია, რომლებიც ასე უხვად ამკობდა მის პიროვნებას. ბატონი ვახტანგის დიდ დამსახურებაზე ისიც მიუთითებს, რომ მან შეძლო ნახევარი საუკუნის მანძილზე ეხელმძღვანელა იმ სამედიცინო დაწესებულებებისათვის, რომლის სახელი და ავტორიტეტი აღიარებული იყო ჩვენს დედაქალაქში.

ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან ბატონი ვახტანგი. მის მიერ განვლილი გზა ჭეშმარიტი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვრო, იმოღვაწეო ქვეყნის, ხალხის სასიკეთოდ.

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
თბილისის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამოქალაქო სამსახური;
გაზეთ „მედიცინის“ რედაქცია.**

### გურამ ჭუმბურიძე



საქართველოს განათლების სისტემამ მძიმე დანაკლისი განიცადა. მოულოდნელად გარდაიცვალა განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის, ინტერნატული დაწესებულებებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის სამმართველოს უფროსი **გურამ ალექსანდრეს ძე ჭუმბურიძე.**

გ. ჭუმბურიძე დაიბადა 1950 წლის 16 აპრილს ქ. თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსიც, ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლის კვალიფიკაციით, დაასრულა 1977 წელს.

გურამ ჭუმბურიძე შრომით საქმიანობას ჩვიდმეტი წლის ასაკიდან შეუდგა, მაგრამ მან მთელი თავისი მდიდარი შესაძლებლობები ჭაბუკობის წლებში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო ახალგაზრდული ტურიზმის ბიურო „სპუტნიკში“ მუშაობისას გამოავლინა, მოგვიანებით კი – ჯერ პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტში, სადაც იგი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი – განათლების სამინისტროში, ზემოხსენებულ თანამდებობაზე.

გურამ ჭუმბურიძემ ხანმოკლე, მაგრამ მდიდარი ცხოვრება განვლო, იგი ბედის ნებიერი არ ყოფილა, სკოლის დამთავრებისთანავე შეუდგა მძიმე შრომით საქმიანობას, მაგრამ არცერთ სამსახურში თავისი პრინციპებისათვის არ უღალატია. სადაც არ უნდა ყოფილიყო – დიდ თუ პატარა თანამდებობაზე, დაწყებული სტუდიის გამნათებლიდან, დამთავრებული განათლების სამინისტროს ერთ-ერთი ურთულესი სამმართველოს უფროსობით, არასოდეს უკან არ დაუხევია, მუდამ ბრძოლის წინა ხაზზე იდგა და ყოველთვის თან სდევდა პროფესიონალის ნათელი კვალი.

გ. ჭუმბურიძე ყოველთვის გამოირჩეოდა სამსახურებრივი პრობლემებისადმი შემოქმედებითი მიდგომითა და არაორდინარული გადაწყვეტებით, მოვალეობისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულებითა და დიდი პიროვნული ხიბლით. ბატონმა გურამმა, მონდომებული შრომითა და ყოველდღიური საქმიანობით ნათელი კვალი დააჩნია ობოლი და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების სწავლებისა და აღზრდის, აგრეთვე, მათი შემდგომი სოციალური ადაპტაციის სახელმწიფოებრივად ღირებულ საქმეს.

ცხოვრების შუაგზაზე შემოაღამდა გურამს, წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი ნათელი კაცი, ღირსეული ადამიანი, გულანთებული მოქალაქე და მამულიშვილი, შესანიშნავი მამა და მეუღლე, არაჩვეულებრივად მართალი, სპეტაკი პიროვნება და მუშაკი, სამაგალითო ამხანაგი, ერთგული მეგობარი და კოლეგა...

გ. ჭუმბურიძის ხსოვნა მარად დარჩება ქვეყნისა და ხალხისადმი, მომავალი თაობისადმი უანგარო სიყვარულისა და სამსახურის მაგალითად.

**საქართველოს განათლების სამინისტრო.**

## კავშირგაბმულობა

### ტელეფონის დადგმის მსურველთა საყურადღებოდ!

სს „საქართველოს ელექტროკავშირი“ მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით იწყებს სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას.

ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამწუხაროდ, ვერ ხერხდება ტელეფონის დადგმის აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეების რიგის დაზუსტება (ფაქტობრივად, სახლმმართველობები არ გვაწვდიან საჭირო ინფორმაციას, ბინები დაცარიელია ან შეცვლილია მეპატრონეები და ა.შ.).

ზემოთ აღნიშნულის მოსაწესრიგებლად, ა/წლის 10 აპრილამდე ჩატარდება „საქართველოს ელექტროკავშირის“ ტელეფონების დადგმის მსურველთა რიგითობის დოკუმენტების ინვენტარიზაცია. ეთხოვეთ რიგში მყოფ მოქალაქეებს, მობრძანდნენ შესაბამის სატელეფონო კვანძებში რიგითობის დასაზუსტებლად და თან იქონიონ პირადობის მოწმობა.

ის მოქალაქეები, რომლებიც აღნიშნულ ვადაში ვერ გამოცხადდებიან სატელეფონო კვანძებში და ვერ გაივლიან ხელახალ რეგისტრაციას, ამოღებულ იქნებიან რიგითობის სიიდან და მათი პირადი საქმე გადავა არქივში. ეთხოვეთ მოქალაქეებს, გაგებით მოეკიდონ ამ თხოვნას...

პატივისცემით,
**სს „საქართველოს ელექტროკავშირის“ ადმინისტრაცია.**

## განცხადება

### სააქციო საზოგადოება „თბილგაზის“ აქციონერთა საყურადღებოდ!

2001 წლის 4 აპრილს 17 საათზე გაიმართება სააქციო საზოგადოება „თბილგაზის“ აქციონერთა საერთო კრება.

აქციონერთა დასწრება სავალდებულოა.

მისამართი: ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ. №18 ა, სს „თბილგაზი“.

**სს „თბილგაზის“ სამეთვალყურეო საბჭო.**

## ხსოვნა

### ნადია ერისთავი



სულ ცოტა ხნის წინათ ქუთაისის საზოგადოებამ უკანასკნელ გზაზე გააცილა განათლების სისტემის ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანი – „ქალი ლეგენდა“ – **ნადია ერისთავი.**

50 წლის განმავლობაში იყო ქალბატონი ნადია ერისთავი სკოლის უცვლელი დირექტორი.

უამრავი თაობა ღირსეულად აღზარდა „რკინის ლედიმ“, რომლის ღიმილიც ჩვენთვის, მისი აღზრდილებისათვის მზის გაცინების ტოლფასი იყო.

ახალგაზრდობას ის უნერგავდა სწავლისადმი ულევს სიყვარულს, პატიოსნებას, ცოდნას, ერთგულებას, უშუალობას..

ის იყო უაღრესად არისტოკრატული, ინტელიგენტური, მისი პიროვნება დიდ მოკრძალებას იწვევდა საზოგადოებაში.

მისი აღზრდილები ცრემლიანი თვალებით, უდიდესი მოწიწებით ვემშვიდობებით ჩვენს დიდ მასწავლებელს და უფალს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

**აღზრდილები.**

---

კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პათოლოგიის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ონკოლოგი და საზოგადო მოღვაწე

რევაზ ჩიქოვანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

პროფ. ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი, საქართველოს პროფ. კ. ვეფხვაძის სახელობის ონკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული ონკოლოგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ორგანიზატორი, დიდებული ქალბატონი და უანგარო მეგობარი

ასმათ რატიანი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს უზენაესი სასამართლო იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ვახტანგ კაჭახიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

დ. გურამიშვილის სახელობის სახელმწიფო უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები თანაგრძნობას უცხადებენ თენგიზ მდივანს დის

მერი ლუარსაბის ასული მდივნის

გარდაცვალების გამო.

---

სააქციო საზოგადოება „საქჰიდროენერგომშენის“ თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნოდარ ლაფერიშვილს ძმის

ზურაბ ლაფერიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო თანაუგრძნობს მინისტრის აპარატის უფროსს, პოლკოვნიკ ბიჭიკო ლეჟავას სიდედრის

თინა კოხრეიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ელექტრომაგნიტურ თავსებადობასა და ხელშეშლებზე დაკვირვების სამსახური გულწრფელად თანაუგრძნობს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს ვახტანგ აბაშიძეს დედის

ბელა დავითის ასულ ჟორდანია-იაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური თანაგრძნობას უცხადებს ენძელა მაჭავარიანს დედის

ანა (ანიკო) მაჭავარიანის

გარდაცვალების გამო.

---

ციალა და ირაკლი ანდრიაძეების ოჯახი თანაგრძნობას უცხადებს ენძელა, ია და ლალი მაჭავარიანებს

დედის

გარდაცვალების გამო.

## ტელევიზია

### ხუთშაბათი, 15 მარტი

08.00 ალიონი 09.30 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 09.50, 20.55 სერიალი **"ქამელეონი"** 10.25 ჯეოპოპი 10.55, 18.15 სერიალი **"სენ-ტროპე"** 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ეთნოგრაფიული ჩანახატი 12.35 არტ-ექსპრესი 13.00 ნაშუადღევს 14.05 ენერგია 14.25 საქმე 15.15 მხ.ფ. **"ცეკვები ლუნაზას დროს"** 16.45 მესაკუთრე 17.00 კალათბურთი. "აზოტი" (რუსთავი) - "მაქაბი" (თბილისი) 17.50 რამპა 18.00 ვესტნიკი 19.05, 01.30 ვიდეოპატრული-02 19.15 მაესტრო 19.25 ფაილი 19.40 ბასტი-ბუბუ 21.50 "თბილისის დროით" 22.10 ტელე-სინე-ვიდეო. 22.40 ტელესერიალი **"ძილის წინ"** 23.50 მხ.ფ. **"ახალგაზრდა მუშკეტერები"** 2 სერია

19.00 ინფორმაცია 19.30 ჩიპო 20.00 სერიალი **"ფსიქოფაქტორი"** 20.30 ... ათი მცნება 20.45 ავტო-შოუ 21.10 ჩეხი ფოტოგრაფი - იან საუდეკი 21.40 დოსიე 22.00 ინფორმაცია 22.15 შვიდეული 23.15 მხ.ფ. **"შაფტი"**

07.00 მუსიკა 07.30 ტექს ავერი, ფიფქია 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 09.00 სერიალი **"ბლანკოს ქვრივი"** 09.50 ტელე-ვიქტორინა "ვის უნდა ოცი ათასი" 10.40 სერიალი **"ფეხბურთელი სიმბა"** 11.10 სერიალი **"სამანტა"** 12.20 მულტსერიალი 13.00 მხ. ფილმი 18.00, 21.00, 23.00, 02.00 კურიერი 18.20 **"ფეხბურთელი სიმბა"** 19.00 ევროპული ფეხბურთის მიმოხილვა 20.05 სერიალი **"სამანტა"** 21.50 სერიალი **"სამნი"** 00.05 მხ.ფ. **"ანასტასია"** რეჟ. ანატოლი ლიტვაკი. მთ. როლებში ინგრიდ ბერგმანი, იულ ბრინერი. 02.10 კლასიკა

იბერია – მიმდინარეობს არხის რეორგანიზაცია 08.00, 20.00 ანონსები, მუსიკა 08.05, 20.05 მულტფილმი 08.30, 20.30 ალსავალი 08.35, 10.10, 12.50, 20.35, 22.15, 00.00 მუსიკა 08.40 მხ.ფ. **"სათადარიგო მკვლელები"** 10.15 მხ.ფ. **"საყვარელი"** 20.40 მხ.ფ. **"ცხელი ზაფხული"** 22.20 მხ.ფ. **"შიშველი მახა"**

ევრიკა – 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 10.15 ზღაპრის ტელედარბაზი 10.45 მხ.ფ. **"მთიელი"** 12.15 პროგრამა "სალონი" 13.45, 15.15 მხ.ფ. **"კორუფციონერი"** 18.30 ზღაპრის ტელედარბაზი 19.00 დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში" 19.30 ექსტრაორდინალური 20.00 მსოფლიო სპორტი 21.30 "სალონი" 23.00 საბავშვო გადაცემა 23.20, 00.15 მხ.ფ. **"მეზობელი"**

10.00 "ბისი". მხ.ფ. **"პატრიოტი"** 12.40, 17.00, 19.15, 20.00, 22.00, 23.45 კლიპ-მიქსი 14.00 კონცერტი 16.00 "სამყარო" დოკ. ფილმი 17.15 "სწ.მედია" მხ.ფ. **"ცნობილი ძმები ბეიკერები"** 19.30 მორწმუნის ძლევამოსილი ხმა 20.15 პროგრამა "ა" მხ.ფ. **"ინფორმატორი"** 22.15 "ბრავო". მხ.ფ. **"პრაქტიკანტი ქალი"** მთ. როლში დომინიკ სუეინი 00.00 "ღამურა" მხ.ფ. **"ქალაქური ლეგენდები-2"** 01.40 ნონ-სტოპი

09.00, 15.00, 18.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.15, 18.15 მულტფილმი "გრაფი მონტე კრისტო" 09.40 მხ.ფ. **"უკანასკნელი დონი"** 11.05 ევროპის სტადიონებზე 11.30 დოკ. ფილმი "ჩერჩილების ოჯახი" 12.20 მუსიკა 12.40 მხ.ფ. **"შიშის ძალაუფლება"** 14.35, 18.35 შემეცნებითი პროგრამა "დისქავერი" 16.00 მხ.ფ. **"ჩემპიონი"** 20.25, 23.55 ხუთი წუთი ეკონომიკა 21.00 "საუბრები სტუდიაში" 21.55 მხ. ფილმი **"მახე 22"** მთ. როლში მაიკლ ნიკოლსი 23.00 ტელევიქტორინა "ტელე-მილიონი" 00.15 მხ. ფილმი **"ქარბორბალა"**

19.00, 01.00 "დღეს" 19.30 მხ.ფ. **"პოკახონტისი"** 20.50 დოკ. ფილმი 21.30 გასართობი პროგრამა 22.00 "დღეს" 22.40 მხ.ფ. **"მე აფრიკაზე ვოცნებობდი"** 00.30 მუსიკალური კოლაჟი 01.30 მხ.ფ. **"ბირთვული კლდე"**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, გონდო გულიაშვილი, ზვიად ლალიაშვილი, გონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ძოწულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.